

K251.576

3

ტანგ სუხიტაშვილი



აღექსადრე ბატონიშვილის
კოლექტიკური მოღვაწეობა

F 88233
3



გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვახტანგ სუხიტაშვილი

აღმასადრე ბატონიშვილის
პოლიტიკური მოღვაწეობა

თბილისი

2006

უაკ(UDC) 947.922

ს971

იბეჭდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის კათედრის რეკომენდაციით.

არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო დოკუმენტების, პერიოდიკის მონაცემების საფუძველზე ნაშრომში შესწავლილია ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა. გამოვლენილია ის მიზნები და პირობები, რომელთაც როლი შეასრულეს ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწედ ჩამოყალიბებაში.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისთვის, სტუდენტებისთვის და სამშობლოს თავისუფლებისთვის ამ მამაცურად მებრძოლის ბედით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

1251576

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
 პროფესორი ვრიძორნ სისან შლიძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
 პროფესორი რთარ ჯანელიძე
 ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
 ასოც. პროფესორი პასა ტოლიაშვილი

სკოლის 2000
 მასოფლავის ელიტა

©ვახტანგ სუხიტაშვილი

ISBN 99940-65-06-8

საქართველოს
კულტურის
მეცნიერებების
ეროვნული
გამოცემის
გამოცემის

შ ე ს ა ვ ა ლ ი

“...მინამ ქაცი ცოცხალი არის თავის
 შძიობლისა და ხამკვიდრო მამულისათვის
 უნდა გაისარჯოს კიდრე ხიხხლისა
 წევთამდე...”

ალექსანდრე ბატონიშვილი

ასე ამაყად მიმართავდა პატრიოტი მამულიშვილი საქართველოს მთავარმართებელ ნ. რტიშვილს 1815 წ. 15 აგვისტოს.

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა გალერეაში განსაკუთრებული აღილი უჭირავს ალექსანდრე ერულეს ქე ბაგრატიონს. სამწუხაროდ, დიდი ხნის მანილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ალექსანდრე ბატონიშვილის მამაცური, ხანგრძლივი ბრძოლა ქვეყნის სუვერენიტეტისათვის ჯეროვნად არ არის შესწავლილი.

ამისი მიზეზები მრავალგვარია: ადსანიშნავია, რომ იმდროინდელმა ოფიციალურმა ისტორიის მაფიაშ იგი უსამართლოდ ირან-ოსმალეთის აგენტად აღიარა. მომდევნო ხანის სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსები მათ შორის ზოგი, განსაკუთრებით ქართული მკვდევარი, ადრევე არ შეუშინდა გაბატონებულ ოფიციალურ შეხედულებას და მოინდომა მისი სარისკო, მრავალმხრივი მოღვაწეობის წარმონება. გამოჩენილი პიროვნების ამაგი იმ დროისათვის მაინც ჯეროვნად ვერ დაფახდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის რეაბილიტაციაშ საფუძველი დაუდო მისი დიდი დვაწლის გამოკვლევას. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოქვეყნებულია რამდენიმე ნაშრომი, რომელთა ნაწილი საარქივო ძიებაზეა დაფუძნებული. ამის მიუხედავად, ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება და გმირული ბრძოლა, მისი მრწამსი ჯერ კიდევ სრულად წარმოჩნდი არ არის.

ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველო-რუსეთის ინტენსიური პოლიტიკური ურთიერთობის დროს იშვა. იგი იზრდებოდა და კალიბრებოდა დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა იმ წრეში, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველო-რუსეთის თანამშრობლობის გაფართოებისათვის. ამას არ შეიძლება თავისი კვალი არ დაემჩნია უფლისწელის პოლიტიკურ მსოფლიმედვეჭლობაზე. ალექსანდრე ბატონიშვილის შეხე დუღება შეიცვა ლა საქართველოში ძალით გაბატონებული რუსეთის იმპერიის მოხელეებთან ურთიერთობაში. კავკასია-მახლობელი აღმოსავლეთის გეოსტრატეგიულ რეგიონში ფართო არენაზე გამოსვლასთან

ერთად იზრდება მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა.

მრავალწლოვანი ძიებით გამოივლენილი დოკუმენტები ერთა-გარად ცვლის წინახდელ შეხედულებას ამ პიროვნების მიმართ ჩვენი ამოცანაა გამოვიკვლიოთ დიდებული მამული შვილის მოღვაწეობა. ეს ხანა, ძირითადად, ემთხვევა ხამშობლო ისტორიის ახალი ეპოქის თანამედროვე პერიოდიზაციას.¹

დღემდე ფართო საზოგადოება მხოლოდ ამ კუთხით იცნობს ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობას.

ამ დიდი ქართველის გაბედულმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა სტუდენტობის ხანაში მიიქცია ჩვენი ყურადღება.²

მას შემდეგ ჩატარებულმა მრავალმხრივმა საარქივო ძიებამ დაგვარწმუნა, რომ ბატონიშვილის მიერ ხანგრძლივი ბრძოლით განვლილი გზის წარმოსაჩენად სხვადასხვა ენაზე შექმნილი მდიდარი წეართმცოდნეობითი ბაზა არსებობს. მრავალფეროვანი დოკუმენტების შესწავლა-გაანალიზებით შესაძლებელი ხდება ამ დიდი ქართველის ცხოვრება-მოღვაწეობის კვლევაში ახალი ეტაპის დაწყება.

თავიდანვე მიზნად დაფისახეთ ჩვენი გმირის საქვეყნო დვაწლის წარმოსაჩენად აქამდე გაწეულ ძიებათა შედეგები გაგვემდიდრებინა მასალებით (სხვადასხვა ეპოქის პერიოდიკაში, ლიტერატურაში მოხმობილი ცნობებისა და მრავალფეროვანი დოკუმენტების მოპოვებით). რამდენიმე წლის ძიებამ, შეიძლება ითქვას, ნაყოფი გამოიღო. ახლად გამოვლენილი დოკუმენტების ანალიზით შესაძლებელი გახდა როგორც აღრე უდავოდ მიჩნეულ მოსაზრებათა გადასინჯვა, ისე ახალ დებულებათა წარმოქა, რითაც მეტი სინათლე შეემატა მთლიანად ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრებამოღვაწეობის არსს. ამითვე შედარებით გაადვილდა მისი ფართო და ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობის გაშუქება და პოლიტიკურ შეხედულებათა წარმოქნა.

¹ მ. ვანიაძე, ვ. გურული, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდიზაციის საქოთხისათვის (1801-1998). წიგნში: მ. ვანიაძე, ვ. გურული, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბ., 1998. გვ. 17.

² ვ. სუხინაშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი XIX საუკუნის პირველი ქამედის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში; ცხინვალის ხახელშიფო პედინსტიტეტის სტუდენტთა VIII სამეცნიერო სესია. გორი, 2000. გვ. 3.

სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები

§1. სამეცნიერო ლიტერატურა

ალექსანდრე ბატონიშვილმა სახელი გაითქვა XIX საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებში მონაწილეობით. მისი ფართო, ხანგრძლივი მოღვაწეობის ასახვა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მრავალმა ქართველმა და უცხოელმა მკვლევარმა სცადა.

ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ დიდ მა-
მულიშვილზე ცნობები შესულია მის თანამედროვე ბაგრატ,
დავით, თეიმურაზ ბატონიშვილების და სხვათა შრომებში.

ბაგრატ ბატონიშვილი ნარკევეში “ახალი მოთხოვობა”,¹
ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობის რამდენიმე ფაქტს
ეხება. მათ შორის მას აღწერილი აქვს დღოლვილი თეიმურაზ
ბატონიშვილისა და ალექსანდრეს შეხედრა ჭარში 1803 წლის
თებერვლის ბოლოს. იმ დროის მემატიანე წერდა, თუ როგორ
“შეიტქით ალექსანდრემან და პატიკს უყოფდა” კავკასიის მთა-
ვარმართებლის პ. ციციანოვისაგან დევნილ ძმისწულებს. ის-
ტორიკოსი გულწრფელების თანაუგრძნებლა ქართველი ხა-
ხოგადოების უთანასწორო ბრძოლებს, რომელთაგან ის განსა-
კუთრებით გამოყოფდა 1812 წლის აჯანყებას და მიუთითებდა
ალექსანდრეს უმნიშვნელოვანების როლზე ქართველი ხალხის გან-
მათავისუფლებელ ომში.²

ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობის შესახებ
ხაინგრერესო ინფორმაციას შეიცავს დავით ბატონიშვილის “ახ-
ალი ისტორია”.³ ავტორი მიუთითებს 1795 წლის ზაფხულში
ალექსანდრეს მეთაურობით მოწეობილ ექსპედიციაზე ყარაბაღში
აღამაშმად ხანის მეწინავე ჯარების წინააღმდეგ.

დიდი მნიშვნელობა აქვს აქვთ მოტანილ ცნობას კრწანისის
ტრაგედიის შემდეგ იმავე მოღვაწის სარდლობით მოღალატე

¹ ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხოვობა. გამოსცა თ. ლომიურმა თბ., 1941.

² იქვ. გვ. 83, 132.

³ დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. გამოსცა თ. ლომიურმა თბ., 1941. იხ. აგრ. დავით ბაგრატიონი, История Грузии. Текст издал и снабдил вступительной статьей и указателями А. А. Рогава. Тб., 1971.

განჯის ხანის, ჯვეაღის დახახველად კრეპლე მეორის დავჭრაში ბიო მოწყობილ ლაშქრობაზე.

იგივე ისტორიული აღწერის ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების სახელოვან გამარჯვებას 1804 წლს ბამბაკში გაგზავნილ მაიორ მონტერესტის რაზმზე.¹ აქ გადახდილი ბრძოლის აღხანიშნავად შემდეგ აღიმართა მემორიალური სვეტი.

ბაგრატ და დავით ბატონიშვილების მნიშვნელოვან ცნობებს ერთგვარად ავხებს თეიმურაზ ბატონიშვილი “ახალ ისტორიაში”² შეტანილი ფაქტებით. ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად შეოფი თეიმურაზი მიუთითებს 1804-1813 წლების ირან-რუსეთის ომის დეტალებს და განსაზღვრავს ალექსანდრე ბატონიშვილის, როგორც იმ დროის უმნიშვნელოვანების სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწის, როლს ამ დაპირისპირებაში.

აღნიშნული პერიოდის ქართლ-ქახეთის სამეფოში მიმდინარე მოვლენების, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობისა და ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით გადახდილ ბრძოლებზე საზოგადოებრივი აზრის გამოხატულება აღბეჭდილია აღ. ჭავჭავაძის ნაშრომში: “საქართველოს მოქლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე”,³ რომელიც მან ნიკოლოზ პირველს გადასცა 1837 წლს.

ეს ნაშრომი ჯერ ინახებოდა იმპერიატორის კაბინეტში, ხოლო შემდეგ სანქტპეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ამ ნარკვევით აღ. ჭავჭავაძე რუსეთის იმპერატორის უურადღებას მაშინ მიაპყრობდა საქართველოს განსაკუთრებულ გეოსტრატეგიულ მდებარეობას კავკასიასა და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში.

ამის გათვალისწინებით, ეს მრავალმხრივი მოღვაწე აღნიშნავს დიდი ქრისტიანული ქვეყნის ამ მხარეში მოხელის შედეგებს და რუსი მოხელეების თავგასულობის გამო ქვეყანაზე თავსდამტკდარ საკვირველ უბედურებებს, რამაც აღმრა ეს უებრო ქართველი მამულიშვილი სამშობლოს გარდაქმნის უმნიშვნელოვანების წინადაღებით მიემართა მონარქისათვის.

¹ დავით ბატონიშვილი, დას. ნაშრ. გვ. 23, 24 30.

² თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემდ მოამზადა გამოკვლევა და სამიებლები დაურთო ლ. მიქაშვილმა. თბ., 1983.

³ აღ. ჭავჭავაძე. საქართველოს მოქლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე. წიგნში: თხულებენი, I, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით. თბ., 1940. გვ. 241-255.

ამჯერად, ჩვენთვის განსაკუთრებით საურადღებოა ამ წილი მოღვაწის დასაბუთებული აზრი საქართველოში საზოგადოებრივ (თავადაზნაურობის, გლეხობის) მოძრაობაზე, მითითებანი აღქმა-სანდრე ბატონიშვილის წარმატება-წარუმატებლობათა საიდუმლოებაზე, თანდათან განმტკიცებულ საერთაშორისო მდგომარეობის მნიშვნელობაზე, საქართველოში კეონომიკური ურთიერთობის შემდგომი ზრდისა და ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე, რითაც გარდასულ ეპოქათა მეცნიერებას საინტერესო და საიმედო დასაყრდენ წერილი რჩება.

ცნობილმა ისტორიკოსმა პ. იოსელიანმა 1867 წელს დაასრულა ნაშრომი: “ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა”,¹ რომელიც გამოქვეყნდა “ივერიაში”, შემდეგ კი წიგნად 1895 წელს გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ. ხანგრძლივი რედუნებით შექმნილი ეს თხზულება ქართლ-კახეთის სამეფო კარის მატიანეა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

აღქმა-სანდრე ბატონიშვილზე ზოგი ბიოგრაფიული ცნობა პ. იოსელიანმა ამ წიგნით შემოგვინახა. მან დეტალურად აღწერა გიორგი XII-ესა და აღქმა-სანდრეს შორის ურთიერთობის მომენტები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ერეალე მეორის ამ ორ ვაჟიშვილს შორის ურთიერთობა ობიექტურად არ არის ასახული.

1882 წელს დაიბეჭდა ზ. ჭიჭინაძის რედუნებით შეკრებილი და წიგნად გამოცემული წერილები სათაურით: “სახსოვარი ბატონიშვილის აღქმა-სანდრეს-ძის ირაკლის გარდაცვალებაზე”.² კრებული საინტერესო მასალებს შეიცავს ბატონიშვილ აღქმა-სანდრეს ოჯახზე. აქ გამოქვეყნებულია: არქი-მანდრიტ გრიგორის, მდვდელ დ. ჯანაშვილის, მკვლევარ მ. ჯანაშვილის, ისტორიკოს ზ. ჭიჭინაძის, ვ. კარბელაშვილის, ალ. ერიცოვის, მელიქ-ზადესი და სხვათა სამგლოვიარო სიტყვები, მოხსენებები აღქმა-სანდრეს ვაჟის ერეალეს გარდაცვალების გამო. წერილი აღქმა-სანდრე ბატონიშვილის უცხო-ეთში მოღვაწეობაზე, რასაც ახლა ჩვენთვის წეროს მნიშვნელობა აქვს.

XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობებს შესანიშნავი ნარკევები უძღვნა ალ. ყიფშიძემ (ფრონელმა).³

¹ პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა. ა. გაწვრელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფ., 1936.

² სახსოვარი ბატონიშვილის აღქმა-სანდრეს-ძის ირაკლის გარდაცვალებაზე, შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან. თფ., 1882.

³ ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804 წ. ტფ., 1891. ამბობება კახეთისა 1812 წ. ტფ., 1907.

ფაქტები აღექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობის შენანქაშები გადმოცემულია ავტორისეული ამაღლებული განწყობილებით.

ბატონიშვილის პირვენება და მთიელ ბუმბერაზ გმირთან, შამილთან მისი დამოკიდებულება ა. ფრონელმა განიხილა ნაშრომში “მთის არწივი შამილი”. ეს წიგნაკი გამოქვეყნდა 1914 წელს. ავტორს დახასიათებული აქვს აღექსანდრე ბატონიშვილის ურთიერთობა დაღესტანთან და ასაბუთებს, რომ მთის არწივი შამილი აღექსანდრეს მექავიდრეა. ფართო მოძრაობის მომავალი გმირი 1798 წელს დაბადებულა.¹

ალ. ყიფშიძის აღნიშნული ნაშრომები დღეს უკვე წყაროს მნიშვნელობისაა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან თანდათან იცვლუბოდა დამოკიდებულება ისტორიასა და ცალკეულ პიროვნებებისადმი, განსაკუთრებით ისეთი მოღვწეების მიმართ, რომლებიც წარსულში რუსთის ხელისუფლების წინააღმდეგ იძროდნენ, რადგან ეს ააშკარავებდა ბოლშევკიების ოკუპაციის ჯერ კიდევ დაუკიწყებელ ფაქტებს.

ქართველი ემიგრანტები თავის ლროზე აღნიშნავდნენ დირსსახსოვარ თარიღებს პარიზში გამართულ შეკრებებზე. ასეთ სადღესასწაულო საღამოებზე გამოსვლებში ლეო კერესელიძე, გრიგოლ რობაქიძე და სხვები შთაგონებული სიტყვებით ამკოდრნენ საქართველოსთვის დაცემულ გმირულ სახეებს.

XIX საუკუნის დამდგან საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, ქართველთა ერთი ნაწილის სამშობლოდან ემიგრაცია, 1812 წლის სახალხო აჯანყება მოკლედ განხილულია 1932 წელს პარიზში ანონიმურად გამოცემულ “საქართველოს ისტორიაში”².

1937 წელს თამარ პაპავაშ გამოაქვეყნა ნარკვევების სერია: “დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში”. აღნიშნულ ნარკვევთა ერთი ნაწილი იძებლებოდა “ისახარ”-ის ფსევდონიმით პარიზში გამოცემულ კრებულ “ქავეპასიონში” (“მეფე ერეკლეს ქალები”, “ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება”, ”აღექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი”), ხოლო მეორე ნაწილი 1990 წელს გამოქვეყნდა პირველად თბილისში. ამ ნაშრომში მოცემულია აღექსანდრეს ბიოგრაფიული პორტრეტი.³

1941 წელს გამოცემულ წიგნაკში: “გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს”. ა. კიკვიძე ცდილობს ამ სახალხო ამბოხებაში აღექსანდრე ბატონიშვილის მონაწილეობის უარყოფას: “...აჯან-

¹ ალ. ფრონელი, მთის არწივი შამილი. ტფ., 1914 გვ. 50-54.

² საქართველოს ისტორია, მოკლე მიმოხილვა, პარიზი, 1932. დამოუკიდებელი საქართველოს გამოცემა. №2. გვ. 60-61.

³ თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. თბ., 1990.

ექბას ვერ მოუსწრო ალექსანდრე ბატონიშვილმა. იგი მოფლეობდა გვიან. დაიწყო ხელახალი ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლას აღარ ამშენებდა გლეხური სტიქია, მისი გამანადგურებელი ძალა, თუმცა ბატონიშვილმა შესძლო ნაწილობრივ დაეძრა გლეხები და გამოიყვანა ისინი საბრძოლველად".

მეცნიერებელი აჯანყების დასასრულად მიუთითებდა 1812 წლის მარტს.¹

ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლასა და მოღვაწეობას მეცნიერები შემდეგაც შეეხო თავის “საქართველოს ისტორიაში”.²

სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვის მნიშვნელობის შეფასებას, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის საინტერესო საკითხებს, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის როლსა და, კერძოდ, ალექსანდრე ბატონიშვილის მნექვარე, ხანგრძლივი მოღვაწეობის ხხავდასხვა მხარის გამოკვლევას ცვლობდა გ. ხაჭაპურიძე, რომელმაც დიდი ხნის ძიებათა შედეგად რუსულ ენაზე 1950 წელს გამოსცა სქელტანიანი ნარკევე: “საქართველოს ისტორიისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში”.³ ეს ნაშრომი მასინ წინამორბედ მეცნიერებით ასეთივე მიზნით შექმნილ ნარკევებთან შედარებით უმჯობესად იყო მიჩნეული.

ადსანიშნავია, რომ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურასთან, პერიოდიკის მონაცემებთან ერთად ავტორმა გამოავლინა მრავალი საარქივო დოკუმენტი, მაგრამ გ. ხაჭაპურიძის წიგნი მაინც არ დგას იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა სიმაღლეზე და არც სამამულო წყაროთმცოდნეობის განვითარების დონეზე.

ამის მიუხედავად, წიგნში განვითარებული თვალსაზრისი საინტერესოა, როგორც ორი საუკუნის მიჯნაზე მდგარ საქართველოს სახელმწიფოს მრავალმხრივი მოღვაწეობის, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული საზოგადოების მოძრაობის სულისკვეთების, მისი განვითარების ეტაპების გამოსაკვეთად და დახასიათებისათვის, საბჭოური იდეოლოგიის ნათელსაყოფად, ქართველი ისტორიკოსის კვლევის მეთოდისა და მრწამსის შესაცნობად.

ავტორი საქართველოს რუსეთთან შეერთებას განიხილავს მარქსისტული ისტორიოგრაფიის დასკნის - “მცირე ბოროტების”

¹ ა. ქიქიძე გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წ. თბ., 1941. გვ. 32.

² ა. ქიქიძე საქართველოს ისტორია. ტ. I, თბ., 1954.

³ Г. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX века. Тб., 1950.

ფურმულის ხაფუძველზე, რითაც საქართველო თითქოს ფინანსური განადგურებას გადაუწინა.¹

ალექსანდრე ბატონიშვილის გაქცევასა და უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებისათვის გადახდილ ბრილებს გ. ხაჭაპურიძე მიიჩნევს შინააშლიობისა და ქვეყანაში ჯერ შინააშლიობიგრი ვითარების გართულების, ხოლო შემდეგ სამშობლოს მორიგი აოხრების მიზეზად.

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავდაუზოგავად მებრძოლ ბატონიშვილს იგი მაჟმადიანური სახელმწიფოების აგენტად მიიჩნევს.

ეს საბჭოთა ისტორიკოსი მიესალმება საიმპერიო ჯარების შემოყვანასა და ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების დამხობას, ხოლო ალექსანდრეს ჭარბელაქნის მხრიდან რუსების წინააღმდეგ განხორციელებულ შეტევასა და შპის ფირმანების გავრცელებაში ადანაშაულებს.²

1951 წელს ალექსანდრე ბატონიშვილის მთელი მოღვაწეობის რეაქციულ შეფასებას შეეცადა ვ. შადური წიგნში: “Друг Пушкина и его роман о Грузии”.³

არსებული ლიტერატურის, გამოქვეყნებული მასალებისა და საარქივო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ვ. ტოგონიძის გამოკვლევა “ქართლის მთანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.)”,⁴ დაიბეჭდა 1951 წელს. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია აჯანყებულებისადმი დამოკიდებულება 3 აგვისტოს, ანუ აჯანყების დამამთავრებელ ეტაპზე ალექსანდრესაგან გამოგზავნილთა მისვლა თიანეთში მებრძოლთა გასამსხვევებლად.

უმთავრესად საარქივოაუთი კომისიის პუბლიკაციებსა და შემდეგდროინდელი რუსული ისტორიოგრაფიის ერთ ნაწილზე (ვ. ვოლკონსკი, ი. პეტრუშევსკი, გ. პისარევსკი) დაყრდნობით ჭარბელაქნის თემებთან რუსულ მმართველობის ოფიციალური ურთიერთობისა და კავკასიაში მოვლენილი ამ ახალი დამპრობლის წინააღმდეგ მებრძოლი მხარის მოსახლეობასთან ალექსანდრე ბატონიშვილის დამოკიდებულება-კავშირის ფაქტები განხილულია მ. დუმბაძის წიგნში: “აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან”.⁵

¹ იქვე გვ. 5.

² იქვე გვ. 87.

³ В. Шадури, Друг Пушкина и его роман о Грузии. Тб., 1951.

⁴ ვ. ტოგონიძე, ქართლის მთანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.). თბ., 1951.

⁵ მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან . თბ., 1953. გვ. 130, 133, 139.

ნაშრომი, რა თქმა უნდა, მოიგებდა და ჩვენ ძიებას განკიანდებდა, რომ მასში ყოფილიყო პასუხი კითხვებზე, თუ რა განაპირობებდა ქართველი ბატონიშვილის ამ მხარეში ხანგრძლივ, წარმატებულ ბრძოლას და ადგილობრივი მოსახლეობიდან გამუდმებულ ხელშეწყობას ჩრდილოეთიდან მოვლენილი ოქუპანტების წინააღმდეგ. ძნელი არ არის გამოცნობა, რომ ჭარბელაქნელთა ასეთი სანიმუშო ერთგულება-დახმარების საფუძველი იყო მოსახლეობის ის საყოველთაო შეგნება, რითაც ჩრდილოელი დამპურობელი ყოველი კავკასიელის საერთო მტრადი იყო აღიარებული. ეს იყო ქართველი უფლისწულის წარმატების ძლიერი წერი, მანამ, სანამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება დამუქრება-შანჩაუებით, ჭარბელაქნელთა მრავალი ჯანების წინააღმდეგ მასირებული შეტევით მოახდენდა მოსახლეობის დაშინებას, მის ოქუპაციასა და ამით კავკასიის დამოუკიდებლობისათვის მამაცურად მებრძოლ ქართველ ბატონიშვილს ამ მხარეში თანდათან გამოაცლიდა თავისი ძლიერებისათვის აღგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული, საყოველთაო მხარდაჭერის საფუძველს.

ამის შედეგად დამპურობელმა დიდი ზიანი მიაჟინა ჭარბელაქნის განვითარებას, ქართველი ბატონიშვილის მხარეზე ამ ოლქის მოსახლეობის სანიმუშო საბრძოლო კავშირს დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივ მოშინაობის მის მიერთებას.¹

საქართველოში გლეხობის ისტორიის მკვლევარი ი. ანთელავა ეხებოდა ალექსანდრე ბატონიშვილისა და გლეხობის დამოკიდებულების საკითხს და აღნიშნავდა, რომ უკოდალური წერილების წინააღმდეგ მებრძოლი გლეხები არ უჭერდნენ მხარს ბატონიშვილს და მის მომხრებებს.¹

1965 წელს ბ. ბერძენიშვილმა გამოაქვეყნა: “საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში”.² ნარკვევში ავტორი ფართოდ მომიხილავს რუსეთის დამოკიდებულებას ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლებისადმი და საქართველოში მოვლენილ რუს მოხელეთა მოღვაწეობას. მკვლევარი უურადღებას აქცევს მმართველობის სისტემას და ალექსანდრეს ცდებს სამეფო ტახტის დასაბრუნებლად.

XIX საუკუნის პირველ მესამედში აჯანყებებში ქართველ ბატონიშვილთა მონაწილეობას ეხებოდა და ებანოიძე იგი წერდა: “გლეხობა ბატონიშვილების მხრივ იღეურ შეიარაღებას არ საჭი-

¹ И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века (до крестьянской реформы 1864 г.). Сухуми, 1955. стр. 245.

² ბ. ბერძენიშვილი, საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II, თბ., 1965. გვ. 244-293.

როებდა. ერთადერთი იღვა, რომელსაც ბატონიშვილები იყენებდნენ „მამულის გამოსახსნელია“, ეს იქ სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა ლინასტის აღლვების იღვა, მაგრამ ამ იღვა არამც თუ გლეხობა, არამედ შველა უკოდალიც კი არ ეტრუოდა.”¹

ამის ნათელყოფას ავტორი კონკრეტულადაც ცდილობდა, თუმცა სცდებოდა, როცა წერდა: “გლეხობაზე არ იმოქმედა ალექსანდრე ბატონიშვილის დემაგოგიური ხასიათის მოწოდებებმა, ქართლ-ქახეთის სამეფო ტახტზე ასვლის ეს უსაზღვრო ფანატიკოსი იღუზით კეგბავდა აჯანყებულებს”².

რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომში მრავალი ქართველი იბრძოდა. ქართველთა დამსახურება კავკასიის სხვადასხვა ნაწილში იმ დროს გაჩადებულ ბრძოლებში, მოძიებული საარქივო მასალებით წარმოაჩინა მკვლევარმა ნ. ქორთუამ.

ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის ნაშრომში შეტანილი ცნობები ალექსანდრე ბატონიშვილზე.³

ქართველი ბატონიშვილის კავკასიის სახანოებთან ურთიერთობაზე მცირე რაოდენობის, მაგრამ საგულისხმო ცნობებს კპოლელობთ ამავე ავტორის ნაშრომში: “ამიერკავკასია რუსეთიორანის 1826-1828 წლების ომში”⁴.

ქართლ-ქახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების ფაქტს იმდროინდელ ეპოქისეულ მოვლენებზე მითითებით მკვლევარი განიხილავს მიმდინარე ძვრების ფონზე.

მდიდარი მასალების გამოყენების საფუძველზეა განხილული XIX საუკუნის 20-იან წლებში მოწინავე ევროპული სახელმწიფოების ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის მეტოქეობა წინააზიის ქვეშნებში თავისი გავლენის დამტკიცებისათვის.

ავტორი ეხება მტკიცე შემართების ალექსანდრე ბატონიშვილის გამჭრიას პოლიტიკას, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა-კავშირის ზოგ ფაქტს, შპის მემკვიდრე აბას-მირზასა (1788-1833) და სხვა ირანელ მოღვაწებთან მის დაახლოებას.⁵

¹ ლ. ებანოიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საქითხი საქართველოში თბ., 1968. გვ. 69.

² იქვე. გვ. 70.

³ ნ. ქორთუა, საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. თბ., 1964. გვ. 93, 150, 303, 348.

⁴ ნ. ქორთუა, ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. თბ., 1978.

⁵ იქვე. გვ. 20, 22.

ომების ეს სახელოვანი მკვლევარი აღნიშნავს დაღესტანიშვილის ანწების თემში, აღექსანდრეს საქმიანობას და გამოთქვამს ვარაუდს: “ეტყობა აღექსანდრე ბატონიშვილმა დიდი მუშაობა გახსია იმისათვის, რომ მუსლიმური სარწმუნოების მთის ხალხები დაერაზმა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად; როგორც ჩანს, ამაში მას ოდნავაც ვერ შეუშალა ხელი იმან, რომ ოვითონ ქრისტიანი იყო”¹.

როცა მკვლევარი ეხება 1826 წელს ერთ-ერთი ბრძოლისას რუსეთის ჯარში მყოფი ქართველებისაგან აღექსანდრეს დახმარების ფაქტს, სვამს დღემდე მართებულად გადაუწყვეტილ კითხვას: “მხედვი დასაჯერებელია, რომ ქართველებს, აღექსანდრე ბატონიშვილს ნიკოლოზ I ერჩიათ.” მაგრამ ამ ისტორიულ ქარტეხილებში სამშობლოსათვის მებრძოლი რაინდი ბატონიშვილის ცხოვრების ტრაგედიაც ის იყო, რომ ახალი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად იძულებული ხდებოდა საქართველოს ისტორიულ მტრებს ირან-ოსმალეთს დაკავშირებოდა.

ა. სურგულაძე, წიგნში: “ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა” ფართოდ მიმოიხილავს XIX საუკუნის პირველი მესამედის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მასთან მოძრაობებს ქართლის მთიანეთში, კახეთში, იმერეთში; 1832 წლის შეთქმულების აღმოცენებასა და მიმდინარეობას, რაც მას საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისად მიაჩნია. ავტორი გაკერით ეხება აღექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკურ ორიენტაციას.²

გამოქვეყნებული წყაროების საფუძველზე 1818 წელს აღექსანდრე ბატონიშვილის სამცხეში მოღვაწეობას გაკერით აღნიშნავს შ. ლომსაძე.³

ნარევევში: “ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ XIX საუკუნის I იცვეულში”,⁴ დ. გოგოლაძე მოკლედ ახასიათებს თავისუფლებისა და სამშობლოში სახელმწიფო წყობილების აღდგენისათვის მებრძოლ აღექსანდრე ბატონიშვილს.

ავტორი მას მიიჩნევს 1783 წლის ტრაქტატის განხორციელებისათვის თანმიმდევრულ მოღვაწედ, რუსეთის ორიგინტაციის მომხრედ.

¹ იქვე გვ. 23.

² ა. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბილისი, 1969.

³ შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე). თბ., 1975. გვ. 151.

⁴ დ. გოგოლაძე, ბრძოლა ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ წინააღმდეგ XIX საუკუნის I იცვეულში. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 424-428.

XIX საუკუნის დასაწყისი ქართული ეროვნული ცნობილებების გამძაფრებას და ხახალის მოძრაობაში აღექსანდრე ბატონიშვილის მონაწილეობას ეხება აღ. ბენდიანიშვილი 1981 წელს დაბეჭდილ წიგნში: “ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921”.¹

იგივე მკვლევარი XIX საუკუნის ისტორიის სახელმძღვანელოში 1812 წლის აჯანყების მიმოხილვისას აღნიშნავს აღექსანდრე ბატონიშვილის როლს.

1812 წლის შემოდგომაზე აღექსანდრე ბატონიშვილის შემოქმნას კახეთში მკვლევრი მნიშვნელობას ანიჭებს საერთო მოძრაობის შემდეგ ეტაპზე განვითარებისათვის. ამასთან ერთად, იგი საინტერესოდ მსჯელობს რუსთა ჯარისა და მოძრაობის გმირის მეთაურობით გამოყვანილ რაზმების შეიარაღებასა და ბრძოლათა ისეთ თავისებურებებზე, რაც აქამდე მკვლევარებს არ შეუნიშნავთ.²

მონარქიული ლეგიტიმიზმის აქტუალურ თემაზე ახლახან გამოქვეყნებულ ნარკევეში აღ. ბენდიანიშვილი ეხება საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიის აღსაღვენად აღექსანდრეს ბრძოლის სამართლიანობის საკითხს.³

რეაბილიტაციის შემდეგ პერიოდში აღექსანდრე ბატონიშვილი მოხსენიებულია მრავალ საისტორიო ნარკევეში. საქართველოს განმათავისუფლებელი გმირის ცხოვრება-მოღვაწეობა იდეალად და სამოქმედო მაგალითად იქცა XIX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში, ეროვნულ-განმა-თავისუფლებელი მოძრაობის მეცნიერთათვის.

1990 წლის შემდეგ საბჭოთა იდეოლოგიური წნევისაგან გათავისუფლებული ქართველი ისტორიკოსები თამამად შეუდგნენ გაყალბებული ისტორიოგრაფიის ჰეშმარიტების დიდ სამჯავროზე გამოტანას. სამეცნიერო კალევა-ძიება ფართოდ გაიშალა XIX-XX საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციისა და საგარეო ურთიერთობათა საკითხების ჯეროვნად გასაშუქრებლად.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1990 წელს გამოქვეყნებული აკაკი და პაატა სურგულაძეების “საქართველოს ისტორია”⁴. წიგნში მოცემულია 1812 წლის კახეთის აჯანყებაში ბობქარი აღექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობის ფაქტები.

¹ აღ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 თბ., 1981.

² მისივე, საქართველოს ისტორია. თბ., 1999. გვ. 28-32.

³ აღ. ბენდიანიშვილი, მონარქიული ლეგიტიმიზმი და ლეგიტიმური ხელისუფლების ევოლუცია საქართველოში. ქრბ. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 2003. გვ. 31-38.

⁴ ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია. თბ., 1991. გვ. 37.

აღექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა-მოღვაწეობაზე ცნობილია სხვა ავტორთაგან შექმნილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში.¹

ი. უთურაშვილი წიგნში: “თექლა ბაგრატიონი”, ეხება ბატონიშვილ აღექსანდრეს 1812 წელს აჯანყებული კახელების დასახმარებლად საქართველოში შემოსვლის ფაქტს.²

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან აღექსანდრე ერეკლეს ძის შესახებ საინტერესო ფაქტებს შეიცავს ს. კაპაბაძის “კრწანისის ომი”,³ რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებშია შექმნილი. თხზულების ავტორი ცნობებს იძლევა განჯაში აღექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით მოწყობილ ქართველთა სამხედრო ექსპლიციაზე. საგულისხმოა მკვლევარისაგან აღნიშნული ფაქტი, 1795 წელს აღექსანდრე ბატონიშვილის ერევნის სახანოში გოგნის ტბასთან ჯარით ყოფნის შესახებ.⁴

საინტერესოა ამავე ავტორის სხვა წიგნებში არსებული ცნობებიც.⁵

1992 წელს დაიბგჭდა მ. ხომერიკის საინტერესო ნაშრომი: “ბერი ფილა-დელფოს კინაძე”.⁶ წიგნში ავტორი სინათლეს ჰვენის 1832 წლის შეთქმულების მრავალ ბნელით მოცულ ფაქტს და აღნიშნავს შეთქმულთაგან აღექსანდრე ბატონიშვილის მეფედ მოწვევას საქართველოში.

1832 წლის მოვლენებს და აღექსანდრე ბატონიშვილის როლს შეთქმულებაში წარმოაჩნის რ. გრძელიძე წიგნში: “1832 წლის შეთქმულება საქართველოში”.⁷

კახეთში აჯანყების დროს აღექსანდრეს ბრძოლის საინტერესო ფაქტები მითითებულია 1997 წელს საფრანგეთში გამოცემულ წიგნში “საქართველოს ისტორია”.⁸

¹ ი. ანთულავა, საქართველოს ისტორია. თბ., 1996 გვ. 212.

² ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია. თბ., 1999 გვ. 367.

³ ი. უთურაშვილი, “თექლა ბაგრატიონი”. თბ., 1991. გვ. 25.

⁴ ს. კაპაბაძე, “კრწანისის ომი”, თბ., 1991.

⁵ იქვე გვ. 87.

⁶ ს. კაპაბაძე, საქართველოს მოქლე ისტორია. ტფ., 1920. გვ. 182; საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.) ტფ., 1922. გვ. 237; ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921. თბ. 1997. გვ. 55.

⁷ მ. ხომერიკი, ბერი ფილა-დელფოს კინაძე. თბ., 1992.

⁸ რ. გრძელიძე, 1832 წლის შეთქმულება საქართველოში. თბ., 1998 გვ. 42.

⁹ Nodar Assatiani, Alexandre BendianiShvili; Histoire de la georgie. Paris, 1997. გვ. 256-257.



ნაშრომში “ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური ფილიალი XIX საუკუნეების”,¹ მკვლევარი გ. ობაშვილი შეკვადა დაესაბატობინა XIX საუკუნის ორი პოლიტიკური მოღვაწის აღექსანდრე და დავით ბატონიშვილების ნაზრევი.

აღექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონის რამდენიმე წერილზე დაყრდნობით გ. ობაშვილი დასახელებულ ნარკვევში წარმოაჩინა ამ მამაცი მებრძოლის პოლიტიკურ შეხედულებათა ნაწილს, კერძოდ, უართო და ხანგრძლივ ომებში თუ როგორ მოხერხებულად იყენებდა საქართველოს სამეფო საგვარეულოდან გამოსული ეს მოღვაწე 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის განსახორციელებულ პირობებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზზითა და მოსაზრებებით უკლიდნენ გვერდს “ამა ქვეყნისა ძლიერნი”.

მხურვალე მამულიშვილის აღექსანდრე ბატონიშვილის რუაბილიტაციის შემდეგ რამდენიმე წერილის განხილვის შედეგად მოცემულია მისი პოლიტიკური შეხედულების ერთგვარად გადმოცმის ცდაც.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიუმის არქივის სხვადასხვა ფონდში დაუზიანებული აღექსანდრე ბატონიშვილის წერილების გამოვლენამ ეთერ ორჯონიკიძეს გადააწყვეტილი ნარკვევის შექმნა საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ამ გმირზე.

ავტორმა თავისი გამოკვლევა დაბეჭდა აღექსანდრე ბატონიშვილის წერილებთან ერთად, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ამ ნაშრომისადმი.

ოფიციალურ მიმოწერასა და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით მკვლევარი მიზნად ისახავს გააშექოს ქართველი ბატონიშვილის ხანგრძლივი ბრძოლა რუსული ხელისუფლების წითელი ნაღმდებები.

წინამორბედ მკვლევარების (ნ. ლუბროვინი, ო. მარკოვა და სხვა) ნაშრომებზე დაყრდნობით ე. ორჯონიკიძემ გაითვალისწინა XIX საუკუნეში რუსეთის, ირანის, თბილისისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ამიერკავკასიით ცხოველი დაინტერეს სება და ასეთ ფართო ურთიერთობის ჭრილში განიხილა აღექსანდრე ბატონიშვილის გმირული ბრძოლები.

“საქართველოს ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, - ნათქვამია ე. ორჯონიკიძის აღნიშნულ ნაშრომში, - რადგან ეს იყო ის ქვეყნა, საიდანაც რუსების გან-

¹ გ. ობაშვილი, ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი XIX საუკუნეების. წიგნში: ქართული დიპლომატის ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ., 1998. გვ. 326-340.

დევნისა და ქალაკ მისი გავლენის გავრცელებისათვის უსამართო
ხიხელხორციელად იქ დაიხტერესებული და ამის მისაღწევად
შხად იქ დაუხტერესებლივ ეწარმოებინა ომი რუსეთთან".¹

ამასთან ერთად, კ. ორჯონიკიძე მიუთითებს იმ ნაშებზე, რაც 1809 წლიდან მოკიდებული ხელს უწეობდა ირახ-ესპალეთის გაერთიანებას და ცილიობს წარმოაჩინოს ალექსანდრე ბატონიშვილის ამ მხრით გაწეული მოღვაწების: "ახალციხის საფაში მყოფმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, - წერს აქტორი, - აქტიური მოქმედება გააჩადა თავისი მიზნების განსახორციელებლად. მან ცხოველი ურთიერთობა დაამყარა იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან, რომელმაც ახალციხეში თავისი სიძე მალხაზ ანდორნიკაშვილი გამოგზავნა. 1810 წლის მაისში ჯავახეთის სოფელ ქოთელიაში, სადაც იმ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი იმყოფებოდა, ტორმასოვის ტყველიდან გამოსული თავად სოლომონ II-ის მივიდა. მალე ამის შემდეგ იმერეთში ხელიდან ხელში გადადიოდა სოლომონ II-ის, ალექსანდრე ბატონიშვილის, შერიფ-ფაშას წერილები, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ იარა-დისათვის მოეკიდათ ხელი".²

სამწუხაროდ ქართველ მოღვაწეებს რუსეთის საწინააღმდეგო ასეთმა აქტიურმა ბრძოლამ იმხანად არ გაუმართლათ, მაგრამ 1812 წლისათვის საქართველოში მდაცრი მღელვარება დაიწყო.

აღნიშნულმა მკედვევარმა მძლავრ მოძრაობაში წარმოაჩინა ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწების რამდენიმე საბულისხმო ფაქტი.


3 კ. ორჯონიკიძეს, ძირითადად შეკრებილი მიმოწერის საფუძველზე საქართველოში მიმდინარე სხვა მოკლენების გაშექმნაშიც შეაქცეს კორექტივი.

რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ქართველი ბატონიშვილის იარაღით ბრძოლის პარალელურად ნაშრომში ნახვენებია ამ დიდი მოღვაწის ცდებიც რუსეთთან კავშირის შესანარჩუნებლად.

ალექსანდრე ბატონიშვილის მამაცური მოღვაწეობით მოხიბლულმა ისტორიკოსმა ამირან ცამციშვილ-ფიცხელაურმა წვლილი დახდო გმირი მებრძოლის საბიოგრაფიო ფურცლების გამოვლენასა და სამშობლოს თავისუფლებისათვის ხანგრძლივ ომში მისი დვაწლის დაფასებას.

¹ კ. ორჯონიკიძე ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. თბ., 1999. გვ. 19.

² იქვე. გვ. 22.



საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტ ვ. რამიშვილის მეშვეობით ა. ცამციშვილ-ფიცხელაურმა მოითხოვა აღექსანდრე ბატონიშვილის

ნეშტის საქართველოში გადმოსვენება.

საამისო დოკუმენტები ერთვის ავტორის საინტერესო ნარკვეს “დავიბრუნოთ საქართველოს უგვირგვინო მეფე აღექსანდრე ბატონიშვილი”,¹ რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულებთან ურთიერთობათა საქართველოს ცენტრის გრიფით დაიბეჭდა 2000 წელს.

აღექსანდრე ბატონიშვილისადმი მიძღვნილ გამოკვლევებთან ერთად წიგნში აღწერილია ის წარმატებული ძება, რომლითაც ავტორმა შეძლო ეპიტაფიების, ფოტოდოკუმენტების გამოვლენა და გადაღება.

ახლადმოპოვებული ეს დოკუმენტები მიმზიდველს ხდის ა. ცამციშვილ-ფიცხელაურის განხილულ მნიშვნელოვან ნაშრომს.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში მომხდარ აჯანყებებსა და შეთქმულებებს ყურადღებას უთმობენ მკელევარები მ. ვაჩნაძე და ვ. გურული ახალ ნაშრომში: “საქართველო-რუსეთის ურთიერობა”.² გამოკვლევაში ახლებურადაა გააზრებული ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება და მისი შედეგები. ამასთან ავტორები ეხებიან ქართული სახელმწიფოს დაცემის მიზეზებს. ააშეკრავებენ საქართველოს მეფეთაგან დაშვებულ შეცდომებს; ქვეყნის ერთიანი საგარეო პოლიტიკის უქონლობას, ქართველთა საერთო ინტერესების გაუთვალისწინებლობას.³

ავტორები ყურდღებას ამახვილებენ გუოგრაფიულ ფაქტორზე (კავკასიის გადმოსასელებზე კონტროლის დაკარგვა). მათი აზრით, საერთაშორისო არენაზე დიდი დიპლომატიური მარცხი გამოიხატა გეორგიევსკის ტრაქტატში აღნიშნული სახელშეკრულებო მუხლებით. ნავარაუდევი საქართველოსათვის ხელსაყრელი ზოგი პირობა შეუსრულებელი დარჩა.⁴

ირანის შაჰის, აღამაჰმად ხანის განხორციელებული პოლიტიკის მიზანი – ერეკლე მეორის დასჯა და რუსეთის მოგება-გათვლები საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს.⁵

¹ ა. ცამციშვილ-ფიცხელაური, “დავიბრუნოთ საქართველოს უგვირგვინო მეფე აღექსანდრე ბატონიშვილი”. თბ., 2000. გვ. 70-74.

² მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. თბ. 2001.

³ იქვე გვ. 5-7.

⁴ იქვე გვ. 18.

⁵ იქვე გვ. 20.

ქართლ-კახეთის შემდგომი ვითარების გაღმოცემის დროს აჭ-
ტორები განსაკუთრებულ უურადრებას უთმობენ ბატონიშვილთა
შეუთანხმებელ პოლიტიკას ქვეყნის დაქვეითების საქმეში.

ავტორები სამართლიანად მიუთითებენ საქართველოს დაპუ-
რობაში რუსეთის “ოსტატურად” მიმართულ უმთავრეს ღონისძიე-
ბებზე - უსისხლოდ მოესპოო ქართული სახელმწიფო ბრიობა.

ახალი სახელმდვანელო მითითებები თანმიმდევრულად სა-
კითხების განხილვისას შევაშველეთ ახლადგამოვლენილ საა-
რქივო ღოცემენტებს და სათანადო აღგილი მიუწინეთ ნაშრომის
სხვადასხვა ნაწილში.

2003 წელს მკვლევარმა მ. გონიკიშვილმა ბაგრატიონთა სახ-
ლოვან საგვარეულოდან გამოსულთა რუსეთში გადასახლებასა
და მოღვაწეობაზე მეორე, ფართო მოცულობის წიგნი გა-
მოქვეყნა. ამავე ნაშრომში არსებული ლიტერატურის საფუძ-
ველზე ავტორი ეხება აღექსანდრე ბატონიშვილს.¹

ისტორიკოსის კეთილი სურვილია გააშუქოს ამ სახელოვანი
მებრძოლის ხანგრძლივი ცხოვრება-მოღვაწეობა.

აღექსანდრე ბატონიშვილზე გამოქვეყნებული ლიტერატურის
(ბაგრატ და დავით ბატონიშვილები, პ. ბუტკოვი, ნ. დუბროვინი,
შ. ხანთაძე, თ. ხუსკივაძე და სხვა), წეაროების (აქტები, პერიო-
დიკის მასალები) გამოყენებით ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს
სამშობლოს ბედნიერებისათვის მამაცურად მებრძოლი ბატონიშ-
ვილის ცხოვრება-მოღვაწეობის საინტერესო ფაქტები.

წიგნში მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს აღექსანდრე ბა-
ტონიშვილის დაოჯახებისა და ღირსეული მემკვიდრის ირაკლის
ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების აღწერას და სხვა
საკითხებსაც.²

ამის მიუხედავად, ნარკევეი დაზღვეული არ არის ზოგი
არასწორი ფაქტისაგან, რაც ერთგვარად ამცირებს ამ დიდებული
მოღვაწის სამშობლო-სათვის თავდადება-თავგანწირების მარად
აღმაფრთოვანებელ ბრძოლების მნიშვნელობას, როგორც საქართ-
ველოს დამოუკიდებლობისათვის ომების ისტორიაში, ისე
აღექსანდრე ბატონიშვილის საინტერესო თავგადასავალს.

სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვადასხვა არქივის ფონ-
დებში დაცული მდიდარი წყაროების ურთიერთშეჯერების შედე-
ბად წევნ ვცდილობთ უფრო დავაზუსტოდ აღექსანდრე ბატონიშ-
ვილის ცხოვრება-ბრძოლების უმნიშვნელოვანესი ფაქტები და
ნათლად წარმოვაჩინოდ ქვეყნის წინაშე გაწეული მისი ღვაწლი.

¹ მ. გონიკიშვილი, ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში. თბ., 2002 წ.

² იქვე გვ. 418-421.

საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მატიანეში ამაღლებები ურცლები ჩაიწერა 1812 წლის აჯანყების დროს ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლით და მრავალმხრივი მოღვაწეობით.

ის მკვლევარნი (ალ. ფრონელი, ა. კიკვიძე, ო. მარქოვა, ნ. ბერძენიშვილი და სხვები), რომელიც შექნენ 1812 წელს საქართველოში მომხდარ ამ დიდ სახალხო მოძრაობას, თავის საპატიო მოვალეობად თვლილნენ ღირსეული აღგილი მიეჩინათ დამპყრობლებთან შეურიგებელი ბრძოლების გმირის ალექსანდრე ბატონიშვილისათვის. სამწუხაროდ, ეს დიდი საქმე დღემდე შესრულებულად არ ჩაითვლება.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა მკვლევარის აკ. გზაშვილის ლამაზად გაფორმებულმა წიგნმა: “კახეთის 1812 წლის აჯანყება”, რომელიც ეძღვნება აღნიშნული მდელვარების მონაწილე გმირთა ხსოვნას. ნამრომი მაღალ ტექნიკურ დონეზე დაიბეჭდა გამომცემლობა “არტანუჯის” სტამბაში.

სასიამოვნოა, რომ წიგნის ყდაზე აჯანყებულების ჯგუფურ სურათთან ერთად გამოსახულია ალექსანდრე ბატონიშვილის პორტრეტი.

ნარკვევის მრავალ გვერდზე ფიგურირებს ამ დიდი მოღვაწის სახელი. ავტორი გულდასმით ესწრაფვის გმირულად მებრძოლი ხელმძღვანელის როლის წარმოჩენას ამ დიდ სახალხო მოძრაობაში.

ქართულ და უცხოურ ენებზე შექმნილი მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო დოკუმენტების ერთი ნაწილის ანალიზით აკ. გელაშვილი დაასკვნის, რომ აჯანყების საერთო ხელმძღვანელი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო.¹

ავტორი არ ერიდება იმ მკვლევართა კრიტიკას რომლებიც ცდილობენ გმირი მებრძოლის როლის დამცირებას: “თუ ქართველი ისტორიკოსები, - წერს აკ. გელაშვილი, - მორიდებით აღიარებენ ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლის გმირულ და გონიერ ხასიათს, მათი რესი კოლეგები მონდომებით ცდილობენ, რაც შეიძლება დააკინონ და უშინაარსო მიზნებისათვის მებრძოლი ხასიათის აღამიანად წარმოადგინონ იგი, რომელიც მზადაა თავისი ამბიციების გულისათვის უცხოტომელ მძარცველები შემოუხიოს, მოაგეუსოს და სახიკვდილოდ გაწიროს მშობელი ხალხი. პარალელურად, შემთხვევას არ უშევებენ ხელი დან, ეს ამბიციურობა და საკუთარი ხალხის ლალატა.

¹ აკ. გელაშვილი, ქახეთის 1812 წლის აჯანყება. თბ., 2003.

კვლავდაპვლავ, საქართველოს სამეცნი კარისა და ბაგრატიონთა
საერთო მახასიათებლად წარმოაჩინონ".¹

ღოკუმენტების ცნობა-ჩვენებების მომარჯვებით მკვლევარი
უარყოფს

უცხოელთა ასეთ დაუსაბუთებელ მოსაზრებებს: "ფაქტები კი
საპირისპიროდ მეტყველებენ, - მიუთითებს ა. გელაშვილი, - აჯან-
ყების დაწყებიდან დასასრულამდე მის სათავეში ალექსანდრე
ერეკლეს ძის (ნაწილობრივ გრიგოლ ბატონიშვილის) დგომა,
გვაძლევს უფლებას განვაცხადოთ, რომ 1812 წელს ქართველი
ხალხის ეს მორიგი ბრძოლა დამპრობლების წინააღმდეგ
სწორედ ბაგრატიონების მიერ იყო წამოწყებული და ბოლომდე
მათივე ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა".²

ამის განცხადებასთან ერთად ავტორი ფართოდ მსჯელობს
ბაგრატიონთა მისიაზე, ათასწლოვანი სახელმწიფო მმართველო-
ბის გამოცდილებაზე და სხვა.

ალექსანდრე ბატონიშვილის მიზნებზე მსჯელობისას ა. გუ-
ლაშვილი საინტერესო დასკვნას გეთავაზობს: ბატონიშვილის
ბრძოლა მხოლოდ ენთუზიაზმით არ იყო განსაზღვრული: "ის
ფიქრობდა, რომ საქართველოში გაშლილი განმათავისუფლებელი
ბრძოლით შესაძლებელი იქნებოდა საერთო, ან თუნდაც ნაწილო-
ბრივი კავკასიური ომის გამოწვევა, რაც დააძლევინებდა ირანის
შას მერყეობას და გააბედვინებდა საქართველოში რუსთა წი-
ნააღმდეგ სერიოზული ძალების შემთუვანას, რის შედეგადაც ნა-
პოლეონთან მებრძოლი რუსეთი წავიდოდა იძულებით დათმო-
ბებზე და საქართველოს დამოუკიდებლობასაც აღიარებდა".³

საგულისხმოა ბატონიშვილის მეთაურობით გადახდილ რამ-
დენიმე ბრძოლაზე და სხვა ავტორისეული მოსაზრებანი.

სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლმა გმირმა
ალექსანდრე ბატონიშვილმა დიდი ხანია დაიმკეიდრა აღგილი
ს ა ც ნ თ ბ ა რ თ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი .

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ ტომში და-
ბეჭდილია ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მიძღვნილი სტატია.⁴
იგივე სტატია გადატანილია ენციკლოპედია "საქართველოში".⁵

¹ იქვე გვ. 145.

² იქვე

³ იქვე გვ. 211.

⁴ შ. ხანთაძე, ალექსანდრე ბატონიშვილი, ქართული საბჭოთა ენცი-
კლოპედია. ტ. I. თბ., 1975. გვ. 293-294

⁵ "საქართველო", ენციკლოპედია. ტ. I. თბ., 1997. გვ. 99-100.



აღსანიშნავია რ. მეტრეველის საქართველოს ისტორიადულების კონი, რომელშიც შესულია ხტატია ალექსანდრე ბატონიშვილზე! ¹

მაქსიმე ბერძნიშვილმა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ისტორიას მიუძღვნა ორი წიგნი ბიოგრაფიული ლექსიკონით ურთ. ამ უკანასკნელში “აქტების” საფუძველზე მოცემულია ალექსანდრე ბატონიშვილის მოკლე ბიოგრაფია.²

თ ფ ი ც ი ა ლ უ რ ი რ უ ს ი ი ს ტ ო რ ი კ თ ს ე ბ ი (პ. ბუჭკოვი, ნ. დუბროვინი, ვ. პოტო)³ ზედაპირულად აღწერდნენ კავკასიაში რუსთა დამკვიდრებისათვის გადახდილ ბრძოლებს. ისინი გატაცებულნი იყვნენ რუსი გენერლებისა და პოლკების განმადიდებელი თავგადასავლით.

რა თქმა უნდა, განდევნილი ქართველი ბატონიშვილი მათ მიაჩნდათ უცხო სახელმწიფოთა აგენტად და არ სურდათ შეეცნოთ სამშობლოსადმი მისი თავგამოლება, სიმამაცე.

ამის მიუხედავად რუს ისტორიკოსთა წიგნებში იმ ეპოქით დაინტერესებული თანამედროვე მეცნიერები შეიცნობენ რუსიულიატორული პოლიტიკის გატარებისათვის რუს მოხელეთა, სამხედრო მოღვაწეთა სისახტიკეს, რუსი ჯარისკაცების შეუპოვრობას, მათს მფარველ დამპურობელთა წინაშე ერთგულების წარმოსაჩენად.

ამასთან ერთად ამ ისტორიკოსთა შრომებში ავტორთაგან გამოვლინებული დოკუმენტების საფუძველზე წარმოჩენილმა ფაქტებმა არ შეიძლება არ მიიღოროს შემდეგი თაობების ყურადღება.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ისტორიის სწავლებისადმი საბჭოური ხელისუფლებისაგან გამოჩენილმა ურადღებამ ბევრ მეცნიერებარს გაუდინა ინტერესი წარსულის მნიშვნელოვან მოვლენათა გასაშუქებლად.

რუსმა მეცნიერებარმა თ. მარკოვამ 1940 წელს დაასრულა კახეთის 1812 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია.⁴

აღნიშნული ნაშრომი 1951 წელს გამოქვეყნდა გ. ხაჭაპურიძის რედაქციით. ამ გამოკვლევაზე სწრაფად შესრულებულმა გამოხ-

¹ საქართველოს ისტორია, ლექსიკონი. შემდგენელი რ. მეტრეველი. თბ., 1979. გვ. 39.

² გ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივის ისტორიისათვის. ტ. I. თბ., 1980. გვ. 107-108.

³ П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа. ч II спб. 1869; Н. Дубровин, История войны и владычества Русских на Кавказе. т. III спб. 1886; В. Потто, История 44-го Драгунского Нижегородского полка. т. I. спб. 1893.

⁴ О. П. Маркова. Восстание в Кахетии 1812 г. М. 1951 стр. 14.

გაურებამ და ამის საფუძველზე გავრცელებულმა ინფორმაციამ ხელი შეუწყო ავტორის პოპულარობას.

წიგნმა მაშინვე მიიპყრო არა მარტო ისტორიკოსების, არა მედ ფართო

საზოგადოების ურადღება, რადგან ავტორი XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის არა ერთ შემთხვევას საკითხზე გადმოსცემდა თავისი ხანგრძლივი კვლევის შედეგებს.

ნაშრომის შესავალშივე ო. მარქოვა აღნიშნავდა, რომ თითქოს ალექსანდრე ბატონიშვილის გეგმების განხორციელება ფეოდალურ საქართველოს დაქუცმაცებისაკენ დააქანებდა და პოლიტიკურად დაასუსტებდა.

ავტორი იქვე მიუთითებდა გლეხებთან ალექსანდრე ბატონიშვილის ურთიერთობაზე მიღებულ თავის დასკვნას, თითქოს გლეხებს ადრევე მიეტოვებინორთ თავისუფლებისათვის ეს მამაცურად მებრძოლი, მისი რაზმითურთ.¹

მართალია წიგნი ეძღვნება კახეთში 1812 წელს მომხდარი მღვდვარების ეტაპების განსაზღვრას, აჯანყების წარმოქმნის მიზეზებს, მსვლელობას, აჯანყებაში თავადაზნაურთა მონაწილეობას, საქართველოსადმი მეზობელ სახელმწიფოთა (ირანი, ოსმალეთი) და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მესვეურთა გამოჩენილ ინტერესსა და გეგმებს, მაგრამ ამასთან, ავტორი, ძირითადად, რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ქართველთა მასობრივი ბრძოლის ფონზე ფართოდ განიხილავს ალექსანდრე ბატონიშვილის გმირულ ბრძოლებს სამშობლოს თავისუფლებისა და საქართველოში მეცნიერების აღსაღენად.

განათლებული მკვლევარი ეკრძნობა რუსულენოვან გამოქვეყნებულ და საარქიერ დოკუმენტებს, შეძლებისდაგვარად იყენებს თემის გარშემო ევროპულ ენებზე არსებულ ლიტერატურას, მაგრამ მოპოვებული ფაქტების მისეული შეფასებანი ხშირად არ აჩენს მოვლენის არსე. დოკუმენტთა ო. მარკოვასული ანალიზის შედეგებით წიგნში წარმოჩენილი არ არის უცხო ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოში მძღავრი სახალხო გამოსვლების სრულყოფილი სურათი.

საქართველოს ულამაზესი კუთხის კახეთის მოსახლეობის XIX საუკუნის 10-იან წლებში გმირული გამოსვლების ვრცელ არეალთან დაკავ-შირების გამო ბუნებრივია, ავტორიც ზრდის საკვლევი თემის ქრონოლო-გიურ ჩარჩოებს მღვდვარების მოვლენების წინაპირობების ჩვენებისათვის საჭირო ახლადმოპოვებული დოკუმენტებით, აღრინდებლი პუბლიკოებითა და სხვა.

¹ იქვე გვ. 5.

ამ კეთილი განზრახვის მიუხედავად, საბჭოური შეცვლებაზე ქალის მსჯელობა-დასკენები მეტწილად ტენდენციურია.

ამის ერთერთი მიზეზი ავტორისათვის უცხო ქავენის საზოგადოებრივი განვითარების ბუნების შეცნობლობაა. ამის გამო ამ ღრმასა და ფართო სახალხო მოძრაობას მკვლევარი აცხადებს ამბოხად, თავისუფლებისათვის მებრძოლებსა და მათ მეთაურებს, მეამბოხეებად.

საჭირო მიზნითა და სიღრმით კვლევის წარუმართაობის გამო მკვლევარისაგან გამოთქმული შეხედულებანი არ ასახავს ვერაცობით სამშობლოში გაბატონებული უცხოელების წინააღმდეგ სამართლიანობისათვის მამაცურად მებრძოლი ხალხის მიზნებს, არ წარმოაჩენს აჯანყების ხელმძღვანელთა რეალურ გეგმებს და ლალატად თვლის მათ მეზობელ თუ შორეულ სახელმწიფო ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ავტორი არ ფარავს ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ისტორიებისაგან შეცნობის სირთულეს და ყურადღება გადააქვს კავეასიაში რუსეთის დამკვიდრების გამო უცხო სახელმწიფოთა მეტოქეობაზე.

ო. მარკოვა უსამართლოდ იწუნებს წინამორბედ ქართველ ავტორთა აღნიშნულ თემაზე შესრულებული შრომების იდეურ სარჩევს, ხოლო ოფიციალური აზრის გამტარებელ მის თანამჯ-მამულე მკვლევარების წიგნებში ხედავს სამხედრო მოქმედებათა აღწერის, იმ დროს საქართველო-ეკვასიაში დისლოცირებულ და აქ მიმდინარე ბრძოლების მონაწილე პოლკთა თავგადა-სავალს.

ოფიციალური იდეების გამტარებელ რევოლუციამდედ ისტორიებთა შრომებში ო. მარკოვა სამართლიანად ხედავს სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების ბოროტმოქმედებაზე მითითებით ქვეანაში მიმდინარე ღრმა მოვლენების ზედაპირულად ახსნას, თავისუფლებისათვის სახალხო ბრძოლის მეთაურის ალექსანდრე ბატონიშვილის როლს ო. მარკოვა ხედავს დაწყებული აჯანყების ხელშეწყობაში, მეამბოხეთა წაქეზებაში!¹

ამის გამო გამოუკვლეველი რჩება ალექსანდრე ბატონიშვილის გმირული ბრძოლის მნიშვნელობა სამშობლოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის.

ტენდენციურობის მიუხედავად ო. მარკოვა ფართოდ მოხმობილი გამტკვეუნებული წყაროების, რუსეთის არქივებში დაუნჯებული ახლადგამოვლენილი ღოკამენტებისა და უცხოური ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე გადმოსცემს ჩვენი გმირის მრავალმხრივი და ფართო მოღვაწეობის ზოგ მნიშვნელოვან

¹ იქმა- გვ. 7

ფაქტს. რაც მომავალ მქონევარის ამ მხრით ერთგვარად უწინდებოდა ქართველების ჩახარავებელ საკვლევაშიებო სამუშაოს.

ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობისა და ხაქართველობის ხახალხო მოძრაობის შესწავლისათვის ო. მარკოვსაგან გამოყენებული მეთოდით შესრულებულ ნაშრომს ხახევარ ხაუკუნეზე მეტია იყენებენ ამ პირობით დაინტერესებული ქართველი და უცხო მქონევარები, რაც მეტყველებს საკვლევი პრობლემის აქტუალობაზე, თემისადმი მქონევარის დამოკიდებულების თავისებურებაზე წიგნში შეტანილი ზოგისთვის აქამდე ხელმიუწვდომელ დოკუმენტის მონაცემით სხვა მქონევართა დაინტერესებაზე.

რუსელუნოვანი ლიტერატურის (ნ. ლუბროვინი, ლ. ისარლოვი, ო. მარკოვა, გ. ხაჭაპურიძე) და პრეხის მასალის მიხედვით ნიახერას (ქაქაბეგთის) ბრძოლის განხილვას ცდილობს ჯ. ვათეიშვილი, რომელიც ხევადასხვა გამოცემაში (კ. „მაცნესა“ და წიგნში) ორჯერ შეეხო აღნიშნულ მოვლენას.

XIX ხაუკუნის დამდეგს ხაქართველობი გადახდილ ამ დიდ ბრძოლას მქონევარი მიიჩნევს რუსი და ქართველი ხალხის მფგობრობის გამოვლენად. ამით ავტორი ბრძოლის მიზნებსა და ხასიათს ჩრდილავს.

მოვლენი წელს იგივე ბრძოლა ჯ. ვათეიშვილს რატომდაც დაუსათაურებია ხახელწოდებით: “ქაქაბეგთის ბრძოლის ისტორიული აფიისათვის”!¹

ამ დიდმნიშვნელოვანი ბრძოლის შესაფასებლად ავტორი არ იყენებს ქართულ წერტილებს, მათ შორის, ომის მონაწილე ქართველი სარდლის ნაშრომს.

ჩვენ არ გვაქმაუოფილებს ავტორის მსჯელობა აღნიშნულ ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილის როლზე, რომ არაფერი ვთქვათ ნიახერასთან ომის მიზნებზე, ორგანიზატორებზე, მთავარსარდლებზე და სხვა მნიშვნელოვან მომენტებზე.

1932 წელს ნიუ-იორქში გამოცემულ წიგნში “ქართველი ერის ისტორია” უ. ალენი მიუთითებს ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლის რამდენიმე ფაქტს და არსებულ პუბლიკაციაზე (აქტები) დაყრდნობით გვიჩვენებს ხაქართველოს მთავარმართებელ პ. დ. ციციანოვთან მის ურთიერთობას.²

¹ Дж. Ватенишвили, из истории Грузино-Русских баевого содружества против Иранской агресии, Какабетское сражение 1800 г. მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, 1972 №4. გვ. 97-112. იხ. მიხევ რუსская общественная мысль и печать на Кавказе. М. 1973. გვ. 388-404.

² W. E. D. Allen. A History of The Georgian People. New York, 1932. p. 215-216.

1957 წლის გამოქვეყნდა დ. ლეხიგის “ქართული უშინაიშვილი უკანასკნელი წლები”. ავტორი აღვეჯსანდრე ბატონიშვილს უწოდებს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ უკელაზე შეურიგებელ, ოპოზიციონერ მებრძოლს. აღნიშნავს საქართველოს სამეფოდან მის გაქცევას. წიგნში მითითებულია ბატონიშვილის ცდა ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გადასარჩენად, რაც უშედგაოდ დამთავრდა.¹

ამავე ავტორის შემდგვანებულ ნაშრომში “საქართველოს ახალი ისტორია”, აღვეჯსანდრე ბატონიშვილის შესახებ ავტორს უფრო მეტი ცნობები მოაქვს ქართველი უფლისწულის დაღებტანში მოღვაწეობაზე, რუსების წინააღმდეგ ბრძოლაზე და სხვა.²

დ. ლეხიგს შევძლო გაეშექებინა აღვეჯსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით ირანში მურყ ქართველების ინგლისელ დიპლომატებთან დამოკიდებულება მაგრამ საამისო მასალებით იგი არ დაინტერესებულა.

რუსეთის იმპერიის გაბატონებას კავკასიაში ჯ. ბედლიმ უჭიდვნა წიგნი, რომელშიაც ქართველ ბატონიშვილს პირდაპირ მოიხსენიებს იმპერიული ხელისუფლების მტრად. ავტორი მოუთითებს ხიდნადის მიღამოებში 1812 წლის შემოდგრმაზე აღვეჯსანდრეს დამარცხებას.³

ო. უორდორპი წიგნში: “საქართველოს სამეფო სახლი”. თავისი ზრახვების აღსახულებლად ავარელი ომარ-ხანის საქართველოში შემოჭრას ირანისგან მიღებულ აღვეჯსანდრეს დახმარებად აცხადებს. ეხება რუსეთისგან განხორციელებულ საქართველოსათვის ისეთ ავბეჭით დონისძიებას, როგორიც იყო ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა პეტერბურგში გადასახლება.⁴

უ. მონტები ეხება თავის მოღვაწეობას ისეთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ცენტრებში როგორიცაა არაუმი, ყარსი და სხვა. მის წიგნში გადმოცემულია ამ ინგლისელ მოღვაწის ქართველ ბატონიშვილთან შეხვედრის ფაქტები. მოკლედ ეხება კახეთის

¹ D. Lang, The last years of The Georgian Monarchy 1658-1832. New York, 1957. p. 136.

² D. Lang, A Modern History of Georgia. Lon. 1962, p. 54.

³ J. Baddeley, The Russian Conquest of The Caucasus. New York, 1908. p. 61, 68.

⁴ O. Wardrop, The Kingdom of Georgia. Lon. 1977. p. 129-130.

აჯანყებაში ალექსანდრეს მოღვაწეობას. გამორჩეულ ქართველ მხედართმთავარს იგი ადარებს ჩარლზ ელვარდს.¹

§2. წყაროები

გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე მრავალფეროვანი წყაროები მოგვეპოვება.

მისი ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველი ღოკუმენტები ურცელი რეგიონის ამა თუ იმ კუთხეში თანდათან იქმნებოდა სხვადასხვა ენაზე და ფართოდ ურცელდებოდა. ეამთა სიავის გამო მრავალი საბუთი განიავდა, მაგრამ ძიებათა შედეგად მაინც მოვიპოვებოთ მაშინდელ მრავალფეროვან ჩანაწერებს: ანგარიშებს (საბრძოლო-სამეურნეო), არზებს, ანდერძებს, აღწერილობებს (დროშების, ხატების, პოლკების, საჭურვლის, საჩურების...), ბარათებს, ბრძანებებს, კაისტოლებებს, კაიტაფიცებს, ინსტრუქციებს, მოწოდებებს, სხვადასხვა კუთხის მოსახლეობისადმი, რწმუნებისა და წყალობის სიგელებს; პატაკებს, პერმანენტული ბრძოლების სქემა-გაგმებს, რუკებს, ფირმანებს, ფიცის წიგნებს, ვექსილებს, შეთანხმების პირობებს, საჩივრებს, სათხოვრებს, გზების, სტრატეგიული ადგილების მარშუტებს; ნახატებს, ციხესიმაგრეთა გეგმებს, აღწერებს, დემოგრაფიულ, თავადაზნაურთა რაზმების სიებს, ბრძოლის ველზე მებრძოლთა განლაგებისა და შეტევის მონახაზებს, მიმართვებს, ოქმებს დიპლომატიური მოღაპარაჯების ჩანაწერებს, წინადადებებს, საზაფო ხელშეკრულების მუხლებს; ბრძოლის ქარცეცხლში სახელდახელოდ წარმოქმნილ ფრთიან გამოთქმებს, ლეგანდებებსა თუ ლექს-სიმღერებს.

ამასთან ერთად მკველვარს ეღის სხვადასხვა დანიშნულებისა და მნიშვნელოვანი შინაარსის მქონე სხვა ღოკუმენტებიც.

საარქივო დოკუმენტები ალექსანდრე ბატონიშვილის მრავალმხრივი, ხანგრძლივი მოღვაწეობისა და განხორციელებული პოლიტიკის შესაცნობად ჩვენამდე მოღწეული მდიდარი წყაროებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საარქივო დოკუმენტების ხანგრძლივი ბრძოლის ამსახველი საბუთები დაცულია ჩვენს სამშობლოსა და უცხოეთში. მათგან უკელაზე მდიდარი ქართული და რუსულენოვანი დოკუმენტები მოთავსებულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის სხვადასხვა ფონდებში. რომელთაგან განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა: ქავეასის

¹ W. Monteith, kars And Erzeroum. With The Campaigns Of Prince Paskiewitch In 1828 and 1829. Lon. 1856. p. 72-76.

მთავარ-მართებლის კანცელარიის ფონდი (№2). ამავე შესწევის ბარათები, ეპისტოლები, მგზებარე მიმართვა-მოწოდებები კავასის ხალხებისადმი და სხვა თავმოურილია ძველ საბუთა კოლექციაში (№1448), ხოლო საარსელი წეაროები მოთავსებულია 1452-ე ფონდში. საინტერესოა ამავე არქივში არსებული განსაკუთრებულ საქმეთა და საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ფონდის (№16) დოკუმენტები.

მდიდარი მასალებია შეკრებილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. ქაველიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის, ქართველთა მორის წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოებისა და ახალ ფონდებში.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ალექსანდრე ბატონიშვილის აღზრდის, სახელმწიფო და სამეურნეო მოდგაწების ამსახველ დოკუმენტებს, რომელიც დაცულია საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში.

ადგილობრივ მონაცემებითან, ადმინისტრაციასთან ალექსანდრეს ურთიერთობის ამსახველი მიმოწერა, სიგალები თავმოყრილია საეკლესიო მუზეუმის ფონდში. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აქვე დაცულ ირანულ და ოსმალურ კოლექციებს.

ალექსანდრესა და თეიმურაზის უცხოეთში კულტურულ-სამწერლო მოღვაწეობიდან მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ირანში და სხვაგან შექმნილ ორიგინალურ, ნათარგმნ და გადანუსხული თხზულებების მინაწერებში. ირკვევა, რომ ალექსანდრეს უცხოეთში მრავალი წიგნი წაუდია, მათ შორის ფრიად მნიშვნელოვანია ირანში გადაწერილი “ქართლის ცხოვრება”, რომელსაც მეტად საგულისხმო ცნობების შემცველი ანდერძი ახლავს.

საიტერესო ცნობებს შეიცავს ფშავება და ხევსურეთში დექანობის, ხევისბერებისა და სხვა მოღვაწეებისადმი ალექსანდრე ბატონიშვილისაგან სხვადასხვა აღგილებიდან გაგზავნილი მოწოდებები, წერილები.

ეს საბუთები ფშავში 1914-17 წლებში მოღვაწეობის დროს შეუკრებია სანხერელ მღვდელს ფ. ზაბახიძეს.

საქართველოს განმათავისუფლებელი პრიოლის მეთაურის მოღვაწეობის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მის ზემოაღნიშნულ მდიდარ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას.

მრავალფეროვანი ოფიციალური დოკუმენტები დაცულია უცხოეთის სხვადასხვა არქივებში. მათ შორის უვალაზე მდადარია: რუსეთის ფედერაციის სამხედრო საისტორიო არქივის

ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო და სხვა უძრავი დაწესებულებები; სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური საისტორიო არქივი და სხვა.

ალექსანდრესა და თეიმურაზ ბატონიშვილების საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონისადმი მიმართვა-წერილი ინახება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში.

საქართველოს განთავისუფლებისათვის დაუდალავად მებრძოლი გმირის სამშობლოსა და უცხოეთში ხანგრძლივმა ბრძოლა-მოღვაწეობამ განსაზღვრა ჩვენამდე მოღწეული მდიდარი დოკუმენტების თავისებურება.

ტრადიციული ქართული საბუთების (ანდერძ-მინაწერები, ბრძანებანი, გაისტოლები, სიგელები და სხვა) გეერდით გეხვდება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციებზე მდიდარი ინფორმაციის შემცველი გეგმები, დასმენა-განახენები, მოწოდებები, მიმართვა-მიწერილობები, მოხსენებები, პატაკები, უწყებები, შუამდგომლობანი, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე.

მეტად საინტერესოა წერილების შინაარსობრივი სიმრავლე (მოქითხვის წერილი, ფართო მოხსენების შემცველი წერილი-მოწოდება, წერილი-წინადადება და სხვა). მნიშვნელოვანია გადაადგილება-მგზავრობის, ამაღის წვერთა, მზევრაუთა და სხვათ ვინაობა-რაოდენობის ამსახველი ცნობები.

გასათვალისწინებულია ბრძოლა-მოძრაობათა გეგმები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გმირის და მის თანამედროვეთა ტილოზე თუ კედლებზე (ფრესკა) აღბეჭდილ პორტრეტებს და მათ რეპროდუქციებს, რომლებიც დღეს საინტერესო ფოტოდოკუმენტების კოლექციას ქმნის.

წარსულის აღსაღენად მკვლევარისათვის საგულისხმოა მატერიალური კულტურის ნაშთები (ციხე-სიმაგრეები, კოშკები, კალესია-მონასტრები), ბრძოლათა მემორიალური აღგილები, კაიბაფიები.

გ ა მ თ ქ ვ ე ყ ნ ე ბ უ ლ ი დ თ კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი . მკვლევარებმა ძირითადად შეძლეს ალექსანდრეს გაისტოლების ერთი ნაწილის პუბლიკაცია. მიმოწერის დოკუმენტები უმთავრესად შესულია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შექმნილი კრებულის, ქავეკასიის საარქეოგრაფიო კომისიის სერიაში, აქტებში.¹

¹ Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Под редакцией Ад. Берже, т. I-VIII. 1866-1881 гг.



აღნიშნულ საკითხებე მცირე რაოდენობის, მაგრამ მას ურადღებო ცნობები შემოგვინახა ალ. კაგარელიმა დოკუმენტების კრებულში: “Грамоты ...”¹

ჩვენთვის საინტერესო თემას ეხება რამდენიმე დოკუმენტი კ თაყაიშვილის რედაქტორობით შედგენილ კრებულში: “საქართველოს სიძეველენი”².

აღექსანდრეს შესახებ რამდენიმე წერილი და მოღვაწეობის უაქტი შესულია ის. დოლიძის “ქართული სამართლის ძეგლებსა”³ და ავ. ოსელიანის “ქრონიკებში”⁴.

აღექსანდრე ბატონიშვილის მდიდარი კაისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლაში წვლილი შეიტანა კ. ორჯონიშვილმ, რომელმაც შეკრიბა და გამოსცა აღექსანდრე ბატონიშვილის წერილები.⁵

მკვლევარს აღმოსავლური საბუთების შესწავლას უადვილებს 1989-90 წლებში ორ ტომად გამოცემული “სპარსული ფირმანების თბილისური კოლექცია”.⁶

ჩვენს დედაქალაქში საუკუნეების მანძილზე დაუნჯდა ოსმალური, სპარსული და სხვა აღმოსავლური დოკუმენტები. ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან საბუთები უპირველესად ასახულია საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე ბრძოლები, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სხვა მოვლენები. საქართველო-ირანისა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის საგულისხმო ფაქტები.

აქ გამოქვეყნებული დოკუმენტების ერთ ნაწილში ასახულია XIX საუკუნის I მესამედში აღექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით საქართველოსა და კავკასიაში გადახდილი გმირული ბრძოლების მომენტები.

ამ მხრივ ჩვენთვის ახლა განსაკუთრებით საინტერესოა ბაბახანის, აბას

¹ Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии. Под редакцией А. А. Цагарели. т. II. вып. II. СПБ 1898.

² საქართველოს სიძეველენი, კ. თაყაიშვილის რედაქციით. ტ. III, ტვ., 1910.

³ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II-VIII. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ის. დოლიძემ თბ., 1965-1985წწ.

⁴ საქართველოს ისტორიის ქრონიკები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოქვლევები შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. ოსელიანმა. თბ., 1980.

⁵ კ. ორჯონიშვილ, აღექსანდრე ბატონიშვილის წერილები. თბ., 1999.

⁶ Тбилисская коллекция Персидских фирманий. Т. I-II. Подготовка к печати перевод, комментарии и словарь М. А. Тодуа. Тб., 1989-1990. гг.

მირზას, ალექსანდრე ბატონიშვილისა და სხვათა სპეციალურების ენაზე შედგენილი ფირმანები საქართველოს სამეცნიერო სხვადასხვა მხარეთა მოსახლეობისადმი.

სვენი ოქმისათვის ამ მხრივ გამოსაღებია: ფათალი-შაჰის 1803 წლის 17 ოქტომბრის მოწოდება მექამედ-ჟუსეინ ბეგის, ნახიბ-ბეგის და სხვა ბეგებისადმი რუსების წინააღმდეგ ფირ-უცლი ხან ყაჯარისა და ალექსანდრე ბატონიშვილისათვის მხარდაჭერის შესახებ,¹ მისივე 1804 წლის მოწოდება შირინ-ბეგისა და სხვა მფლობელებისადმი, აბას მირზას თანამებრძოლ ალექსანდრე და თემურაზ ბატონიშვილების ბრწყინვალე დახასიათებისა და მათი ჯარისათვის დამატებითი საბრძოლო დახმარების გაწევის მოთხოვნით. ასევე საინტერესო სპარსულ ენაზე შედგენილი 1804 წლის მოწოდებები: არაგვის ხეობის, თბილისელთა, იმერეთის მეფის სოლომონ II-ისა და კავკასიის სხვადასხვა მხარის მოსახლეობისადმი.

ზემოაღნიშნული კრებულის მეორე ტომში ეხვდებით ირანის შაჰის მექევიდრის აბას მირზას 1810 წ. საბრძოლო მოწოდებებს ქართლის გუდა-მაყარ-ფშავ-ხევსურეთის, ქსნის, ლიახვისა და არაგვის ხეობათა მცხოვ-რებლებისადმი რუსების წინააღმდეგ ბატონიშვილისათვის მხარდასაჭერად².

მ ე მ უ ა რ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ლ ა ნ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ალექსანდრე ორბელიანის მოგონება-ჩანაწერები და საგულისხმო თხზულებანი.

1867 წელს გაზაფულზე, ალექსანდრე ორბელიანის თბილისში დაუსრულებით საინტერესო მოგონება: “მამინემისაგან დალატი მეფის ირაკლიისა”.³

აღნიშნულ ჩანაწერებში შესულია მოგონება ალექსანდრე ბატონიშვილის თანამებრძოლებზე.

საინტერესო ალექსანდრე ორბელიანის მეორე თხზულებაც: “რაც რუსები მოსულან საქართველოში იქიდან აქამდისინ ქართველების შეთქმა წინააღმდეგ რუსეთისა”.⁴

ეს საინტერესო ფაქტების შემცველი მოგონებების კრებულიც ღრმა შინაარსობრივი დატვირთვისაა და პატრიოტი ქართველის გულისთქმას გამოხატავს ჩვენს ქვეყანაში XIX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე რთულ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე. პატრიოტი ავტორი გადმოგვცემს მეფის რუსეთის მესვეურთა შეუნელებელ ბრძოლას ქართული სამეცნიერო სახლისა და ინტელი-

¹ იქვე ტ. I. გვ. 202.

² იქვე ტ. II. გვ. 169.

³ ქხი, ფ. S, ს 1652^ა.

⁴ იქვე ფ. S, ს 1656^ბ.



გენციის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა კილეც ალექსანდრე ბორიშვილის დახაღუპავად მოყიქრებულ ცარიზმის ვერაგულ ღონისძიებებში.

რუსულენოვანი ლიტერატურიდან საინტერესოა ს. ტუჩოვის ჩანაწერები.¹

ქართულ პერიოდულ პრესაში არეს ალექსანდრე ბატონიშვილზე ცნობებს ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში ვხვდებით.

1862 წელს კურნალ “ცისკარში” დაიბეჭდა თეიმურაზ ბატონიშვილის, “საქართველოს მეფის გიორგი მეათცამეტის მეფობა”,² რომელშიც მცირე მნიშვნელობის ცნობას ვხვდებით ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობაზე.

1868 წლის გაზეთ “დროებაში” გამოქვეყნდა დ. ბებუთოვის წერილი “კახეთში არეულობა”.³ სტატიის ავტორი საუბრობს ალექსანდრეს როლზე 1812 წლის აჯანყებაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დ. ბებუთოვი იყო მოვლენების თანამედროვე.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს, 1872 წელს ამავე გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა პატრიოტული სულისკეთებით გამსჭვალული ფელებრი ალექსანდრე ბატონიშვილი საპარსეთში”. ავტორი (“კ”) ზოგადად მიმოიხილავს “ცხოველი ქართველი ბატონიშვილის კოფნას”.⁴

საინტერესოა 1893 წელს “კვალში” დაბეჭდილი რაფფის ნაამბობი. “ბატონიშვილის ალექსანდრეს ცხოვრება საპარსეთში”, რომელიც საგულისხმო, თუმცა დაუსაბუთებელ ფაქტებს ასახავს ქართველი ბატონიშვილის საპარსეთში მოღვაწეობიდან.⁵

1900 წელს კურნალ “მოამბეში” დაიბეჭდა ალექსანდრე ბატონიშვილისა

¹ С. Тучков, Записка Сергея Алексеевича Тучкова. СПБ. 1908.

² თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს მეფის გიორგი მეათცამეტის მეფობა. “ცისკარი”, დექემბერი 1862 წ. გვ. 269-270.

³ დ. ბებუთოვი, კახეთში არეულობა, “დროება”. 1868 წ. №2.

⁴ ალექსანდრე ბატონიშვილი საპარსეთში, ფელებრი გ-სი “დროება”. 1872 №28.

⁵ დ. ტერ-დავითიანცი, ბატონიშვილ ალექსანდრეს ცხოვრება საპარსეთში. “კვალი”, 1893 წ. №41. გვ. 8. ამასთან საგულისხმო 1872 წელს “კ”-ს დროებაში გამოქვეყნებული წერილი.

და იოსებ ბებუთაშვილის მიწერ-მოწერა.¹ წერილებით საინტერესო ცნობებს შეიცავენ ალექსანდრესა და რუსეთის მთავრობის მესვეურთა ურთიერთობის შესახებ.

თ. ხუსკივაძემ “ივერიაში” დასტამბა ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ნარკევი. ნამრობი ეყრდნობა “აქტებში” არსებულ დოკუმენტურ მასალას.²

XX საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი პარტიის ორგანოს ფურადღება მიიქცია სახალხო განმათავისუფლებელმა ბრძოლებმა. “სახალხო გაზეთში” 1914 წელს გამოქვეყნდა გმირი მებრძოლის, ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ნარკევი.³

მევლევარი შ. ხანთაძე, როგორც ჩანს, დიდი ხანია დაინტერესებული იყო ალექსანდრე ბატონიშვილის პიროვნებით. 1961 წელს გამოქვეყნდა მისი “მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის”⁴.

XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში ავტორი ბატონიშვილს თვალსაჩინო ფიგურად სამართლიანად აღიარებდა. მევლევარი ენერგიულად ცდილობდა წარმოებინა გმირის როლი კორქის პოლიტიკურ მოვლენებში.

ჯეროვნად შესწავლილი არ არის ამ გაბეჭდული, მრავალმხრივი მოღვაწის შინაარსიანი ცხოვრების ამსახველი საიმედო ცნობები. ჯერ გაურკვეველია მრავალი დოკუმენტი, რის გამოც ბიოგრაფია დაუდგენერდია და მისი ცხოვრება-მოღვაწეობიდან ბევრი რამ ბუნდოვანი და გამოუკვლეველია.

ავტორი შეეცადა ქართული ისტორიოგრაფიის ამ სამარცხევინო ნაკლის ამოვსებას. მას რუდუნებით შეკრიბა და დააღავა პერიოდიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ალექსანდრე ბატონიშვილზე არსებული ცნობები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ საინტერესო პიროვნების მოღვაწეობას შ. ხანთაძემ მიუძღვნა კიდევ ზემოაღნიშნული მოქრძალებული ნაშრომი.

სამწუხაროდ, შ. ხანთაძის აღნიშნული პუბლიკაციის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიის შესასწავლად მიება

¹ ალექსანდრე ბატონიშვილისა და იოსებ ბებუთაშვილის მიწერ-მოწერა, “მოამბე”, 1900. №2. გვ. 63.

² თ. ხუსკივაძე, ალექსანდრე ბატონიშვილი. “ივერია”, 1902 №262-268.

³ ა. აბესაძე, ალექსანდრე ბატონიშვილი, “სახალხო გაზეთი”, 1914. №1132-1140.

⁴ შ. ხანთაძე, მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის. აქად. ს. ჯანაშიას სახელობის სახლმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXII-B, 1961 წ. გვ. 139-274.

ფართოდ არ გაგრძელებულა, რის გამოც საქართველოში მასალები დინასტიიდან გამოსულ ხევნებულ საყურადღებო მოღვაწეზე არსებული საბიოგრაფიო მასალები დღესაც არ არის საფუძვლიანად გამოვლენილი და გაანალიზებული.

XX საუკუნის მიწურულს ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ წერილებს აქვეყნებენ: გ. გაგაშელი (პორტრეტი ისტორიული პიროვნებისა “ლიტერატურული საქართველო”, 1996 წ. №2), ლ. წერეთელი (ალექსანდრე ბატონიშვილი, “მითიური გმირი”. “ლიტერატურული საქართველო”, 1996 წ. №39), გ. წიკლაური (რუსს უნდა ვებრძოლოთ აქ, ამ სოფლადაც და იქ, საიქიონშიც... “თვალთაი”, 1996, №11).

ირანში გადახვეწილი ქართველი მამულიშვილის განსასვენებელთან დაკავშირებული საქითხები ქართულ პრესაში განიხილება და დღის სინათლეზე გამოიტანება მკელევარებმა: ა. თოდუამ (... შირე გურჯი, ანუ ვალირსოთ ქართული მიწა ალექსანდრე ბატონიშვილის ძვლებს. “მამული”, 1990 წ. №1) ნ. მოლაშვილმა (სალაც ქართველი კაცი მარხია. “ჩვენი მწერლობა”, 2002 წ. №38), გ. ბათიაშვილმა (მიწას-მიწისა, სამშობლოს-სამშობლოსი. “ჩვენი მწერლობა”, 2002 წ. №6).

კავკასიის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ხალხებთან დამოკიდებულებასა და მთიკლთა განმათავისუფლებელ გმირთან, იმამ-შამილთან ალექსანდრე ერეკლეს ძის კავშირურთიერთობათა საქითხები განხილული აქვთ მკლევარებსა და პუბლიცისტებს: ლ. ურუშაძეს (ალექსანდრე ბატონიშვილი, “კავკასიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდი”, “თავისუფალი საქართველო”, 1994 წ. №4), ნ. არდობელი (ავარიის ხანების ამოწვევება და შამილის ვინაობის საქითხი. “ჩვენი მწერლობა”, 2002 წ. №6), კ. ჭრელაშვილს (ერთი უნიკალური ცნობა შამილის პიოგრაფიიდან. “ჩვენი მწერლობა”, 2002 წ. №26).

უკანასკნელ ხანს ალექსანდრე ბატონიშვილის მამაცურ ბრძოლისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის გაშუქებას ხელს ჰქიდებენ ახალგაზრდები.

საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კრებულის პირველ წიგნში დაბეჭდილი აპოლონ თაბუაშვილის: “გლეხთა როლი ალექსანდრე ბატონიშვილის მეთა-ურობით მოწყობილ 1812 წლის ქახეთის აჯანყებაში”.¹

¹ თხუს საქართველოს ისტორიის კათედრის სტუდენტური ძიებანი, I. თბ. 2001, გვ. 65-71.

იმავე ავტორმა მხგავსი შინაარსის წერილი გამოაქვეყნდა უნდა ნაღ “გზაში”!

ხანგრძლივი სამეცნიერო-ხარქივი ძიების შედეგად ჩვენ გა-
მოვაქექნეთ რამდენიმე ნაშრომი.²

1828 წლიდან თბილისში ო უ ს უ ლ ე ნ ა ზ ე გა-
მოიცემოდა გაზეთი “თბილისის უწყებანი”.

აღნიშნული გაზეთის იმავე წლის პირველსა და მეორე ნო-
მერში გამოქვეყნებულ ანონიმი ავტორის სტატიაში “საქართ-
ველოზე ომარ-ხანის თავდასხმა, ბრძოლა ივრის პირს 1800 წლის
7 ოქტომბერს” მოცემული დახასიათება ალექსანდრე ბატონიშ-
ვილის მოღვაწეობის შეფასების ერთერთ პირველ ცდად უნდა
ჩაითვალოს.³

წერილში გატარებულია მპერობელის იდეა. ქრისტიანული
რუსეთისგან ერთმორწმუნე ქართველთა დიდი ხნის მფარველო-
ბის, ინაშალილობისა და მტერთაგან აოხრებულ საქართველოს
დიდ სახელმწიფოსთან დაკავშირების აუცილებლობაზე.

ავტორის მიხედვით მძიმე დროს სამშობლოდან გავარდნილი
ძალაუფლებისმოყვარე ალექსანდრე ბატონიშვილის თავისი ძმის,
კანონიერი მეფის გიორგის წინააღმდეგ ბრძოლა გაიგივებულია
საქართველოში შემოჭრილ ლექთა ჯარში ყოფნასთან. სტატიაში
გამოცდილ და გამჭრიას სარდლად ცნობილ ომარ-ხანის დახ-
ასიათებასთან ერთად ქართველი ბატონიშვილის გეგმად აღიარე-
ბულია ორი ათას კაციანი ლექთა ჯარით საგარეჯოს დაქავების,
ხოლო ორ ნაწილად დაყოფილ სხვა ძალებით, თბილისის ხელთ
გდებისა და იმერლებთან შეერთების განხრახვა.

1903 წელს, კრებულში “Весь Кавказ” დაიბეჭდა ალ. ერი-
ცოვის ნარკვევი სათაურით, “საქართველოს სამეფო სახლის
უქანასენელი შთამომავალი”,⁴ რომელშიც მიმოხილულია

¹ იბ. ქ. “გზა”-2002 წ. №2. გვ. 50.

² ქ. სუხიძაშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი იმიერკავებისაში
“მეხეთი”, V. თბ., 2002. გვ. 55-61; ალექსანდრე ბატონიშვილი XVIII საუ-
კუნის დახახრების ქართულ პილიტიკაში. გორის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის შრომები. ისტორიის სერია III, თბ., 2003, გვ. 51-57. ალექსანდრე
ბატონიშვილის მოღვაწეობიდან “კავკასიის მაცნე”. თბ., 2004 წ. №9. გვ.
84-86. ალექსანდრე ბატონიშვილი-ჯახეთის 1812 წლის ამოხების მე-
ბაირახრე. თხუ შრომები, 2004 წ. №349; ალექსანდრე ბატონიშვილის
თანამებრძოლი მღვდელი ზებედე კრ. “მეხეთი,” VI-VII, თბ., 2005 წ.

³ Нападение на Грузию Омар-хана Аварского ” Тифлисские ведомости” 1828 г. 4
июля

⁴ А. Ерицов, Последний потомок грузинского царского дома, сб. ” Весь Кавказ ”
Т. I. Тиф . 1903. стр.45.

ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობისამდე
მნიშვნელოვანი ფაქტი.

ს ა ი ს ტ რ ი თ ზ ე პ ი რ ს ი ტ ე ვ ი ე რ ე ბ ა . სახალხო
გმირის, ალექსანდრე ბატონიშვილის სახე იმთავითვე შარა-
ვანდელით შეიმოსა.

დიდი სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლების დროს
ხალხი თხზავდა სიმღერებს, ლეგენდებს.

სახალხო საუნჯეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია
საისტორიო ზეპირსიტყვიერების ჰემმარიტმა მოამაგებ აკაკი
წერეთელმა და თავის ქრებულში შეიტანა ოსებისაგან
მონათხრობი: “ამბავი ალექსანდრე ბატონიშვილზედ”.¹

ამ საინტერესო პროზაულ საისტორიო გადმოცემაში დახ-
ასიათებულია ქართველი ბატონიშვილის პრინციცულობა, სამხე-
დრო ხელოვნების, განსაკუთრებით, ცხენოსნობის კარგი ცოდნა
და ამ საქმის განსაკუთრებული სიყვარული.

ამ საინტერესო მოთხრობაში ავტორი მჭევრმეტყველურად ახ-
ასიათებს გმირი მხედართმთავრის ფიზიკურ ძალასა და სპორ-
ტულ შესაძლებლობებს.

ხალხი მოგვითხრობს დიდი მებრძოლის უიდბლო სიყვარულ-
ზეც. გადმოცემით, საქართველო-ყაბარდი-ჩერქეზთის ტელისტ-
ველი მეგობრული ურთიერთობის გამო, ქვეყნის მმართველი და
მოამაგე პირები ხშირად მიმართავდნენ ხალხთა დაახლოებისა და
კავშირ-ურთიერთობის განმტკიცებისათვის ქორწინების, დამოუ-
კრება-დანათესავების მეთოდს.

ჭაბუქ ბატონიშვილს შეუკვარდა ფაბარდოს მთავრის დედის-
ერთა ულამაზესი ახული და 1790 წელს ერეკლე მეფის შუამ-
დგრძლობით იგი დაწინდა კიდევ.

ქალწული მალევე ნამოუკანიათ თბილისში, რომელსაც თან
ჩამოჰყოლია ძიძა და ორი ჩერქეზი თავადი. ქართული
წესნებულების შესახწავლად ერეკლე მეორემ ყაბარდოელ ასულს
თავისი რძალი, სალომე ამილახევარი მიუჩინა. სალომე დასავით
დაუახლოებდა სარძლოს, შესახწავლა საღრმოო წიგნი და საქართ-
ველოს სამეფო სახლის შესაფერი ქცევა, მაგრამ ქრისტიანულად
მონათლული და ქართულად სახელდებული ყაბარდოელ მო-
სოსტოვთა გვარის მომხიბლავი ასული ნინო სამწუხაროდ,
ჯერისწერამდე მოულოდნელად გარდაიცვალა. ბაგრატიონთა
სამეფო კარზე უდიდესმა გლოვამ დაიხადგურა.

¹ ამბავი ალექსანდრე ბატონიშვილზედ, ნაწერილი ქართველ თხებში “ს”.
ს მიერ. “აკაკის ქრებული”, 1899 წ. VIII ნაწ. II . გვ. 38, 40

ამ ტრაგიკული ფაქტის გამო ერეკლე მეფის ახულ შპრინგმანს დაწყერია სეკლით აღსავს ლექსი, რომელშიც მაღალფარდოვნადა აღწერილი ჩერქეზთა ქალწულის განუმეორებელი მშენება.

აქევ მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ალექსანდრე ბატონიშვილის როგორც შესანიშნავ გარეგნობასა და ფიზიკურ ძლიერებაზე, ასევე მის უდიდეს ავტორიტეტზე ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა შორის; რისი უდავო დასტურია ლექსში მდიდარი ეპითეტებით შემკობილი ქართველი უფლისწულის სახე.

ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება აისახა მხატვრულ და მიზანურ აღწერაში.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი ბატონიშვილის ბრძოლა თავისუფლებისათვის აღწერეს რუსმა მწერლებმა საქართველოსადმი მიძღვნილ თხზულებებში.

ამას ხელი შეუწყო იმდროინდელმა ქართულ-რუსულმა ლიტერატურულმა ურთიერთობამ, რუსი მწერლების კოფნამ საქართველოში.

დეკაბრისტთა იდეებს ზიარებულმა მწერალმა ა. შიშკოვმა საქართველოსადმი მიძღვნილ რომანში “Кетеван, или Грузия в 1812 г.”.¹ ასახა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ალექსანდრე ბატონიშვილი. მას ავტორი ასახელებს საქართველოში 1812 წელს მომხდარი აჯანების წამომწყებად და ხელმძღვანელად. ამ ხელო აზრთან ერთად ა. შიშკოვს ქართველი ბატონიშვილის დასაყრდენად მიაჩნია ირანისა და ინგლისის სახელმწიფოები.

მწერალმა ვერ დაინახა, რომ ირანისა და ინგლისის დახმარებით გაძლიერებული და საქართველოში მოსული ალექსანდრე ბატონიშვილი ძირითადად, უკრდნობოდა თავის ხალხს, აჯანებულ, გმირულად მებრძოლ ქართველებს. კერძოდ, მთიულეთის, ქიზიებს, ფშავ-ხევსურეთისა და კახეთის მკვიდრო. ეს მამაცი მებრძოლები იყვნენ ამ სახალხო გმირის ძლიერების წყარო.

ძველი საქართველოს მხატვერულმა მემაგრიანემ ვ. ბარნოვმა 1933 წელს ალექსანდრე ბატონიშვილს მიუძღვნა თხზულება: “იხანდერი”.² რომელშიც მწერალმა გამოკვეთა მამაცი სარდლისა და პოლიტიკოსის კავკასიის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის დაუდალავი მებრძოლის ალექსანდრე ბატონიშვილის სახე.

¹ А.А. Шишков. Сочинения и переводы СПБ. 1835.

² ვ. ბარნოვი, იხანდერი. თბ., 1933. იხილეთ აგრეთვე: თხზულებანი ტ. IX. თბ., 1963 გვ. 265-284.

სახელოფანმა მკვდევარმა და მეცნიერმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ 1991 წელს გამოცემულ თავის წიგნში, “რომანი ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრებისა” პირველად ვრცლად გაგვაცნო სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მრავალი ათეული წლის მანძილზე მამაცურად მებრძოლი გმირი.

არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით, ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით გადახდილ ბრძოლების აღგილების მიხედვით შექმნილი შთაბეჭდილებებითა და სხვა მწერალმა თავის თხზულებაში გამოკვეთა რუსეთის ტქვეობას თავდაღწეული ალექსანდრე ბატონიშვილის მამაცური სახე, წარმოაჩინა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის უფბრო ორგანიზატორისათვის დამახასიათებელი ნიჭი, გმირული შემართება, თავგანწირვა, სამშობლოსადმი ქართველთა თავდაღება დამპურობლებთან უთანასწორო ბრძოლებში.

მწერალმა შეძლო ალექსანდრე ბატონიშვილში განეხსახიერებინა ოკუპაციის საწინააღმდეგო დიდი და ხანგრძლივი სახალხო მოძრაობა, მისი შეთაურობითა და დაუშრებელი მამოძრავებელი ძალებით.

1996 წელს გამოიცა როსტომ წევიძის წიგნი “ალექსანდრე იორდელიანი.”

ეს ბიოგრაფიული რომანი მიძღვნილია XIX საუკუნის სახალხო – განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთადმი. ამ ერთ-ურთი თვალსაჩინო მოდვაწის ალექსანდრე ორბელიანის ბრძოლისა და შემოქმედების ახახვასთან ერთად წიგნში წარმოჩნდილია იმდროინდელი დიდი მოღვაწეები, რომელთა შორის ღირსეული აღგილი უჭირავს ალექსანდრე ბატონიშვილს.

ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა საფუძველზე მწერალი როსტომ წევიძე მხატვრულად ასახავს ორბელიანთა სახლის დამოკიდებულებას 1812 წლის აჯანყების გმირის, ალექსანდრე ბატონიშვილისადმი.

ამასთან ერთად მწერალი შთაბეჭდავად გადმოსცემს მოწონავ ქართველ საზოგადოებასთან ბატონიშვილის მრავალმხრივი ხანგრძლივი ურთიერთობის საინტერესო ფაქტებს.

მდიდარი გამოქვეყნებული დოკუმენტების საფუძველზე ბატონ როსტომ წევიძეს კიდევ შეეძლო უფრო ვრცლად მოეთხორ ოქუპანტთაგან შევიწროებულ, გმირულად მებრძოლ ქართველთა მეთაურის ალექსანდრე ბატონიშვილის დიდებით განვლილ გრძელ გზაზე, რაც კიდევ უფრო შთაბეჭდავს გახდიდა დიდჯული ქართველის, ალექსანდრე ორბელიანისადმი მიძღვნილ მის წიგნს.

უპირველესად ფართო მკითხველი საზოგადოება მაღლამდგრადი მწერლის ამ დიდი ნაღვაწისათვის. როსტომ ნხევიძის ალექსანდრე ორბელიანის ბიოგრაფიული რომანის წაკითხვა ნახიამოვნებ მკვლევარს ჩააყიდულ და XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობასა და მამაცურ ბრძოლას მწერლისგან გაცოცხლებულ ფაქტზე.

სიტყვაკაზმული მწერლობის ეს ნიმუშები აცოცხლებს მამულისათვის თავდადებულ გმირს და ხელს უწყობს მის სწრაფ პოპულარიზაციას ფართო საზოგადოებაში.

გამოვლენილი მდიდარი და მრავალფეროვანი წეაროების ურთიერთ-შეჯერება-ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილი აქამდე უცნობი, უხვი საგულისხმო ფაქტებითა და შესაბამისი დასკვნებით, ვფიქრობთ, წვლილი შეგვაძეს საბჭობლოს განთავისუფლებისათვის თავდადებული ალექსანდრე ბატონიშვილის ხანგრძლივი მამაცური ბრძოლა-მოღვაწეობის გაშუქებაში.

პოლიტიკური სიტუაცია აღმოსავლეთ საქართველოში
 XIX საუკუნის დამდეგს

§1. ქართლ-კახეთის სამეფოს ორიენტაციის მნიშვნელოვანი ეტაპი

ახალი ეპოქის ზღურბლებები საქართველოს საერთაშორისო მდგრმარეობა კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ რეგიონში ქვლავ მტკიცე არ იყო. საქართველო პოლიტიკურ ორიენტაციას იცვლიდა, რაც ქვეყნისთვის ურთელეს პროცესს წარმოადგენდა.

ქართველ მეფეთა თავიდანვე რუსოფილობის უმართებულოდ მიიჩნევენ ვ. გურული და მ. განჩაძე: “ზოგიერთი მკვლევარი, მწერალი თუ პეტლიცისტი დღეს საქმეს ისე წარმოაჩენს, რომ თითქოს ერეპლე II ლამის დედის მუცლიდან რუსოფილი იყო. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. თეიმურაზ II-მ და მისმა შვილმა ერეპლე II-მ ქართლისა და კახეთის სამეფოები ვახტანგ VI-ის პოლიტიკური კურსის გაერტოვების შემდეგ ნაიბარეს. ნადირ-შაჰმა ქართლის ტახტი კახეთის ბაგრატიონებს უბორა, თუმცა კახეთის ბაგრატიონებს ქართლის ტახტის მიღება ძალზე დიდ სისხლად დაუჯდათ. ნადირ-შაჰმა ამ გზით ორ მიზანს მიაღწია: პირველი, ქართლი წაართვა რუსული ორიენტაციის ვახტანგ VI-ეს და მის შთამომავლებს; მეორე, კახეთის ბაგრატიონები, კონკრეტულად, თეიმურაზ II და ერეპლე II ქართლის ტახტის მხოლოდ ირანის აქტიური მხარდაჭერით თუ შეინარჩუნებდნენ.”¹

სამეფო სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს აღდგენისა და მისი მტრული გარემოცვისგან გამოხსნისათვის მრავალსაუკუნოვანი თანამიმდევრული ბრძოლა XVIII საუკუნის 60-იან წლებში ახალ ეტაპზე შედგა.

ძლიერი დამპყრობლის, ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის ერთგვარ შვებით ამოსუნთქვაზე დაპლომატიურად აღრვევა ამახვილებდნენ ყურადღებას ქართლ-კახეთის გაერთიანებული ელჩობისათვის მომზადებულ იმპერატორისადმი გადასაცემ წერილში² თეიმურაზ II და ერეპლე II, რომლებიც მტკიცე იღინენ ახალი ორიენტაციის გზაზე.

¹ მ. განჩაძე, ვ. გურული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. თბ., 2001. გვ. 14-15.

² ი. ციცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაკაშვილის კლნიდა რუსეთში. საისტო-რიო მოამბე, 1952, VI. გვ. 85-175; ვ. მაჭარაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნის 50-იან წლებში. წიგნში:

გართალია, ირანის იმდროინდელმა სავალალით მდგომარეობისა ერთ-გვარად შეუწყო ხელი ამ ორი სამეფოს დამოუკიდებლად განვითარებას, მაგრამ რუსეთში მყოფი ვახტანგ VI-ის მექანიზმით სამშობლოში დაბრუნების იმედს არ ჰქარგავდნენ, რაც ამნელებდა ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოდ შენარჩუნების საქმეს, რომ არაფერი ვთქვათ, რეგიონის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში არსებულ, აგრესორთაგან მიტაცებულ ტერიტორიებზე და დასავლეთ საქართველოში ოსმალთა გამუდმებულ შემოსევებზე.

ნრდილოველ დიდ მეგობრებთან ურთიერთობის განვითარებაში ქართველ პოლიტიკოსთა შემდგომი წარმატების საფუძვლად უნდა ქველიყო მეფე თემურაზის ხანგრძლივი ვიზიტი.

ქართველი მეფის ენერგიული მცდელობა, მისი ნაყოფიერი, მრავალმხრივი მოღაწეობა იმპერიის დედაქალაქში 1762 წელს მოულოდნელად ტრაგიკულად დასრულდა.¹

მამის, თემურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ ქცევით ერეკლე II-მ ისეთი მტკიცებალავარი დაუდო ამ ორი სამეფოს ერთობას, რომ მის სტაბილურ მდგრმარეობას დიდი ზიანი ვერ მიაუკნა “ლეგიტიმურმა მოძრაობამ”, -ქართლის სამეფოს დაუფლებისათვის ჯერ პატა ბატონიშვილის² გამოსვლამ, შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის³ (ბაქარის ძე) ხანგრძლივმა ბრძოლამ.⁴

მასალაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. II. თბ. 1968. გვ. 40; ფრ. სიხარულიძე, სქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში. კრებ. მეგობრობა. თბ. 1979. გვ. 112.

¹ ვ. მაჭარაძე, დახ. ნაშ. გვ. 114.

² ლ. ტუხაშვილი, რუსეთი და სახოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ძლიერსავლებო საქართველოში. (XVIII საუკუნის II ნახევრი). თბ., 1983. გვ. 9.

³ პ. გელეიშვილი, XVIII სის ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობიდან. აღ. ამილახ-ხორი, როგორც პოლიტიკური მოღაწე, მწერალი და მოაზროვნე. ტფ., 1936; გ. აღოფაშვილი, სახოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში XVIII საუკუნის დასასრულს. სქართველოს მეც. აქადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 272-301; აღ. ბენდიანიშვილი, მონარქისტული ლეგიტიმიზმი და ლეგიტიმური ხელისუფლების ეკოლუცია საქართველოში. წიგნში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. IV. თბ. 2003. გვ. 31; О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. М. 1966; ვ. მაჭარაძე, რუსეთის ქართული კოლონიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, დახ. ნაშ. გვ. 137-143.

⁴ В. Романовский, Очерки из истории Грузии. Тиф. 1902. გვ. 263.



ქართლ-კახეთის სამეფოსა და საერთოდ საქართველოს
მორიგი პოლიტიკური წარმატების საფუძვლად იქცა 1768-1774
წლების ომში რუსეთის მხარეზე გამოსვლისა და მასთან
ურთიერთობის გასაღრმავებლად¹ იმპერიის საგანგმოობრივო
მივლინებული ანგონ I-ისა და ლევან ბატონიშვილის² მრავალ
ვალმხრივი მოღვაწეობა 1772-1774 წლებში.

გონიერულად შექმნილ პროექტებზე რეს დიპლომატიუმთან
შეთანხმებით, ორგანიზებულობით, კომპეტენტურობით ად
ნიშნული ელჩობა, ახალ ეტაპად, კუიქრობთ, სამართლიანად შე
ფასებულია ისტორიოგრაფიაში.³

ორიენტაციისა და საგარეო კავშირურთიერთობათა
განმტკიცებასთან ერთად ქართლ-კახეთის სამეფო კარი ზრუნ
ავდა სახელმწიფოს საშინაო მდგრმარეობის გაუმჯობესებაზე.

ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯებს შორის განსაკუთრებულად
აღსანიშნავია სამხედრო რეფორმების გატარება, უმთავრესად,
მთიელთა თარეშის აღსაკვთად მუდმივი ჯარის ჩამოყალიბება.

ამასთან ერთად, კახელ ბაგრატიონთა სამეფო სახლის ეს
შტო იღწვოდა ქართლის ოდინოველ სამეფოში შემავალი ტერი-
ტორიების შემოსამტკიცებლად.

რთულ საერთაშორისო პირობებში ჩამოყალიბებული საქართ-
ველოს სახელმწიფო ათასწლეულის განმავლობაში ვითარდებოდა
და თანდათან თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდა.

ფეოდალური წევნი ძველის „ოქროს ხანად“⁴ ის პერიოდია
მინეული, როცა საქართველო კავკასია-მახლობელი აღმოსაფ-
ლეთის ვრცელი რეგიონის უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოდ
იქცა.

სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების კულტურულ-
პოლიტიკური აღმავლობა მოუღლოდნელად შეაფერხეს ცენ-
ტრალური აზიօდან მოვლენილმა დამპურობლებმა.

რეგრესის გზით სვლა ყველაზე ნათლად გამოჩნდა ერთიანი,
ცენტრალური სახელმწიფოს პოლიტიკურ დაქაცმაცებაში.

¹ III. ხეთია, Исторические предпосылки присоединения Грузии к России. მგორების სახელობის ხოხუმის პედისტიტუტის შრომები. VII, 1955. გვ 290.

² ელჩობაში იყო ხერთვისელი იბრუმბეგი ვანხაძე რომელიც განდგმ-
მოდა ახალციხის ფაშას. მიხით მეთაურებმა იმპერატორს მოახსენე
იბრეიმის მამაცობასა და ერთგულებაზე.

³ ა. იოსელიანი, თვისებრივად ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს
ურთიერთობაში. საინსტიტუტო მომენტი. 1985. №№ 51, 52.

⁴ ო. გოგიაშვილი, ელ. ბატოშვილი, საქართველოს ისტორიის ოქროს
ხანა, „საქართველოს რესპუბლიკა“. 2002. №2.

მას შემდეგ სამეფო-სამთავროებად დანაწილებულ სისტემითაც კულტურული მოსახლეობის გავრცელების უმიზურეობას და უძირველესად ქავენის უშინაგანებს, ერთ დროს დაწინაურებულ მაღალ კულტურულ მხარეებს ეუფლებოდა. ამასთან, დასუსტებულ რეგიონებში მხარს უჭერდა სეპარატისტულ მოძრაობას. დამპურობლები ქავენის არ აცლიდნენ ჭრილობების მოშუშებას, ყოველ კუთხეში ახალ-ახალი შემოსევებით, აოხრებით, ტყვეთა ტაცებითა და ა. შ.

ერთიანობის შეგნება კიდევ უფრო რომ დაექვეითებინათ, 1555 წლის ზავით, დაჭრილ-დასახისჩრებული, ტერიტორიულად შემცირებული, ეკონომიკურად და კულტურულად დაქვეითებული საქართველო ორმა მეზობელმა აგრესორმა გავლენის სფეროებად გაინაწილა.

შექმნილ სიტუაციაში ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა უმთავრეს მიზნად სწრაფად დაისახეს “ქვენის ერთიანობის აღდგენა და მზერთაგან განთავისუფლება”.¹

ასეთი დევიზით განხორციელებულ პერმანენტულ ბრძოლებში აღმოსავლეთ საქართველოში ქართლისა და ქახოის სამეფოების წარმატება, თითქმის ყველა სფეროში უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა.

დაწინაურებული ქართლის სამეფოდან XVIII საუკუნის 20-იან წლებში რუსეთში გადასულ დინასტიას ქავენის გათავისუფლებისათვის ბრძოლაზე ხელი უცხოეთშიაც არ აუღია.

გაერთიანებული ქართლ-კახეთის მესვეურთათვის 1765 წლის აქტი სამშობლოს მომავალზე ზრუნვის ახალ სტიმულად იქცა.

ნათელი ხდებოდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების იმდროინდელი კითარების შესაბამისად, საქართველო და კერძოდ, უმოკავშირეოდ დარჩენილი ქართლ-კახეთი თუ არ გააქტიურდებოდა, მეზობელ აგრესორთაგან ახალ-ახალ რისხევას ვერ აიცილებდა.

მოკავშირედ გამოსადეგ დიდ სახელმწიფოს არჩევანი განმტკიცებული იყო ნიდილოელ მეზობელთან საქართველოს ტრადიციული ურთიერთობით. ახლა საჭირო იყო რუსეთში მყოფი ქართლის სამეფო ტახტის მაძიებლის აღექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონის შეჩერება და სამხრეთისაკენ პირმიქცეული და ამიერკავკასიაში ფეხმოკიდებული რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაინტერესება მოქიშპე დიდ სახელმწიფოთა შორის საქართველოს მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდგომარეობითა და საიმედო მოკავშირებით.

¹ მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პროცესში და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში. თბ., 1988, გვ. 227.



რუსეთისა და ოსმალეთის 1768-1774 წლების მძიმე პეტერბურგის მიხელ ქართველ დამღვაწებელს მოღაპარაში გაუადვილა.

რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პოლკესებიც ერთგვარად ეს მიანებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა აღმავლობას. ამასთან, ქრისტიანულ სამყაროშივე და ისიც დაწინაურებულ ეს როპასთან შემდგომი დაახლოების საქოვეელთაო მისწრავებაც ქართველ პოლიტიკოსებს საამისო მოღვაწეობის გააქტიურების სტიმულს აძლევდა.

ამდენად, გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო კარი, ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი და პირადად მეფე ერეკლე, არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ იმერა ამერთა იმდროინდელ ფიქრებსა და მისწრავებებს გამოხატავდა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების საერთაშორისო მდგრ მარეობა¹ ზრდიდა კავკასიისადმი ინტერესს. ქართლ-კახეთის სამეფო კარმა კარგად ისარგებლა ამით და რამდენიმე დიპლომატიური სელით რუსეთის იმპერიასთან ტრაქტარი შეიმუშავა.²

საინტერესოა, ადისიშნოს, რომ თავდაპირველად 1783 წლის ტრაქტარს ხელი მოაწერეს ქალაქ გორში.³

იმიურკავკასიის ციხე-სიმაგრე გვორგივესქში 1783 წლის 24 ივლისს საბორლოდ გაფორმებული ეს დოკუმენტი ჩვენთვის უპირველესად იმითაა უმნიშვნელოვანები, რომ იმ რთულ საერთაშორისო სიტუაციაში მასში აღიარებულია ქართული სამეფოს სუვერენობა. ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურებს რუს პოლიტიკოსები თანხმდებოდნენ შეფიცულ მოკავშირეობაზე, თანასწორ პარტნიორობაზე, სამეაროს ბეჭის გამგებლობაში, რაც მოწმობდა გამოხსნა-აღდგენისაკენ ქართული გეგმის გაფართოუბას და და მოასწავებდა ამ საქმეში ქართველ დიპლომატთა წარმატებას.

რუსეთისათვის გვორგივესქის ტრაქტარის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს მიხი მრავალგზის გამოცემა და შეტანა იმპერიის კანონთა კრებულში.

¹ რუსეთში მაშინ სამოყალიბებული ახლო აღმოსავლეთში შექრის გრანდიოზელი გეგმა “საბერძნეთის პროგექტი” სახელით იყო შენიდებული. ეს სანაფიქრი ითვალისწინებდა ბალკანეთის ქვექნებისადმი რუსეთის მეურვეობას და სხვა შორის მიმავალ გეგმას.

² რუსეთის იმპერატორმა 1782 წლის 29 დეკემბერს ნება დართო აღნიშული დოკუმენტის გაფორმებაზე. (В. Романовский Очерки ... С-226.)

³ ბ. ესაძე, ლეთობის სამეცნიერო კურსების გამოცემა 1913 წ-331



როგორც ცნობილია, გეორგიევსკის ტრაქტატის პერიოდის პირველად აიწყო სენატის სტამბაში, 1783 წელს. მომდვერი წელს გამოსცეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში.

აღსანიშნავია რომ ამ მნიშვნელოვან დოკუმენტთან ერთად დაიბეჭდა ქართლ-კახეთის წარჩინებულ საგვარეულოთა სია.

რუსეთსა და საქართველოს შორის შეცვლილ ურთიერთობაში 1830 წლის რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში იმავე ტრაქტატის ტექსტის პუბლიკაცია თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის აღმნიშვნელია და უპირველესად მიუთითებს იმ დიდ ტეხილზე, რაც რუსეთის იმპერიამ განახორციელა არა მარტო საქართველოსთან დამოკიდებულებაში, არა-მედ, მახლობელ აღმოსავლეთის მასშტაბითაც.

გეორგიევსკის ტრაქტატის სხვადასხვა კუთხით განხილვას მრავალმა ქართველმა თუ უცხოელმა მეცნიერმა (ზ. ავალიშვილი, ლ. ალექსიძე, ხელიუფლიშვილი, ნ. ფორჯუნოვი, ბ. ხოლდე, მ. მუხაშელი, ი. ცინცაძე, რ. მიმინოშვილი, გ. პაიჭაძე, ვ. მაჭარაშვილი, მ. სამსონიაძე, ვ. გურული, მ. გამჩაძე და სხვა) მიუღვნა გამოკვლევები.

მართლაც, მრავალმხრივ საყურადღებო ეს დოკუმენტი საშუალებას იძლევა შევიცნოთ არა მარტო ამ ძეგლის გაფორმების დროინდელი საქართველოს რუსეთთან კავშირურთიერთობების საფუძვლი, არამედ მისი შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანები.

ხანგრძლივი თანამშრომლობით ჩამოყალიბებული ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძეგლი დიდი ხანია გასცდა ორი პარტნიორი ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო პოლიტიკისა და ისტორიის სამსჯავროზე გავიდა.

საკითხი, თუ რა სახის დამოკიდებულება დამყარდა ამ ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის, დიდი ხანია დაიხვა, როგორც ქართულსა და რუსულ ისტორიულაფიაში, ისე უცხოეთში. ივ. ჯავახიშვილი 1919 წელს გამოცემულ ნაშრომში “დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში” შეეხო ამ საკითხს.

ისტორიკოსი მიმოხილავდა რა, სხვადასხვა სოლიდურ მეცნიერთა მოსაზრებებს, 1783 წლის რუსეთისა და საქართველოს შორის დამყარებული ურთიერთობის შესახებ, დაასკვიდა: “1783 წლის ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს “მუარველობითი მოქადაცირების” ტრაქტატად მიაჩნდათ. და ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს იმ ზოგიერთი გასხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ

შეხედულებათა შორის არჩებობს, 1783 წლის ხელშეკრულების სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოდ".¹

იხტორიკოსმა ი. ცინცაძემ გამოაცოცხლა ხელშეკრულების ცალკეულ მუხლებში გატარებულ აზრზე წინაპარ მკალევართა შეხედულებანი. მეცნიერი სავსებით ხწორ და საგულისხმო დასკვნებს იძლევა: ბანგისილოთ, რა არის "უზენაესად მითითუბული საფუძვლები". აქ პორტყვლი მუხლში აღნიშნულია, რომ ძელ მეფეებთან უნდა დაიდოს სამოკავშირეო ტრაქტატი, ისკ, რომ ხელშეკრულებაში ქართველი ხელისუფალი ქვეშევრდომად კი არ უნდა იქნეს მოხსენებული, არამედ მოკავშირედ, რომელსაც რუსეთის იმპერია მფარველობს:² "... დავდოთ ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ხელშეკრულება, არ კუწოდოთ მათ ქვეშევრდომი, არამედ მოკავშირები".³

მაშასადამე საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, რჩება როგორც პოლიტიკური ერთეული, რომელიც გარკვეული გარემოცვის პირობებში მხოლოდ რუსეთის მფარველობაში იმყოფება.

მითითებული "საფუძვლების" მორჩ მუხლში აღნიშნულია, რომ ერევლე II-ის მიერ მფარველობის საბადლოდ შემოთავაზებული "სამსახური" შემცირდეს, ფულადი "სარტყესო" გადასახადით ქართლ-კახეთის სამეფოს დაბეგვრა მოიხსნას მხოლოდ რუსეთის ხაზინა შეინახავდა ჯარს.

კუთვნილ ტერიტორიაზე აღმოჩნდილი მაღნეულობის და მუშავების შემდეგ მიღებული ძეირფასი ლითონების მხოლოდ ნახევარი მიერთვას, აგრეთვე ქართველი მეფის მიერ ყოველწლიურად შემოთავაზებული ღვინო, აბრეშუმი და ცხენები მიღებულ იქნას.⁴

როგორც კონსტანტინებოლში მცირ თხმალეთის იმპერიის ვეზირ აზამთან მეფე ერეკლეს 1783 წლის 15 სექტემბერს მიწერილი ეპისტოლებს ასლის მეშვეობით ირკვევა, თხმალეთის მტკრიის მენაპირე ახლციხის ფაშა სულეიმანთან სამოკავშირეო პირობებში ქართლ-კახეთის მეფე თავის მეზობლად არსებული ტრადიციული ქართული სახელმწიფო წარმონაქმნის ხელმძღვანელს აცხობდა რუსეთთან დაკავშირებას და უთანხმდებოდა სხვა დასხვა პირობებზე".⁴

¹ ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, წიგნში: ისტორიული რარიტეტები. 1989, გვ. 90-93.

² ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 126.

³ ა. ცაგარელი, გრამოთი ... თ. II, ვიპ. II, ს. 30.

⁴ რხცესა, გრ. პოტიომენის ფონდი, კონა 3, ს. 4, ფ. 19, ნახარგვალებია ი. ცინცაძის დას. ნაშ-დან. გვ. 256-257.

ხოლო გეორგიევსეში ხელმოწერილი ტრაქტატის ერთგულობას შემოქმედთაგანი გ. ჭავჭავაძე 1785 წლის აგვისტოში გენ. ფელიქს მარშალ გრიგოლ პოტიომეკინს აცნობდა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მეზობლებთან შერყეულ ურთიერთობას, მდგომარეობის ასე გაუარესების შედეგად ქართლ-კახეთისაგან განცდილ დიდ ზარალს, კავკასიაში დასაღიშეურებულ პოლიტიკურ სიტუაციას.¹

ქართველთა ინიციატივით ჩამოყალიბებული ურთიერთობის ამ უმნიშვნელოვანების ძეგლში დაგდენილი პირობების შესრულებაზე, რუსეთის საიმპერატორო კარმა ყარადღება რატიფიკაციის შემდეგ მაღალ მოაღწია. მოსალოდნელი იყო პირიქით, რადგან ქართველთა დიპლომატიური ძალის ხელშეკრულების შესრულებაზე, კავკასიაში გამაგრდა და შემდგრმში იქ ყოფნის ახალი ღონისძიებები უნდა დაესახა. ჩანს, “საბერძნების პროექტისადმი” იმპერატორის გულგრილობამ და სხვა მოკლენებმაც გავლენა იქონიეს კავკასიაში რუსეთის აქტიურობის თანაბათან შენელებასა და მახლობელ აღმოსავლეთში პლაცდარმის განმტკიცებაზე.

შემუშავებულ და უმაღლესად დამტკიცებულ სამოკავშირეო პირობებზე დაყრდნობით ქართული მხარე გააქტიურდა. ენერგიულად შეუტია დაღესტნელთა და ოსმალთა აგრესიას.

ომიანობის მიუხედავად, აღმავლობა დაეტყო ქვეყანას. გამოცვებლდა განათლების საქმე, თელავსა და თბილისში გაიხსნა კვროპული ტიპის სასწავლებლები, აღადგინეს ქართული სტამბა და განახლდა წიგნების ბეჭდვა.

ხშირი ომები ქართლ-კახეთის სამეცნის დიდ ძალებს ართმევდა.

აგრესორები სწრაფად მრავლდებოდნენ და ძლიერდებოდნენ. მოსალოდნელი იყო ქართლ-კახეთის სამეცნი გაძლიერებულიყო, მეფე ერეკლეს მეთაურობით ქართველებს გამარჯვებანი უწინდელზე უფრო აღვილად მოემკათ, მაგრამ ხდებოდა პირიქით, და საქართველოს მტრები ყოველი მხრით მოხვენებას არ აძლევდნენ.

არ ჩანდა მოკავშირის ხელი, დიდი სამოკავშირეო ხელშეკრულებით აღთქმული სამხედრო და სხვა საშუალებით დახმარება, რაზედაც გ. ჭავჭავაძე სამხრეთ რუსეთის გამგებლის გრ. პოტიომეკინის ყურადღებას მიაქცევდა 1785 წლის 1 ნოემბერს.

რუსეთის ხელისუფალი წინანდებურად არც იმერეთის სამუფოს ეხმარებოდნენ.

უეჭველი იყო, რომ გეორგიევსეში ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ რუსეთის დიპლომატიუმა გენი შეიცვალეს.

¹ რსცხაა, გრ. პოტიომეკინი ფონდი, ქონა 3, ს. 5, ფ. 3-4. ნასარგებლებია ი. ცინცაძის დას. ნაშ-დას. გვ 244-246.

§2. დიდ სახელმწიფოთა გააქტიურება აღმოსავლეთში, ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკურ მოღვაწედ ჩამოყალიბება

ოსმალეთ-რუსეთის კონფლიქტმა საქართველოშე გავლენა იქნია.

მოუღლებულებად რუსეთმა სწრაფად აიდო ხელი კავკასიაში ქრისტიანული სახელმწიფოს განმტკიცებაზე. მისი უკანდახევის ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულება იყო რუსთა ორი ბატალიონის აღმოსავლეთ საქართველოში გაწვევა და სხვა საამისო დონისძიებანი.

საქართველოს პოლიტიკურ წრებში ამ დროს ქვლავ გამოცოცხლდა და განხორციელდა ქართული სამეფოების უფრო მჭიდროდ დაკავშირების იდეა.

ამ მიზანს ემსახურებოდა დიდი მნიშვნელობის ფაქტი. 1790 წლის სამეგრიძო ხელშეკრულება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებისა და მთავართა.

ამ დროს რუსეთის იმპერიის მმართველ წრებში თითქოს წაუკრუებს ირანში მიმდინარე ამბებს და აღამაშად ხანის ირანის ტახტე განმტკიცებას, რაც მომავალში საბედისწეროდ იქცა ქართლ-კახეთისათვის.

ნაწილობრივ შეიძლება დაკვთანხმოთ ა. სურგულაძის საამისო შენიშვნას: ირანის გაძლიერებას ქართლ-კახეთის მესვეურნი შეშეფოთებით ადევნებდნენ თვალიერს. დაიბადა კიდევ იდეა ამ ძლიერების ზრდის შეკავებისა რუსეთის გამოყენებით, მაგრამ იგი რეალური არ აღმოჩნდა. წარმატება არ მოჰყოლა ირან-ოსმალეთის ინტერესების დაპირისპირების ცდას. დაუძლეურებულ ოსმალეთს ერთია რუსეთის ნაცვლად საქართველოში საიმედოდ ძლიერი ირანი ჰქოლოდა.¹

ქართველ პოლიტიკოსთა და სამხედრო მოღვაწეთა სიფხიზლის მოღვაწების შედეგად თავსხდამტყდარმა კრწანისის ტრაგედიამ და განსაკუთრებით თბილისის აოხრებამ მკვეთრი გავლენა იქონია საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

ძნელი იყო ასეთი მარცხის საერთაშორისო რეზონანსის სრულად გათვალისწინება.

მხოლოდ იმას ადგნიშნავთ, რომ მას დიდი მნიშვნელობა მიანიჭება. ოსმალეთის სატახტო ქალაქში ერეკლეს მეთაურობით წაგებულ ომს აიგივებდნენ კავკასიაში რუსეთის მარცხთან.

¹ А. Сургуладзе, Прогрессивные последствия присоединения Грузии к России. Тб. 1982. стр. 37.



რუსეთში სწრაფად ყურად იდებ უცხოელთა ეს შეგანაშენებით გადაწყვიტეს როგორც ქართლ-კახეთის დახმარება, ისე ირანელთა დახჯაც, მაგრამ ეს კურსი კავკასიაში რუსთა სრულიად ახალი კრისის დასაწყისს მოახსავებდა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოსა და რუსეთში მრავალი ქართველი ბატონიშვილი დაწინაურდა.

გაძლიერდებით, მხედრული შემართებითა და სხვა ღირსებულით გამოირჩეოდა ალექსანდრე ბატონიშვილი.

ამ პიროვნებაზე ბიოგრაფიული ცნობები სრულად შეკრებილი არ არის. მისი ცხოვრების გზა სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვნად გამოკვლეული როდია.

აღ. ერიცოვი ცნობილ ნარევეში "Последний потомок Грузинского царского дома," ალექსანდრეს მოიხსენიებს იულონის, ვახტანგის, ანტონის (თეიმურაზის - ვ. ს.), მირიანის შემდეგ, ანუ მე ე ხ უ თ ე ვაჟიშვილად.¹

ავტორს მხედველობიდან გამორჩენია ლევან ბატონიშვილი, ერებუ II-ისა და დარეჯან დადიანის უფროსი ვაჟიშვილი, რომელიც 1781 წელს გარდაიცვალა.

შ. ხანთაძის დასკვნით ალექსანდრეს ძმებს შორის მხოლოდ ფარნაოზი და ლევარსაძი იყვნენ მასზე უმცროსინი.²

მაშასადამე, დარეჯან დედოფლის ვაჟიშვილებში: ლევანი, იულონი, ვახტანგი, ანტონი, მირიანი, ალექსანდრე, ფარნაოზი, ლევარსაძი და არჩილი--ალექსანდრე მეექვსე ვაჟი იყო და არა მეხუთე,³ ან მეოთხე.⁴

ალექსანდრე ბატონიშვილის და ბატონიშვილის
თარიღი და ზე ერთ-ერთი პირველი ცნობა მოეპოვება საქართველოში იმ ხანებში მუოფ გერმანელ მეცნიერსა და მოგზაურს ი. ა. გულდენშტედტს. ქართლ-კახეთის სამეფო სახლის აღწერისას 1772 წელს იგი გადმოგვცემდა, ალექსანდრე ბატონიშვილი 2 წლის არისო.⁵

¹ А. Ерицов, Последний потомок Грузинского царского дома". сб. "Весь Кавказ", 1903, т. I, стр. 45.

² შ. ხანთაძე, მახალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიასათვის. ბატონიშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბეჭ ტ. XXII-B , 1961. გვ. 240.

³ შ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ. ტ. I, გვ. 107; ა. გონიერიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 320.

⁴ შ. თრჯონიძეიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსელი ხელისუფლების წინააღმდეგ, გვ. 3.

⁵ ი. ა. გულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის თარგმანითა და რედაქციით. ტ. I. თბ. გვ. 203.

ჩანს, ამ თარიღის კერძოხობიან შ. ხანთაძე,¹ ნ. ბერძნებულებული.²

ახლადგამოცემული წიგნში "ბაგრატიონია გადახახლუბა და მოღვაწეობა რესეპტი" (თბ. 2002, გვ. 320) შ. გონიერებული წერს: "

- ერეკლე მეორისა და მიხი მეხამე ცოლის დარგან დედოფლის მეხეთე ვაჟი ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი დაიბადა 1769 წელს" და ხარწმუნო წეროდ მოუთითებს არქოგრაფიული ქო-
მისის აქტების I ტომის ცნობას, რომელშიც დაბეჭდილია 1801 წელს "სამეფო ხახლის" აღწერა.

აღნიშნულ დოკუმენტში აღექსანდრე 32 წლისად იხსენება, რაც ჩვენს მცირე ეჭვს იწვევს.

უზუსტობა შეიმჩნევა გ. ბერძნიშვილისაგან დადგენილ თარიღში. ("მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული სა-
ზოგადოებრიობის ისტორიისათვის". ტ. I, გვ. 167).

აღექსანდრეს დაბადების თარიღიად 1771 წელს უთითებს მ. ბროსე.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონ-
დებში მიკვლეული ერთი ცნობით, 1790 წელს აღექსანდრე 19 წლისაა, რაც თითქოსდა ამქარებს ამ ზემოთაღნიშნულ მოსაზრე-
ბასაც. მაგრამ ეს საკამათო საკითხი გადაჭრა ბატონიშვილის დაბადების თვის განსაზღვრამ: როგორც არქიმანდრიტი ტარასი
წერდა: "აღექსანდრე იშვა ქრისტეშობის თვეში".³

1790 წლის დეკემბრმადე აღწერილი ხაბუთის მიხედვით ის მართლაც იქნებოდა 19 წლის. როგორც ამას ახლადგამოცემის ხელნაწერთა ინსტიტუტის ზემოთაღნიშნული დოკუმენტიც მიგ-
ვანიშნებს. ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ აღექსანდრე ბატონიშვილი დაბადებული უნდა იყოს 1770 წლის ქრისტეშობისთვეში.

მცირევწლოვნებისას აღექსანდრე ბატონიშვილმა ქართველ ცნობილ მწიგნობართა, მოძღვართა მეოხებით მიიღო ეპოქის შესაფერისი საფუძვლიანი საერთ და საღვთო განათლება.

ახალშობილის აღზრდაში განსაკუთრებით გამოუჩენია თავი დავით აღექსანდრეს ცივილური მოისხებულის, რომელსაც მოიხსენიებენ რექტორად. ეს დიდხულოვანი მოღვაწე სიცოცხლის დასასრულამდე ერთ-
გულებდა მას ყველა კულტურულ წამოწყებაში.

¹ შ. ხანთაძე, დახახ. ნაშრ. გვ. 240.

² ნ. ბერძნიშვილი, დახახ. ნაშრ. გვ. 459.

³ ხაჭართველოს ისტორიის ქრონიკები. ავთანდილ იოხელიანის რე-
დაქციით. გვ. 130.



ალექსანდრე ბატონიშვილის ერთ-ერთი გვიანდებულის აღმზრდელ-მასწავლებელი იყო ი. რეინგასი,¹ რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსთა რეზიდენტად ყოფნისას ერეკლე მეორის თორმეტი წლის ვაჟი ალექსანდრე დაინიშნა იმხანად ჩამოყალიბების პროცესში არსებული კაცებისის არმიის კაპიტან-ლეიტენანტად.

"სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ (1782 წ.) თბილისის ქუჩებში დასეირნობდა რაღაც ახირებულის ტანისამოსით ერთი ვინმე რეინგას, რომელსაც მუდამ თან დაჰყვებოდა საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ვაჟი ბატონიშვილი ალექსანდრე",² – წერდა ჭურნალი "არძაგანქი".

ი. რეინგასი 1779-1783 წლებში მეფე ერეკლეს კარზე მოღვაწეობდა, ხოლო საქართველოდან გამგზავრების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწევეტია კაშირი და მიმოწერა ქართლ-კახეთის სამეფოს სასახლესთან. ი. რეინგასის საქართველოდან გაწვევის მიზეზი გახდა მისი ისეთი საიდუმლო საკითხებით დაინტერესება, როგორიც საარსეთისა და თურქეთის დაპყრობა იყო.³

რაც შეეხება მის მოღვაწეობას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე, უნგრელი მეცნიერები ლ. ტარდი და ე. შულთვისი ცალკე ჩამოთვლიან მისი მოღვაწეობის მრავალ პროფილს: - "ერეკლე მეორის მრჩეველი და პირადი ექიმი, მისი ბავშვების აღმზრდელი, მრეწველობის დამაარსებელი, თეატრალური ხელოვნების ამაღლორძინებელი..."⁴ ი. რეინგასის მსგავსი შეფასება მცირეოდენ გაზვიადებულია, მაგრამ ამ არაორდინალური და განათლებული პიროვნების აღმზრდელობითი ღვაწლი ალექსანდრე ბატონიშვილზე უდავოდ მნიშვნელოვან სასიკეთო კვალს დატოვდა.

ზ. ჭიჭინაძე ალექსანდრე ბატონიშვილის აღმზრდელად კათოლიკე პატრებს ასახელებს, შესაძლებელია, ამ კათოლიკე პატრებში იგულისხმებიან სწორედ ი. რეინგასი, მისი თანმხელები გრაფი ქოპარი, უფრო კი დავით ბატონიშვილის მიერ ხსენებული

¹ რაინგასი იაკობი, მოგზაურობა საქართველოში (გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 2002. გვ. 17.)

² ქხი, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი, დოკ. 2002, ფ. 58.

³ გრ. პოტიომებინმა 1783 წელს სახწრაფოდ შეცვალა იგი ს. ბურნაშვილთ. იხ. M. A. Попиевский, Европейские путешественники по Кавказу XIII-XVIII вв. Тиф. 1935, с. 166.

⁴ დ. ბედიანიძე, იაკობ რაინგასი საქართველოში. "ლიტერატურა და ხელოვნება" №4, 1991 წ. გვ. 216.

პატრი პალეორმოდან, სახელად ანდრე, რომელსაც შეუცველებელი მეტად სწყალობდა, როგორც განათლებულ ადამიანს.¹

ქართლ-კახეთის სამეფო კარზე აღექსანდრე ბატონიშვილი XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან² ეწევა ნაციონალური მოღვაწეობას. მოგვეპოვება მისი სამართლებრივი მოწვევი სამხედრო და სხვა მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც უდაოდ მეტყველებს ამ არაორდინალური პიროვნების როლზე ერეალე II-ის სამეფო ოჯახში.

ჯერ კიდევ 16 წლის აღექსანდრე სარწმუნო მითითებებს აძლევს გორის მოურავს ზურაბს, როგორც ჩანს, იგი მასპინძლობს 1786 წლის 16 დეკემბერს ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი იმერეთის მეფე დავითს, ხოლო 1788 წლის აპრილში იგი ნაზირობას უბოძებს ზაქარია ბებურიშვილს.

1793 წლის 23 მაისს აღექსანდრე ბატონიშვილი მგზავრობის სიგელს წყალობს ილია აბასშვილს.³

აღექსანდრე ბატონიშვილი სახელოს სწყალობს ერასტი წოლო-ყაშვილს.

1795 წლის 10 მაისს გაცემული ეს სიგელ სასახლეში ბატონიშვილის დამოუკიდებელი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ფაქტია.⁴

¹ М. Ениколопов, ცარევიჩ დავიდ ი რეინეგე. მასალები საქართველოსა და ქავკასიის ისტო-რიისათვის. ნაკვ. 29. 1951. გვ. 292.

² აღექსანდრე ბატონიშვილი 1786 წ. მონაწილეობდა ქულული ბგარსევანიშვილის სანიკორის განხილვაში. გხიებ, ს. 7601.

³ "ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩუქნ ბატონიშვილმა აღექსანდრემ შენ აბასშვილ ილიას. ასე, რომ შენ ჩუქნს ჭუქანაში გავლებოდეს და შენ არავინ არ გაწყენილო. და ვინცა ვინ ჩუქნის ბრძანების მორჩილი იყვნეთ, ამას ნურას აწყენინებთ, თორემ დიდად გიწყენთ და კიდევ გარდაგახდვინებთ. ამიტომ რომ ჩუქნს საქმეზე ძალიან ბეჭითად გაიხარჯა". (ქხი, ახალი ფონდი; საბ. № 97.)

⁴ "...ჩუქნი იასიან დავითიან სოლომანიან-პანქრატოვანიან სრულიად საქართველოს მეფის ძემან აღექსანდრემ შეგიწყალე და გიბოძე ეს წყალობის წიგნი და სიგელი შენ, ჩვენს ერთგულს და წესისებრ თავდადებით ნამსახურს თავადის შვილს სოლომაშვილს ერასტის: ასე რომ ჭიათურის მოურავი მამაშვილი მანანი იყო და ეს ჭიათურით მოურაობა მის უმაღლესობას ბატონს მამაჩვენს შენთვის ებოძებინა და ეს ჭიათურები მოვანა და ვ ე ფ ხ ვ ი ს ც ი ხ ე შ ი ღავენებინა. ახლა ის ვეფხვის ციხე მის უმაღლესობა ბატონმა მამაჩვენმა ჩვენ გვიბოძოდა და ისინიც და სხვა კაცნიც და რაც კაცი ახლა ვეფხვის ციხეში დგას, იმათ მოურაობა საქუთრალ ჩვენც შენთვის გვიბოძებია თავისი სამართლიანი სარგოთი გზონდეს და გიბელის დოკუმენტის [მან]! ჩვენ ერთგულობისა და სამსახურსა შინა არასოდეს არ მოგეშალოს! და ეს ვეფხვის ციხე რომ მის უმაღლესობა ბატონმა მამაჩვენმა გვიბოძა, მასუ-

ცნობები მოიპოვება ბატონიშვილის სამოსამართლოს
საქმიანობაზე. ირკვევა რომ ალექსანდრე მეაცრი და სამარ-
თლიანი მხაჯული იყო.

1798 წლის 23 აპრილს გაცემული სიგელი გვაცნობს
ალექსანდრე ბატონიშვილის მუშრიბის (მდივანის) ვინაობას.¹

ახალგაზრდა ალექსანდრე საგულისხმო მითითებებს
აძლევდა როგორც ქარისმდეგ ისე საქვეყნოდ გამრიგე მოხ-
ლეებს.

კან მოვიდა შენი ბიძაშვილი დავითი და მოგახსენა, რომ ვეფხების ციხის
მოურავი ჩვენა ვართო და თქვენც საკუთრად სიგელი უნდა გვიბომოთ.
ჩვენ არ ვიცოდით, თუ მის უმაღლესობა ბატონს მამა ჩვენს საკუთრათ
შენთვის ებოძებინა და იმის მოურაობის წყალობის წიგნი უბოძეთ. ახლა
მის უმაღლესობის წყალობის სიგვლი და წიგნი და ოქმები ვნახეთ, რომ
ვეფხების ციხის მოურაობა საკუთრად შენთვის უბოძებით. ჩვენც წი-
ნააღმდეგობა არ შეგვიძლიან. ახლა შენი სახლიკაცი დავითის წყალო-
ბის წიგნი დაგვიყენებია და გაგვიმართლებია და ვეფხების ციხის მოურა-
ვობა საკუთრად შენთვის გვიბოძებია..." (ქხი, ფ. საბ. № 1018)

¹ "...გიბოძეთ შენ ჩვენს მუშრიბს ციცქიძეს იოანეს, მახარეს, კაციას,
დავითს, შვილთა, შვილის შვილთა და უოველთა სახლსა თქვენსა მო-
მავალთა, ასე რომ შენ ჩვენს მუშრიბად სასახლეში გვახლდი და მუდამ
ჩუენისა ერთგულებისა და სამსახურისათვის თავდაღებული იყავო, და
ჩვენც შენზედ გულდაჯერებულნი ვიყავით, რომ ჩუენი ერთგული იყავ
და ჩუენი სამსახურისა ბეჭითად მცდელი, ამისთვის ჩუენც ამის სანუ-
ქვოდ მოგიბოძეთ ჩუენს საკუთარ წილად ნახვედრს სოფელს ფშაველში,
საბურჯულის მახარეს მამული სავენახე, რისაც შემონებელი ყოფილა
სრულებით; ეს მამული ეამთა ვითარებით ციხისთავიანთ პეტეროდა უპა-
ტრონო და ბეითალმანი ყოფილიყო არცა ვინ სხუათა მეპატრონეთაგან
პქონდა ნაბოძები და არც ჩუენგან ამისთვის ჩუენის სახლთუხუცესი
ციცისშვილი კონსტანტინე და იმ ჩუენის სოფლის მოურავი, ჩოლაძეშ-
ვილი ნიკოლაოს გაგგზაგნეთ იმ სოფელში სწორად შესატყობრად, რომ
ის საბურჯულის მამული ჩუენი ბეითალმანი იყო. თუ არა და ის უნდა
შეგვიტყო ერთობით სოფელს ჩუენთვის წერილი მოერთმივნათ, რომ
ციხისთავიანთ ტექილად და მოპარვით უჭირავსთ. და ჩუენი ბეითალმანი
არისთ. ციხისთავიანთ ვერცა რა წერილი, ვერცარა მოწმე მოიყვანეს,
რომ ან ნაბოძები პქონდათ ვისგანმე და ან თავიანთი ყოფილიყო, რადგან
ზედ მიწენით შევიტყვით, რომ ჩუენი ბეითალმანი იყო. ჩუენც ის სა-
ბურჯულის მამული სრულებით გიბოძეთ, შენი მოცილე და მოდავე
არავინ იყოს. ამას გარდა იმ სოფლის ქაცი როგორცა ამ მთასა და
მიწას პემართბდნენ სახნავად, ისე ჩუენც უნდა იხმარო მთაცა და ბარიცა,
რომ სოფელი და არცა ვინ სხუათ შენი დამშლელნი არ იყენენ. ჩვენ
გვიბოძებია: ამას და გარდა ხატუას შეიღის ნახსირას მიწაც..." (ქხი,
ფ. A, საბ. № 2245)

მნიშვნელოვანია აღნებსანდრე ბატონიშვილის უნიკალურნები საქმიანობა.

როგორც მისი ეპიტოლები ცხადყოფს, სრულიად ახალგაზრდა აღექსანდრეს მეტად საპასუხისმგებლო ადგილი უჭირავს სამეფო კარზე, მეურნეობის სხვადასხვა დარგის მართვაშიც, აღექსანდრეს "უკელაზე უფრო ნიჭიერ, მხნე და გონიერ" მოღვაწედ თვლიან. სიჯაბუჟისას მას ჰყავს: იასაული, მეღვინუუცესი, ფარეშთუხუცესი, თაბუნი, მუშრიბი, უელულჩი. ესენი მრავალგვარ დავალებათა შესასრულებლად გამოსაყენებელი ერთგული მოხელეებია.

აქედან კარგად ჩანს, თუ როგორ გაიწვრთნა ეს ახალგაზრდა სამეფოს მართვა-გამგეობის საქმეში, რაც მიუთითებს მის სახელმწიფოებრივ ნიჭისა და უნარზე.

1790 წლის 28 მაისს აღექსანდრე გორის მამასახლისს სწერდა: "გორის მამასახლისო ზურაბ, ჩუენს ქარხანაში ერთი ლიტრა მარილი და ერთი ლიტრა ნიგოზი მიეც!" ქარხანა კი იყო ის ცენტრი, სადაც თავს იყრიდა სამეფოს მრავალგვარი შემოსავალი.

და რადგანაც აღექსანდრე საქართველოს ერთ-ერთ უკელაზე ნაყოფიერ მხარეში, შიდა ქართლში, გორში არსებული ასეთი ქარხნის, სტრატეგიული მნიშვნელობის თბილების მფლობელად გვევლინება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მის შესაძლებლობებს შესაბამისად აფასებდა ერეკლე II და სამეფო კარი.

ამ შეფასების ჰეშმარიტებაზე მეტყველებს აღა-მამად ხანის მიერ დანგრეული თბილისის აღდგენითი სამუშაოების აღექსანდრე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით წარმართვაც.

აღექსანდრე ბატონიშვილი ადრე უნდა დაქორწინებულიყო, რომ საცოლე მოულოდნელად არ გარდაცვლილიყო.

1890 წელს ერეკლე II-ის შუამდგომლობით თბილისში ჩამოუყვანიათ ყაბარდოს მთავრის ასული, რომელიც დაუწინდავს აღექსანდრე ბატონიშვილს.

ქართული კულტურის შესათვისებლად ქართლ-კახეთის მეფის მომავალი რძლისთვის მეფე ერეკლეს აღმზრდებულად დაუნიშნავს საღომე ამილახვარი. სარძლოს წარმატებით შეუსწავლია საღმრთო და საერო საგნები, ხელსაქმე; შეუთვისებია ქართული ზნეობა. იგი მოუნათლავთ და სახელად ნინო დაურქმევიათ.

უდროოდ გარდაცვლილ აღექსანდრე ბატონიშვილის საცოლისათვის ერეკლეს ასულს მარიამს მიუძღვნია ლექსი! 1

¹ აღნიშნულ ლექსზე მიუთითა ე. თაყაიშვილმა (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I. 1970. ნომ. 203. გვ. 80-81), ხოლო ფრაგმენტი გამოაქვეყნა თ პაპავამ (იხ. ლილი სახელი პატარა ჩარჩოებში თბ., 1990. გვ. 35).

ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის უმაღლესი
თხზულების დიდი მნიშვნელობის გამო აქ ჩვენ ეს მშვენიერი
ლექსი მოგვაქეს უშეაღოდ ხელნაწერიდან!¹

1 მეფის ირაკლის მის ალექსანდრეს დანიშნულ ნინოს ხიკვდილზედ
თქმული მარიამ ბატონიშვილისაგან:

ყაბარდოს იურ ერთი მხე ბრწყინვალე მანათობელად,
მისივე ხანთა ასული ვინ არის ჩერქესთ მფლობელად.
რძლად მცემულდა მუჟემან პალატის შესამეობელად,
იქსოს ქრისტეს სტლად ექნა უმანქო დაუჭრნობელად.
იქმა ქალწულთა მოდასათ სიწმინდით სახელიანად,
იგი სოფლისა მნათობი ვარდი ჰყვაოდა იანად,
დასთმო სოფლისა დიდება, ედემის ტახტს ზის სვიანად,
აშ რა ქნას მისუან ხმობილმან ნახვა მიხვდების გვიანად.
წარმოვთქვა მისი შექმა - თუ მიხვდეს ჩემი გონება,
ხელმკლავთა ნაზად აზიდვა, შავთა წამწამთა ქონება...
ვისთვის გასწირა სიცოცხლე. მკრდას ევდარ დაეკონება.
ეთხოებოდა სოფელსა ქვექნად მნათობი მზეო და,
ან დაუტე სოფელი სად ვაშვი ოდებ მეო და,
სად არის ჩემი დიდება ლომბულო მეფის ძეო და
ევდარ მიხილვენ შშობელნი ვამი მაქვს მცირე დდეო და.
დაელელნებ მელნის ტბანი ინდოელნი სცავდნენ ჯარად.
ლალთა კარნი დაერაზნეს ელვა კრთების აღარ ჩარად.
ენა ტკბილად მოუბარი აღარა ხმობდა ნარნარად,
ბროლის თითო დაეკრიფნეს ქადაღდზედან დასაფარად.
მეფე მოპრძანდა კრებულით, ახლდნენ მნათობი ასული.
მისი სანდომი შუენება ვით დაკომიტ სოფლით გასული
და საბრალონო შშობელნი იგ ვისი იურ ასული
ევდარა გნახოს მამამა ყაბარდოს შიგან მიხელი.
თვით დელიფალცა ნარნარად სალმობდა, ხმობდა ამასა,
მელნის ტბაშიგან ნადგრი ვარდი დაელტო ნამასა,
ბქანა უშენოდ მნათობი ვეღარ მისცემენ დრამასა,
შენის მეტ არა ყავსა რა შტგან ბნელქნილსა მამასა.

საქმროსთან

სატრფოთ მქონდა თქუენი ხლება ჭელმწიფის შვილო სვიანო.
მსურდა თქუენი სიახლოევე ტანად ალვისა ხიანო,
ტანახოვანო ჭაბუკო მებმოლთა თქუენთა ზიანო,
ნუ დამივიწყებ შენთვის მკვდარს, მეფის ძევ, დავითიანო!
დაეფლა მიწას მნათობი, ყაბარდოს მეფის ასული,
ბაგე ლალისა მბაბავი ნაზი ნარნარად მებმოლი,
იაგუნდისა ბაგესა შიგ მარგალიტი წყობილი
ედემის სიტყვით ვეღარ ხმობს, იქმა სოფლისგან ჭნო-
ბილი. (ქნ. ფ. S, ს. 1635).



ქართლ-კახეთის სამეფო კარზე სამართლებრუოს სამეურნეო საქმების გარდა აღექსანდრე ბატონიშვილს ერეპლა II ხშირად მიანდობდა ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანების სა მ ხ ფ დ რ ო - ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი საკითხების გადაწყვეტას.

1790 წლის მაისში შესრულებული სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტი (არზა, ბრძანება, მითითება, მიწერილობა, სიგელი) საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ აღექსანდრე ბატონიშვილი ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი და ორგანიზაციონი 1790 წლის ივნისის "...ივერიელთა მეფეთა და მთავარ-თაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიის..." ტრაქტატისა,¹ რომლითაც სოლომონ II და ლასაკლეუთ საქართველოს მთავრები ერეპლე II-სთან, ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და ურთიერთობდნენ 1783 წლის ტრაქტატს.

აღექსანდრე ბატონიშვილი ერეპლე II-ის რჩეულ დიპლომატად და სამხედრო სტრატეგად გვევლინება, როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის გატარებასა და მისი ინტერესების დაცვაში.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების I ტომში შემონახული იმერეთის მეფის სოლომონ II-ის 29 ნოემბერს გაგზავნილი წერილი გრაფ გუდოვისისადმი (შემდეგში კავკასიის მთავარმართებელი 1806-1809 წწ.), ცხადყოფს მეფე ერეპლესაგან მისდამი გამოცხადებულ უდიდეს ნდობას, ისეთი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებისას, როგორიც გახლდათ მეზობელი იმერეთის სამეფოს, როგორც საქართველოს ერთიანი, განუყოფელი ნაწილის ბედზე ზრუნვა და ფიქრი. სოლომონ II მას სწერდა: "...როდესაც მეფე ერეპლემ გაიგო, რომ ბიძამ ჩუქნმან დავითმა დაარღვია ჩვენი ერთგულების ფიცი, ჯარითა და არტილერიით ჩვენს დასახმარებლად გამოგეოგზავნა თავისი ვაჟი ალექსანდრე, რომელიც მოუიდა ჩუქნთან მაშინ, როდესაც ვებრძოდით ჩუქნს ურჩებსა, ანუ 24-ს ოქტომბერს".²

დავით გიორგის ძე აბაშიძესთან და მცირერიცხვებან მხედრობასთან ერთად სოხუმის ბეჭთან შეკრთხებას ლამობდა, რაც შეძლო კიდევ, მაგრამ ქელეშ ბეგმა ბოლოს ბრძოლაზე უარი თქვა.

ვფიქრობთ, რომ სოხუმის ქელეშ-ბეგის უკანდახევა აღექსანდრე ბატონიშვილის არა მარტო საბრძოლო, არამედ დიპლომატიური მანევრის შედეგიც უნდა იყოს ...

¹ А. Цагарели, Грамоты. т. III. вып. I, с. 183-185.

² Акты. т. I, Тиф., 1865, с. 554.



ხემოაღნიშნული ბრძოლა რომ 1794 წლის 24 ოქტომბერი უნდა მომხდარიყო, ადასტურებს ჩვენს მიერ მოკვლეული სხვა საბუთიც, XVIII საუკუნის ხელნაწერ წიგნ "სადღესასწაულო"-ს მინაწერი: "ქრისტე] გვიმარჯვა ნეფე სოლომან მათხოჯს, ქრისტეს აქათ ათას შვიდას ოთხმოცდათოთხმეტს, თვე თქმომბერსა".

სოლომონ II-ის გამეფებაში რომ ლომის წილი უდევს ალექსანდრე ბატონიშვილს, სხვა უტყუარი წყაროებიც მეტყველებენ.

მეტად მნიშვნელოვანია განჯა-ყარაბაღში და სხვაგან ლაშქრობა, რაც მის სამხედრო დაოსტატებას მოწმობს.

ერეკლე მეორის სამეფოს პოლიტიკური გავლენა სწრაფად ვრცელ-დებოდა იმიერ და ამიერქავებასიის მახლობელ სახანოებზე, ამისი ნათელი დასტურია 1795 წლის ზაფხულში ყარაბაღის საზღვრებში შემოჭრილი აღა-მამად ხანის წინააღმდეგ თავისი ჯარის წარგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით.

აღა-მამად ხანის 8000-იანი მეწინავე ჯარი ყარაბაღის ვოროებში მათ სასტიკად დაამარცხეს.¹

გამდეინგარებული ყაჯარი ამ დამარცხებამ ვერ შეაჩერა და გაორმაგებული ძალითა და სურვილით გამოემართა სანატრელი თბილისისაჟენ.

კრწანისის ომის წინ, მოსალოდნელი ბრძოლების ადგილები ალექსანდრე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით გაამაგრეს, მაგრამ ბრძოლებში იგი არ ხანს. ალექსანდრე ბატონიშვილს ვხედავთ ერეკლე II-ის დავალებით სამეფო ოჯახის თბილისიდან გახიზებისას.

1796 წლის გაზაფხულზე ერეკლე მეფეს შემწეობა სთხოვა ყარაბაღის იბრაჟიმ-ხანმა განჯის ხანის წინააღმდეგ. განჯის მფლობელი ერეკლეს ორგული იყო. ის აღა-მამად ხანს თბილისზე წამოუძღვა და საქართველოს აოხრების ღროს ყიზილბაში მოლაშქრეებისაგან მრავალი ტყვე და დიდი აღაფი შეიძინა. ქართველთა ჯარმა ალექსანდრე და დავით ბატონიშვილების სარდლობით 3 აპრილს განჯა აიღო და ჯავად ხანი ციხეში გამოკერა. ერეკლე მეფის გამოჩენის შემდეგ კი განჯის ხანი გატყდა, მოალევებს დამორჩილდა, ძველებურად ხარეი იკისრა და აღა-მამად ხანის საქართველოში შემოსვლისას ნააღაფარი 1000-მდე ქართველი და სომეხი ტყვე გაათავისუფლა.

¹ П. Бутков, Материалы. ч. II, с. 333. შდრ. Н. Дубровин, История войны и владычество Русских на Кавказе. т. III, с. 21.

შეფის რესეტის ისტორიუსთაგან აღსანიშნავდა ამ ბრძოლების 6. დუბროვინის გელი დამაგნიტებელი შეფასება, რომელშიც ალექსანდრე ბართიშვილის ჯარს ქართველთა 3000 კაცისაგან შეკრებილ, ხელკეტებით შეიარაღებულ "ურდოს, ბრძოს უწყობებს: "ჰყავდა ეს ალექსანდრე ბართიშვილს 3000 კაცი?" - სვამს კითხვას და თვითონვე პასუხით: "ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს ეს უეჭველია, განჯის ალყიდან სამი თვეც არ გასულა, რომ ალექსანდრეს მთელი ჯარი საკვების უკმარისობის გამო დაეშალათ".¹

ყარაბაღისა და დაღესჩნის ხანებს, ვითომ, ჯევად ხანისაგან აღებული ფული შეუხე გაუკვიათ, ბრძოლის გელი მოუზოვებიათ და მშვიდობით გაბრუნებულან საკუთარ სამფლობელოებში. ხოლო განჯის ციხესთან მისულ ერეკლეს "უელაფუერი დამთავრებული დახვდა და სხვა ადარაფერი დარჩა, გარდა იმისა, რომ დაქმაყოფილებულიყო აღა-მაშმად ხანის შემოსევის დროს ტყვედ აუგანილი 400 ქართველის გათავისუფლებით".

შეფის ისტორიუსთა მსგავსი შეფასებანი უდაოდ ცხადყოფენ ქართული სახელმწიფოს შენებისათვის მუხლჩაუხერელად მებრძოლი გმირების - ქვეუნის ამ გულგაუტეხელი ჭირისუფლების დეაწლის გამიზნულად დამცირებისა და შეურაცყოფის ტენდენციის არსებობას XIX საუკუნის რესულ ისტორიოგრაფიაში.

დიდი სახელმწიფო და სამხედრო მოდევაწის ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ რესეტის იმპერატორის პავლე I-ის საქართველოსადმი დამოკიდებულება პირველ ხანებში, თითქოს დემოკრატიული იყო, მსოფლიოს საზოგადოების თვალში რესეტის საიმპერატორო კარისაგან გადაღგმული ნაბიჯები ერთხანს მეზობელი ქვეუნის ეროვნულ სახელმწიფო წევბას აშკარად არ არღვევდა და მის დამოუკიდებლად განვითარებას ხელს არ უშლიდა.

რესეტის იმპერიული სრახვების² შესაბამისმა ახალმა პოლიტიკურმა ქურსმა საქართველოსადმი დამოკიდებულებაში თავი გამოამდევნა პავლე I-ის მიერ საქართველოს შეერთების მანიფესტის მომზადებისას. იმპერატორ ალექსანდრეს რომ ზედ-

¹ Н. Дубровин, указ. соч. т. III. с. 217.

² სამწუხაროდ, რესეტთან დამოკიდებულების პრობლემისათვის საჭირო დოკუმენტების, განხსაკუთრებით XIX საუკუნის დამდგების მასალების შეკრება - გამოცემას წინამორბედი მაკლვარები გასაგები მიზნების გამო გაურბოლნენ. მდგომარეობა, როგორც სამართლიანად მიუთითებს ვ-გურული, არც დღეს არის საიმედო: "ათწლეულების მანძილზე გასაიდუმლოებული საარქივო მასალების მხოლოდ უმცირესი ნაწილი შემოვიდა".

მეტი სიცრთხილე არ გამოეხინა, ქართლ-კახეთის შეძლებულების შეიძლებოდა რამდენიმე თვით ადრე გაუქმებულიყო.¹

საქართველოს პოლიტიკურად დაპურობისათვის ბრძოლამ არა მარტო ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოში, არამედ იმერეთშიც სიტუაცია დაძაბა.

დიდი ტრადიციის საქართველოს სახელმწიფოს სუვერენულად განვითარების ლიკვიდაციისათვის ამ მეტად მძიმე დღეებში შესაბამის ცდებს მოახწავებდა ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა დონისძიებანი და ქართული საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის გადადგმული ნაბიჯებიც.

უკანასკნელი ხანის კვლევაში პრობლემისადმი მიღებომა მკეთრად შეიცვალა, მაგრამ ახლადგამოვლენილი დოკუმენტები საქმაოდ არ არის შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში.

მეტი წილი პრობლემის წყაროთმცოდნეობითი ბაზა იგივეა, რაც რუსეთის ისტორიის ისტორიოგრაფიისა, ან საბჭოთა ისტორიოგრაფიისა. გამოქვეყნებული საარქივო მასალების ნაწილი ცუდად არის დამუშავებული.²

ჩვენ შეგვეძლო ნაშრომის ეს ნაწილი გაგვემდიდრებინა რამდენიმე ფაქტის აღნიშვნით, მაგრამ ეს დიდად არ შეცვლილა XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში შექმნილ სიტუაციას. ამასთან, ვცდილობთ, არ გადავტვირთოთ ნაშრომი და შემდეგ თავებში უფრო მეტი უურადღება დავუთმოთ ახალი ეპოქის კარიბჭესთან თავისუფლებისათვის ხმალა-მოწვდილ აღექსანდრე ბატონიშვილის საარაკო საქმეებს.

¹ მ. ვანაძე, ვ. გურული, "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები". თბ., 1998. გვ. 21.

² იქვე გვ. 10.

ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობა
 1800-1811 წლებში

§1. მოღვაწეობის ფართო სარბიელზე გასვლა

ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მრავალრიცხვოვან ბატონიშვილთა შორის ალექსანდრე ადრიდანვე მრავალმხრივ მოღვაწედ ყალიბდებოდა. ამას ხელს უწყობდა მისი აღნაგობა, ენერგია, ნიჭი,¹ ადამიანებთან ურთიერთობა-თანამშრომლობის მომადლებული უნარი და სხვა ისეთი სანაქებო თვისებები, რაც აუცილებელია სამოღვაწეოდ გამზადებული ახალგაზრდისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბატონიშვილების თვალწინ სასახლეში დიდი მნიშვნელობის მოღვაწეობა მიმდინარეობდა. დაწყებული უცხოელთა მიღებიდან, მცირე სამეურნეო დონისძიებებით დამთავრებული.²

ყველაფერ ამასთან ალექსანდრე ბატონიშვილი ინტერესებს იჩენდა. თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა მნიშვნელოვანი აბბებისადმი და ზოგჯერ ამა თუ იმ დავალების შესრულებისათვის მზადყოფნასაც აცხადებდა.

მეცე ერეკლე II თავის მოსწრებულ ვაჟკაცს თავისთან ხშირად იხმობდა და არც თუ ისე ადვილად შესასრულებელ საქმეთა მნიშვნელობაზე ესაუბრებოდა.

ალექსანდრე თანდათან გონიერად, ინტერესით ეკიდებოდა მისთვის მინდობილ დავალებას.³

თავისი ინიციატივით თუ სხვა წარდგინებით XVIII საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ეს ბატონიშვილი მრავალ მნიშვნელოვან სამხედრო,⁴ პოლიტიკურ,⁵ სამეურნეო⁶ საქმეს უზრუნველყოდა.

საქართველოზე, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოზე გავლენას ახდენდა ეპოქისეული საერთაშორისო მდგომარეობის

¹ Ап. Ерицков, დას. ნაშ. გვ. 45.

² ქხი. ფ. Hd. ს. №№ 11926, 12951, 13411 ...

³ იხ. ქართველი სამართლის ძეგლები. ტ. VIII, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა შენიშვნები და საძიებელი დაურთო ი. დოლიძემ თბ., 1985, გვ. 88.

⁴ დავით ბატონიშვილი, დას. ნაშ. გვ. 23-24, იხ. აგრ. ქხი, ფ. Hd. ს. № 12020

⁵ Акты, т. I, № 695, გვ. 554.

⁶ ქხი, ფ. Hd. ს. №№ 12228, 12843.

სწრაფად ცელისა და ცალქეულ სახელმწიფოთა გარდაჭერისად გან ხორციელებული ღონისძიებანი.

იმ ბობოქარ ხანაში შესაბამისად იზრდებოდა სამშობლოსა და მის გარეთ მყოფი ქართველების არა მარტო მაღალი წრეებიდან გამოსულთა, არამედ, არც ისე გამორჩეულ პიროვნებათა, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული ცხოვრების უკრხეულში ხაბმულთა წილი.

მშეიღობიანი განვითარების დროს საგულისხმო მოვლენების, ფართო საომარ შეტაკებათა სიმძაფრისა და შედეგების განცდა აფართოებდა მათ გონებრივ პორიზონტებს, ზრდიდა ქვეყნის კეთილდღეობისა და მისი ნათელი მომავლისათვის მებრძოლ ქართველთა აქტიურობას.

ნაყოფიერ კულტურულ-პოლიტიკურ კავშირულთიერთობათა მეოხებით დიდი წარსულის მქონე ქართველთა ხალასი გონება ადვილად წვდებოდა არა მარტო უშეალო მეზობელთა, არამედ შორს მცხოვრებ დაწინაურებულ ხალხთა ახალ იდეებსა და პროგრესის ხელშესაჭყობად გადაღგმულ ნაბიჯებს.¹

ეპოქის მოწინავე მოვლენებზე თრიენტირებული მაშინდელი ქართველი მოაზროვნენი კარგად ერკევოდნენ პეტრე პირველის, ვახტანგ მექების, თეიმურაზის, ეკატერინეს, ერეკლეს, სოლომონის, ფრიდრიხის მეორის, ალექსანდრე, ლეონ, პატრი ბატონიშვილების, ნადირ-შაპის, აღა-მამადის, გრ. პოტიომკინის, შერიფ ფაშასა და სხვათა მოღვაწეობის არსებიც.

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, უებრო მხედართმთავრის, ერეკლე მეორის ძე, ალექსანდრე შობიდანვე სასახლეში, მის უახლოეს გარემოცვაში ეზიარა კულტურული მემკენილეობის დაცვა-განვითარებისათვის თავგანწირული ბრძოლის იდეებს.

მის აღზრდასა და მისაბაძ პიროვნებად ჩამოყალიბებას ხელმძღვანელობდნენ არა მარტო მაღალზნიანი ბრძენი ქართველი მოღვაწეები, არამედ უცხოელებიც.

ბატონიშვილმა აღიდანვე შეითვისა არა თუ მხოლოდ ქართული საერო და სასულიერო ზნეობის თეორიული საფუძვლები, არამედ მას მაღალ დაუდგა შეძენილ ცოდნა-ჩვევათა პრაქტიკულად გამოყენება-მოხმარების დროც, რადგან ქართლ-კახეთის სამეფოს იმდროინდელი აღმშენებლობის სწრაფი ტემპი, სახელმწიფო წესრიგის აღმინისტრაციული მართვა-გამგეობის, ეროვნული მართლმხაჭულების განმტკიცების, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანები დიდი და ღრმა პროცესის აქტიურ

¹ Акты, т. I, с. 387.

მონაწილეებდ აღრევე ხდიდა მოზარდებს, მათ შორის საქართველოს ტონიშვილებაც.

თავდაპირეელად აღექსანდრე სამეურნეო და სამხედრო სფეროებში შპრომელ, ენერგიულ და გონიერ ხელმძღვანელად, მეფის სასწრაფო დავალებათა ენერგიულ და დროულ შემსრულებლად გვევლინება. შემდეგ მას ვხედავთ სახელმწიფოს რჩეულ ბეჭედისამართლეთა მცირერიცხოვან დასწი.

აღმინისტრაციულ-სამეურნეო და განხინებათა განწევებაში მის უკეთესად დასაოსტატებლად, გამოცდილების გასაღრმავებლად, მნიშვნელოვანი იყო საქუთრებად ნაწყალობევი საბატონიშვილოს მართვა-გამგეობის ხანა.

XVIII საუკუნის ბოლოს (1794წ. 6 მარტი) ერეკლე II-მ აღექსანდრეს საუფლისწულო (საბატონიშვილო) მამული შულავერში მისცა, რომელიც სახასო ტერიტორიად გვევლინება XVIII საუკუნეში.²

თეიმურაზ II-ს დეკადა თარეშისაგან თავის დასაცავად XVIII საუკუნის 40-50-იანი წლებში ამ სოფელში³ აუგია ციხე-სიმაგრე, რომლის მფლობელადაც შემდგომში გვევლინება აღექსანდრე ბატონიშვილი.

დაახლოებით 1794 წლიდან აღექსანდრეს სამფლობელოს შეადგენდა: 311 კომლი ყმა-გლეხი სოფელ დიდ და პატარა შულავერში, 100 კომლი-სარვანში, 70-სოფ არუხლუში,⁴ თბილისში 60 კომლი-ყმა, ცხინვალში-50, სოფ. ნარში-100 კომლი ყმა-გლეხი, 50 კომლამდე-სოფელ ზააკას, შპასა და ზგუმირში; სამშვილდეში-8 კომლი, წინწეროში-30, სამფლობელო პქონდა სოფელ ნახიდურშიც. ზემო დვალეთში მას ჰყავდა 80 კომლი ოსი ყმა, სადარჯალში-40, ფშაველში, ვეფხვის ციხესა და თურმანაულში-100 კომლამდე ყმა-გლეხი. სოფ. თურმანაულშივე მას ეკუთვნოდა აზნაურ ქვლივიძეების ერთი ოჯახი. მას ჰყავდა ყმები კაზახის სოფლებშიც: კაზახ-გუმბეგთა და გეკტაფეში-5 კომლი.⁵

ამრიგად, აღექსანდრე ბატონიშვილის სამფლობელო შეადგენდა 1100-ზე მეტ კომლ გლეხსა და აზნაურს, რაც, ჩვენის აზრით, შემდგომ ბრძოლებში დაახლოებით 4000-5000 მხარდამჭერს მისცემდა მას.

¹ ქხი, ფ. Hd. ს. №№ 2906, 11065.

² ხ. ხიდურელი, ფეოდალური მიწათმფლობელობა XV-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 1989, გვ. 54-55.

³ სოფელი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: დაღი და პატარა შულავერი.

⁴ ცცხსა, ფ. 1448, ს. №№ 5640, 7722, 7724.

⁵ აქტი, T.VI, გ. II, C. 815.



გიორგი XII-ის გამფუების შემდეგ ალექსანდრეს ძღვომ შემდეგ გაროვნებულია. გიორგისა და ალექსანდრე ბატონიშვილს შორის არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ პოლიტიკურ თუ სამართლებრივ საკითხებზე, გამოიწვია მათი დაპირისპირება, ალექსანდრეს სამოქართვა სამფლობელოს უდიდესი ნაწილი და გადაეცა გიორგი XII-ის მცირეწლოვან შვილებს.¹

ამ იდეური კონფირონტაციის შემდგომმა გადრმავებამ გამოიწვია ალექსანდრე ბატონიშვილის დროებითი ემიგრაცია საქართველოდან. ჩვენი ქვეყნის უკიდურეს საზღვრებთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მისი მხარდამჭერი საუფლისწულო შულავერიდან იგი 1800წლის ივნისში თანხმელებ პირებთან ერთად გადავიდა საქართველოს არც თუ ისე კეთილმოსურნე ირანის ბანაკში ახალი დამკრობლის, რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართლ-კახეთის სამეფო ქარის დავალებით დასავლეთ საქართველოში დედულეთსა და სხვა აღგილებული ბატონიშვილ ალექსანდრესაგან შესრულებული მისის დეტალებს აქ ვრცლად აღარ შევვხებით.

ამჯერად, ჩვენთვის საქმარისია აღვნიშნოთ, რომ ეს იყო მოღვაწედ ჩამოყალიბებული ბატონიშვილის უმნიშვნელოვანების მინდობილობათა შესრულებაში გამოცდა-დაოსტატება.

მაშასადამე, ალექსანდრე ბატონიშვილი სასახლეში მნიშვნელოვან ფიგურად იქცა XVIII საუკუნის 80-იან წლებში. იგი მრავალმხრივ მოღვაწეობაში XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ჩაება.

მევე ერეკლეს შეუძლოდ ყოფნისას (1797 წ. დეკემბერი – 1798 წ. იანვარი) საკამათოდ ქცეული გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფობის საკითხი, ჩანს, ანდერძის საფუძველზე, ლეგიტიმიზმის პირობების დაცვით გადაჭრილა გორგი ბატონიშვილის აქტიურობითა და დედოფალ დარჯვანის თანხმობით.

ერეკლე II-ის გარდაცვალების (1798 წ. იანვრის) შემდეგ (14 იანვარს), კახეთსა და ქართლში გიორგი ბატონიშვილის გამევების ფიცი აღსრულებულა. გარდამავალი ხელისუფლების უამს სამუშაო დინასტიასთან ერთობა კიდევ უფრო განმტკიცებულა რამდენიმე ქართველი თავადის დახიმებითა და ნიშნობით.

საქართველოში ვითარება თანდათან სწრაფად იცვლებოდა, რაც რუსთა იქ გახელმწიფების ხანას აახლოებდა.

¹ იხ. Акты, Т. I, С.223,

თელავს გვიან მისული ალექსანდრე და ფარნაოზმაშვილები მმებს შეერთებიან და თავიანთი ხაწილო მამულები მოუთხოვიათ.

ჩანს, მოვლენათა ურთიერთგადაჯაჭვულობის გამო, ეს საქმე ბატონიშვილების სასარგებლოდ მეფე გიორგის ვერ გაურიგებია.

1800 წლის 24 ოქტომბერს ქიზიუის მიტრიაპოლიტ იოანესაღმი მიწერილ წერილში ალექსანდრე ბატონიშვილი წერდა: “თქვენთვის ცნობილია, რომ მეფე და ხვენი მმა არც მე და არც ხემს მმებს ისე არ მოეკიდა, როგორც ამას მოითხოვდა ხვენი ახლო ნათესაობა.”²

საქმისათვის რუსეთის ხელისუფალთა თრჭოფულ დამოკიდვ ბულებას, რა თქმა უნდა, შედეგი არ მოჰყოლია.

ამით შეურაცყოფილი ძლიერი ნებისყოფის ალექსანდრე ჩანდა, სხვა გზას დაადგებოდა.

მას ბევრი ელოდა, 1800 წლის ზაფხულს, როგორც იაგორ თურმანიძის დაკითხების პატაკიდან ირკევვა, ქართველი ბატონიშვილის შულავერიდან ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვართან არსებულ ყიშლადს მისულა.³

იქ, ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდნენ ხელისუფალთაგან წარგზავნილნი, რომელთაც მას დაბრუნება სთხოვეს. ქართველმა ბატონიშვილმა არ დაიშალა და მხლებლებით საზღვარი გადაჭვეთა.

დაიწყო მიზნის განხორციელებისათვის მისი დიდი, ხანგრძლივი მოღვაწეობა.

იმავე წლის ივნისში ალექსანდრე ბატონიშვილი ყარსს მივიღა.⁴ მენაპირე ალი ბეი ქართველ ბატონიშვილს ფაშის რეზიდენციისაკენ წარუძღვა. მოლაპარაკების შემდეგ ქართველი მოღვაწე ყარსის ფაშამ ირანელთა ბანაკისკენ გააცილა.

ირანელმა უფილსწულმა აბას მირზამ თავის სადგომიდან ქართველი ბატონიშვილის შესახვედრად რასმი გაგზავნა.

საზეიმო მიღებისას ალექსანდრე ბატონიშვილი დაასაჩუქრეს და მისთვის ახალგამართულ მშვენიერ საცხოვრებელში მიაცილეს.

¹ მასალები საქართველოს ეპონომიკის ისტორიისათვის, წ. II, მასალები შეარჩია და გამოცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ., 1953. გვ. 192-193.

² Акты, Т.I, с. 282.

³ Акты, Т.I, с. 285.

⁴ Н. Дубровин, История войны и владычество русских на Кавказе. т. III, СПБ, 1886, с. 275

ირანელებში ქართველი ბატონიშვილის გამოხენა სასახლის
თლიანად აღიქვეს დადი მნიშვნელობის მოვლენად.

ამ ხასიათულო ფაქტის გამო აბას მირზამ მამას დიდი
იმედების მომცემი წერილი აახლა.

შამა მცირეწლოვან უფლისწელს წერილითვე ურნია მომავ-
ალში თავის მოღვაწეობაზე იბრეიმ ხანსა და ალექსანდრე ბა-
ტონიშვილს მოთათ-ბირებოდა.

ირანელი და ქართველი ბატონიშვილების დაახლოებამ შემ-
დეგი გავლენა იქონია კავკასია-მახლობელი აღმოსავლეთის მოვ-
ლენებზე.

კავკასიისათვის ბრძოლა 1800 წლის 4 აგვისტოს ერევნის
ციხის აღყაში მოქცევით განვითარების ახალ ფაზაში შევიდა.

§2 ალექსანდრე ბატონიშვილის პირველი შემოჭრა სამშობლოში

ალექსანდრე ბატონიშვილის ადრინდელი მოღვაწეობიდან
ცნობები მცირეა. ახლადგამოვლენილი საუკრადდებო დოკუმენტებით
ეცდილობთ აღვადგინოთ 1800 წლის 7 ნოემბრის ბრძოლის
რეალური სურათი და იმდროინდელ სიტუაციაში ალექსანდრე
ბატონიშვილის როლიც ჯეროვნად წარმოვაჩინოთ, რაც აღ-
ნიშნული შეტაკების მკვლევარს ჯვათეიშვილს არ გაუთვალის-
წინებია.¹

ამ დიდი მოღვაწის შესახებ გვოქისეული ქართული დოკუმენ-
ტებიდან აღსანიშნავია ერთი საინტერესო ჩანაწერი, რომელიც
დღეს დაცულია პ. პეტელიძის სახელობის ქართულ ხელნაწ-
ერთა ინსტიტუტის ახალ ფონდში. მნიშვნელოვანი მოვლენებით
დაინტერესებული ანონიმი მოღვაწე მოგვით-ხრობს ნიახურას
მიდამოებში გადახდილ ბრძოლებზე და წერს: „რუსის ჯარი ახ-
ლდა მეფე გიორგის ძეს, უგანათლებულეს იოანეს და დეთის
მადლით გაემარჯვა იორის მახლობელ ალაგს, რომელსა ჰქვია
ნიახურა, ოდეს მოიუვანა ალექსანდრემ ხუნძახის ხანი უმან ხან
ოცდაოთხი ათასითა ლევითა და დიდათ სახელოვნად გამოჩნდა
თვით ეს მეფის ძე იოანე და მოსრნეს აგარიანნი ოთხიათასი,
თუმსა ნოემბერსა ზ, წელს უფლისათა ჩყ, ქართულ ქორონიკ-
ონს უპტ.”

¹ Дж Ватенишвили, ... Из истории Грузино-Русского содружества против Иранской агрессии. (Какабетское сражение 1800г). მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972წ, №3, გვ. 97-112.



მეცნიერებების მოდასე ამ შექმატიანის დიდი შემთხვევების ჩანაწერში არა მარტო ბრძოლაში მტრის რაოდენობაზეა მითითება და შეტაკების აღვილია (ნიახურა), დაზუსტებული, არამედ ნათლადაა მითითებული, რომ ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი დიდი, მეტად მნიშვნელოვანი ბრძოლა ქართველი ბატონიშვილის, იოანეს მთავრობით გადახდილი, ხუნდაბის ხანის უმანის სარდლობით შეკრებილი დაღესტნებულთა და კოალიციური ჯარის წინააღმდეგ.¹

მომდევნო ქართული წყარო სხვარიგად დადადებს მაშინდელი ბრძოლების ორგანიზატორებისა და მათ მიზნებზე: “მცბიერმა ომარხანმა, - ვკითხულობთ ლოკუმენტში, - შექრიბა დაღესტნის ჯარები და შეუერთდა ალექსანდრე ბატონიშვილს. იმათ უნდოდათ შეხეოდნენ ქართლს, მიერთოთ იმერლები, ჯარები ბატონიშვილების: იულონის, ვახტანგისა და ფარნაოზისა და ორი მხრიდან მოპდგომოდნენ თბილისებ.”²

ჭეშმარიტების მაძიებელი მეკლევარი გვერდს ვერ აუვლის სხვადასხვა მიზნით შედგენილ ასეთ საგულისხმო ჩვენებებს.

ზემოთხსენებულ საისტორიო მითითებებს ავსებს ეროვნული სულისკვეთების მემატიანეთა ცნობები.

აღმოსავლეთ საქართველოს ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი თავის “ახალ ისტორიაში” ომარ ხანის ბარად ჩამოსვლაში ხედავს იბრეიმ ხანის ხელს და ოდნავი შეფერილობით და ლაპონურად გადმოგვცემს ამ დიდი შეტაკების მსვლელობას: “კვლავ შთამოვიდა ომარ ხანი ავარიელი ბირებითა იბრეიმ ხანისათა და დაიბანაკა კიდესა ალაზნისასა. წამოვიდნენ და მოვიდა პირისპირ ნიახურის. მუნ ეკვეთნენ მეფის ძე იოვანე და ბაგრატ კახთა მხედრობითა და ექვსასისა რუსითა, რაოდენ იყვნენ თვით მწნედ, ეგოდენ მწედრობანი კახთანი. ესე იყო ვიდრე ათი ათასისა კაცამდე. და უკან იქცნენ სირცეხვილეულნი, შთაფლეს იორი, მიუხდნენ განჯას, გარნა მუნცა იძლიფენ”.³

მეტად საგულისხმო ბრძოლის წარმმართველის, ქართველთა ჯარის

სარდლის ბაგრატ ბატონიშვილისეული ამათგან განსხვავებული აღწერა: “... ხოლო მას უამსა ხუნდაბის ერისთავიცა ომარ ჩამოვიდა ჭარსა თორმეტი ათასით მხედრობითა მსმენელი ამისი

¹ ქხი, ფQ, ს. №654.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა. თბ., 1980 გვ. 217.

³ დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. გამოსცა თ. ლომოურმა. თბ., 1941. გვ. 26.



ალექსანდრე წავიდა უარაბახით ჭარში და მიეკიდა მასთან უფრო განვითარებული და აღუთქვა მრავლისა მიცემათ ტკივისა და საქონდისა... ხოლო მისრულმან მეფის ძემან ალექსანდრემ წარმოიყვანა იმარ ხანი და განვიდა ალაზანსა, ენება, რათა შემოაღვეს ტფილის და აღიღოს ტფილისი და წარწერილოს მმა თავისი გიორგი, რომელიცა მას ჟამს სხეულობდა და მდებარე იყო წყლის მანქიერებით. მეფე გიორგიმ მსმენელმან ამისმან მიუწერა ძესა თვისსა ბაგრატს, ზანიშინსა კახეთისასა, რათა შეკრიბოს კახთა მხედრობად და შეერთდეს უფროს მმასა თვისსასა იოვანეს ფელციხ მესტრსა, რომელსაცა წარატანა თანა ტფილისით ორნი ბატალიონნი რუსთა მხედრობისა და ორნი ზარბაზანიცა საქართველოს არტილრელისა წინამდლოლობითა ლიანარალ ლაზაროვისა და ლიანარალ გულაქრეისთა...

...მეფის ძენი შეუდგნენ უკანა რუს-ქართველთა, ეწივნენ იორისა ზედა ნიახურად წოდებულსა ადგილსა... იქმნა ბრძოლა ძლიერი ვიდრე სამ საათამდე. იძლივნენ ლექნი...

...თუცადა დამემან უსწრა, დამით გარდაიხვეწნენ ლეპნი, თვარ ჭყონებ ვერცარა ერთი განერებოდა.¹

ამ დიდ და მნიშვნელოვან ბრძოლის მიზეზებზე უთითებს თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ირანის შაჰს, ბაბა-ხანს მიიჩნევს აღა-მამად ხანის საგარეო პოლიტიკის გამგრძელებლად. ქართველი ბატონიშვილის თქმით, მეფის გიორგისაგან რუსეთის ქვეშვრდომობის მოთხოვნა განაპირობა ირანის ამ მბრძანებლის ქართლ-ქახეთის მეფე გიორგიზე ძალდაჩანებამ, რის გამოც ქართველმა მეფემ საქართველოში მოაყვანინა რუსთა ერთი პოლკი.²

ომარ ხანს საპარსელთაგან გამხნევებულად ვარაუდობს ს. კაკაბაძე. ეს ისტორიკოსი მიუთითებს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი შეუშიდან წამოვიდა ომარ ხანის მოწვევით.³

მეფე გიორგის ნაბიჯებმა გააძტიურეს მეზობელი ქვეყნის მფლობელნი, რომელთა შორის აგრესიულობით გამორჩეული ავარელი ომარ-ხანი 1800 წლის ნოემბერში საქართველოს შემოქსია.

უპირველესად აუცილებელია ბრძოლის ადგილის ლოკალიზება. ჯ. ვათეიშვილმა სამართლიანად მიუთითა,¹ სამშობლოს

¹ ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხოვნა, გამოსცა თ. ლომოურმა. თბ., 1941. გვ. 73-74.

² თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია თბ., 1983. გვ. 67.

³ ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921. თბ., 1997, გვ. 55.



ისტორიისათვის ამ მნიშვნელოვანი მოდეულის საკუთხევლით და
შეუძლია და შემცირდა ზოგი ფაქტის დაღვენას.

მათგან ახლა ჩვენი თემისათვის განხაგუთრებული
მნიშვნელობისაა ბრძოლის აღგილი.

საისტორიო წეროების ჩვენების საწინააღმდეგოდ, ჯ.
გათეიშვილმა შეტაკების აღგილად მიუთითა კაგაბეთი.

ეს ტოპონიმი მოიცავს ფართო ტერიტორიას, უკირველესად
დიდ სოფელს, მრავალრიცხოვანი მოსახლეობით. ამიტომ ასეთი
ზოგადი მითითება სხვა საკითხებისადმი უხერხელობას ქმნის და
მას დაქონქრეტება სჭირდება.

ჩანს, ამ მნიშვნელოვანი გადამწყვეტი ბრძოლის აღგილი
კარგად იცოდნენ ძეველმა ქართველმა მემატიანებმა, რომლებიც
მოქმედების აღგილად ერთხმად მიუთითებენ ტოპონიმ “ნი-
ახურას”.

ამის მიუხედავად, 1828 წელს გაზეთ “Тифлисские ведомости”-
ის პირველსა და მეორე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში შეტა-
კების აღგილად დასახელებულია ივრის პირი, რაც მეტად აუკარ-
თოებს საომარი მოქმედების არეალს.

მართალია, რომ ჯარები ორივე მხრიდან თავს იყრიდნენ
ივრის პირზე, მაგრამ სად მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა?

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ შეტაკებას, რომელმაც გადაწონა
გამარჯვების სასწორი, გენერალური ბრძოლის ვუწოდებთ.

ამის გათვალისწინებით, გენერალური ბრძოლის აღგილად
ივრის პირისა და შემდეგ კაგაბეთის მითითება უხერხელია.

მართებულია ქართველი ქრონისტებისგან აღწერილი აღგილი.

ფეოდალური ხანის ქართველი ისტორიკოსები და მათ შორის
ბრძოლის სარდალი ბაგრატ ბატონიშვილი ამ ომში გენერალური
სამხედრო ოპერაციის აღგილად ასახელებს ნიახურას.²

ეს დღემდე ცოცხალი ტოპონიმი (ნიახურა) ქართველთა და
რუსთა გავრთიანებული მხედრობის დაღესტნებითა კოალიციასა
და საქართველოში პირველად შემოჰრილი აღექსანდრე ბატონიშ-
ვილის რაზმზე გამარჯვების აღგილია.

ასევე მნიშვნელოვანია მებრძოლთა ძალების რაოდენობის
განხაზღვრა. ქართველი მეფის კარის ქრონისტები ავარელი ომარ-
ხანისა და ქართველი აღექსანდრე ბატონიშვილის ჯარების
რაოდენობა ოცდაოთხ ათასამდე ჯეავს.

ვფიქრობთ, ეს გადაჭარბებულია.

¹ Дж., Ватенишвили, указ. ст. გვ. 97-98. მიხილე, К историографии Какабетского сражения, წიგნზე: Русская общественная мысль и часть на Кавказе. М. 1973. с. 188-405.

² ბაგრატ ბატონიშვილი, დას. ნაშ. გვ. 74.

დაკით ბატონიშვილის მიხედვით, ომარ-ხანს აღნიშნულ
ბრძოლაში ახლდა ათი ათასი კაცი. ბაგრატ ბატონიშვილი
ბრძოლის მონაწილედ ასახელებს ათას ხუთას ქართველს, რო-
მელთაც პქონდათ ექვსი ქავები.

დაკით ბატონიშვილი ნიახურას ბრძოლაში მიუთითებდა ხუ-
თას რუსს, ხოლო ბაგრატ ბატონიშვილს მათი რაოდენობა ექვსა-
სამდე აჲყავს.

მოწინააღმდეგ ომარ-ხანის კოალიციიდან ბრძოლის ველზე
დაეცა ოთხ ათასამდე მებრძოლი, ხოლო ქართველთაგან
ოცდაათამდე ბარის მცხოვრები და მთიელი.

რაც შეეხება რუსეთის ნახევარი ბატალიონის რაოდენობის
ძალიდან ბრძოლაში დაღუპულა ორიოდე ჯარისკაცი.

პრინციპულია იმის გარევევა, თუ ვის ახლდა დიდალი ჯარი.
რუსი ისტორიკოსის თქმით, ქართველი ბატონიშვილი აღექსან-
დრე სამშობლოში შემოიჭრა 20 ათასი “ლეგით”¹.

ვფიქრობთ, ამდენი ჯარი აღექსანდრეს არასოდეს ჰყოლია,
არა თუ 1800 წელს, საქართველოში შემოჭრისას. მრავალ-
რიცხოვან ჯარს საქართველოში შემოუძვა ავარელი ომარ-ხანი.
ომებში გამობრძმედილ ქართველ ბატონიშვილს ავარელი ხანისა
და მისი სამხედრო საბჭოსაგან განსხვავებული მიზნები პქონდა.²

ჩვენ ვერ დავთანხმებით აღნიშნული ომის მნიშვნელობის
განმსაზღვრელ მექლევარებს.

მათგან ო. მარკოვა, რომელსაც დღესაც მრავალი მექლევარი
ეყრდნობა, წერდა: გამარჯვებამ იხსნა კახეთი განადგურებისაგან
და ხელი შეუწყო რუსის ავტორიტეტის და სიმპათიის ზრდას
ქართველთა შორის.³

უდავოა, რომ გამარჯვებამ მცირე ხნით განმუხტა კავკასიაში
შექმნილი დაძაბულობა, განამტკიცა ქართული სახელმწიფოს,
საქართველოს აკტორიტეტი.

ამასთან საინტერესოა აღექსანდრე ბატონიშვილის ქმედება
საქართველოში კოალიციური ლაშქრობის დროს.

ქართული საზოგადოების აზრის ზეობის დროს, ჩანს, ზ. ჭი-
ჭინაძეს მოუწადინებია აღექსანდრე ბატონიშვილის მიზნის გან-
საზღვრა და მიუთითებია ცოდვისთვის თავის არიდებაზე.
აღექსანდრეს, - წერდა მექლევარი, - სურდა გიორგი მეფის
დამარცხება. საამისოდ აღექსანდრეს თითქოს ჰყოლია დიდიძალი

¹ Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России, СПБ, 1897, с. 153

² იქვე.

³ О. Маркова, Восстание в Кахетии в 1812 г. М. 1951, с. 20.



(თორმოცდაათი ათასი) ჯარი.¹ როგორ პრიმერის ვალიურ ჩატარებულ თვალი გადაუვლია, გახსენებია შეფექ ერკლეს დარიგებები, “ამიტომ, - წერს ზ. ჭიჭინაძე, - ცოტა არ იყოს, შერცხვა თავისი თავის და თქვა გულში, რომ ჩემგან ეს იქნება დიდი ცოდვა და ჩემი მამის, ერკლე მეფის დავალების გმობა, რომ ჩემის მმის მეფის გიორგის მტრობით და ჯიბრით ათასი ქართველი კაცი მოვკლაო.

მე ამას ვერ ვიზამ, თვით გიორგი უნდა იყოს აქ, რომ იმას ვეცე საქართველოს გულისათვის და რომ უელი გამოვლადორო არა თუ ჩემი გმობა და შერცხვენა იქნება, რომ მისის ბოროტების გულისათვის ათასი კაცი ქართველი გავიმეტო და გავუჭირვო”.

ეს გმირი ბატონიშვილი დიდის მამულიშვილობის გრძნობით აღივსო. მან გადაწყვიტა, მე საქართველოს ათას კაცს არ მოვალავ, მე ისევ უკან გავბრუნდებით.

ალექსანდრე ბატონიშვილმა სხვა ხანებთან ისაუბრა, აუწყა, რომ რუსის ჯარით ქართველები დაგვამარცხებენო, ამიტომ უმჯობესია, რომ ომი შევაჩეროთ და ამაღამ გავიპაროთ, მით ჯარი გადავარჩინოთ! ხანებს ესეთი გარიგება დიდათ მოეწონათ და საღამო ჟამს ალექსანდრემ თავისი ჯარი უკან დასწია, ომი შეჩერდა ...”²

იმდროინდელი დოქუმენტები სხვაგვარად გვიხსნის ომის წინა დღეებში გავარდნილი ქართველი ბატონიშვილის მიზანს.

ჯერ კიდევ 24 ოქტომბერს ქიზიშვის მიტროპოლიტ იოანესადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: “თქვენთვის ცნობილია, რომ მეფე და ჩვენი ძმა არც მე და არც ჩემს ძმებს ისე არ მოექიდა, როგორც ამას მოითხოვდა ჩვენი ახლო ნათესაობა. ჩვენ ხუთი ძმა ვართ და უველანი მზად ვართ როგორც ჩვენი გარდაცვლილი მამა, ერეკლე გიცავდათ თქვენ, ჩვენც ერთსულოვნად სისხლი ვღვაროთ. თქვენ სულიერი მოძღვარი ბრძანდებით სამწევსო და თქვენი ვალია დაიცვათ სიმართლე და სიწმინდე, რომ ჩვენ არ ჩავიდინოთ ცოდვა და სისხლი არ დავღვაროთ, თუ თქვენ ჩვენს ხმას მოუსმენთ, ეს არ იქნება ბოროტება. გთხოვთ საამისოდ მითლოთ ზომები, თუ არა და ცოდვა შეეკრება თქვენს სულის”³.

ასეთი ბრძნელი მიმართვის მიზანი იყო მეფის წინაშე შუალდებულობა.

¹ ზ. ჭიჭინაძე ასე ანგარიშობდა 30 ათასი ახლდა ომარ-ხანს, 5 ათასი ალექსანდრე ბატონიშვილს, ხოლო ბაბა-ხანმა მისცა 15 ათასი.

² ი. ზ. ჭიჭინაძე, პაკლე იმპერატორმა როგორ სამოართვა გიორგი მეფეს საქართველო. თბ., 1917. გვ. 7.

³ იქვე.

³ Акты... т. I, С 282.



ალექსანდრე ბატონიშვილმა წერილები გაუგზავნა ქიბელის უსამართო ნაცვალს, თარიმანს, ახეულის უფროსს – პატარკაცს, სხვა ნახელმწიფო მოხელეთ ქიზიუში და მიმართა უვდედა ქიზიულს.

რა სურდა გავარდნილ ბატონიშვილს, ძნელი მისახვედრი როდია.

1800 წლის 5 ნოემბერს ქართველ ბატონიშვილს მიმართავდა საქართველოში დისლოცირებული რუსთა ჯარის ნაწილის მეთაური გენერალი ლაზარევი. იგი აძლევდა მას უშიშროების გარანტიას და სთხოვდა თბილის მობრძანებას.

დედა დედოფალი დარეჯანი გახმაურებული ინფორმაციის საფუძველზე უწუნებდა მას ომარ-ხანთან შეკავშირებას, რადგან ეს ავარელი მის ძმას, ქართველთა მეუეს ემტერებოდა.

“შვილო ჩემო! – სწერდა დედოფალი ალექსანდრე ბატონიშვილს, - ყმაწვილობისას მრავალჯერ გარწმუნებდით, რომ არ ხარეულიყავი შთამომავლობისა და სამშობლოსათვის საზიანო საქმეებში. ახლაც ამას გარწმუნებთ, კარგად აწონოთ რჩევა.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენს რჩევას მიიღებ კეთილად!

იმოქმედეთ ისე, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორის, სამშობლოსა და თქვენი სახლისათვის სამარცხებინო და საზიანო არ იყოს!”

ალექსანდრე ბატონიშვილს აფორიაქებდა გულის შემძრავი ასეთი აზრი, მაგრამ ფიქრობდა, რომ ეს პატიმარი დედის დარიგება იყო.

2 დეკემბერს ქართველი ბატონიშვილი რუსეთის იმპერიის მსახურ გენერალ ლაზარევს წერდა: “ლმერთი და ხალხია მოწმე, რომ სამშობლობან გავარდნა მაიძულა ჩემმა ძმამ, მას სურდა ჩემი დაპატიმრება, წამართვა მამული, მემუქრებოდა სიკვდილით. ავდექი და გადავიკარგე!

ჩვენს საქმეში რამდენჯერმე ჩაერია მინისტრი პ. კოვალენსკი, მაგრამ მეუე გიორგიმ მას არ მოუსმინა.

როგორ გავხდე მისი მტრების ამხანაგი?

მართალია, ომარ-ხანი ახლაც ისე მოვიდა, როგორც წინათ მრავალჯერ დადიოდა. განაწენებული გავემართე მისკენ.

ვფიცავ უფალს! არ მინდოდა თქვენთან ომი. მსურდა ერთ ადგილს დავრჩნილიყავ და თქვენის მეშვეობით მოვლაპარაკებოდი ძმას.

გაგირბოდით თქვენ, მაგრამ თქვენც გვშორდებით.

ომამდე ომარ ხანისა და მისი ბანაკისაკენ შორს რომ არ ვფოილიყავ, წავიყვანდი მას სხვა მიმართულებით, მაგრამ როცა მასთან მივედი, შეტაკება უკვე დაწყებული იყო. რა უნდა მექნა?

რომ არა თქვენ, ქართლ-კახეთი ჩემს საწინააღმდეგოდ უზოდეს და
არ გაისრულა თოფეს.

რა გაეწყობა, თუ არ გჯერათ!

შემიძლია მოწმედ მოგიუვანოთ ხუთასი ქაცი და მაშინ
დაინახავთ, რაც მოხდება.

ომარ ხანის დამარცხების შემდეგ თქვენი ჯარიდან ერთ-ერთი
გამომეცხადა და მარწმუნებდა, რომ დაღინები და ძმები შეწეხებ
ბულნი არიან ჩემი ახლანდელი მდგომარეობით.

მაშინევ მინდოდა დაბრუნება, მაგრამ ჭარელები მითვალთ-
ვალებდნენ. რადგან სხვაგვარად განვსაჯე ჩემი მოქმედება,
გავშორდი ომარ ხანს და ყარაბაღს წავედი.

გთხოვთ ეს წერილი გაუგზავნოთ კავკასიის მთავარსარდალს!
თქვენც მისწერეთ ჩემზე მას!

თუ მიშუამდგოლებთ იმპერატორთან, და ის შეგვიწყალებს,
ვემსახურებით!¹

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი აზრის შემცველი დოკუმენტი
ნიშნავდა რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებასთან შერიგებას.

იმ დროს საქართველოს დაეტყო სწრაფიდ დაღმა სვლა.
სარწმუნოებით ახლობელმა, მეზობელმა მას ძევლი კელტურა,
იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება შეუგინა, სახელმწიფო წყობა
წარსტაცა, მეფობა გააუქმა, თუმცა საქართველოს საკითხებე
დიდხანს თათბირობდნენ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს სხდო-
მაზე².

ქართველობა მოძალადე მეზობლისაგან თავსდატეხილი
ასეთი რისხეისაგან არ შემდრება.

საჭირო იყო დიდი გამბეჭდაობა-შემართება, რისკი, სიმამაცვ-
გმირობა- თავდადება, რომ აუნაზღაურებელი მსხვერპლის
ფასად ქართველობა ფეხევეშ არ გაეთვლათ.

დიდჯირგადანახადი, საუკუნოებან უთანასწორო ბრძოლების
გამოცდილების გათვალისწინებით ქართველობა მხნედ იდგა
მრავალსაუკუნოები მტრების წინააღმდეგ.

§3. ჭარ-ბელაქნის საკითხი და ალექსანდრე ბატონიშვილი

დიდ ბრძოლებში გამოვლილი საქართველო აღდგენა-
განვითარების მტკიცე რწმენით შეეგება XIX საუკუნეს.

იმდროინდელი ხელსაყრელი საერთაშორისო პირობების გა-
მოსაყენებლად ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური საფუძველი

¹ Акты, т. I, С. 283.

² Ц. Каландадзе, Россия в системе международных отношений. წიგნში: Degica-
tio. ისტორიულ-ფილოსოფიური ძიებანი, თბ., თხუ 2001. გვ. 169.



სუსტი იყო, მაგრამ ნიჭიერი მოღვაწეებით ეს ქვეყანა მახლობელ ქვეყნებისა და აღმოსავლეთის კურცელ რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ავანგარდში იდგა.

ასეთ ვითარებაში სარწმუნოებით მახლობელი, ჩრდილოელი მძღვანელი სახელმწიფო მოულოდნელად გააქტიურდა. კავკასიაში სიტუაციის თავის სასარგებლოდ წასამართავად აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა გააუქმა, ხალხის მისანდობად მათი დაფიცება იწყო და რეგიონში ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ფართო შეტევისათვის შეემზადა.

უცხო სახელმწიფოს მიერ საქართველოში ჩადენილმა ქმედებამ ქვეყანას საშინაო და საგარეო პირობები სწრაფად გაურთულა.

ქართლ-კახეთში ახალი მმართველობისაგან შეძრწუნებული ქართველი ფეოდალური საზოგადოება მაღვე დასებად დაყოფილი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლის გზას გაბედულად დაადგა.

რუსული მმართველობის საქართველოში დამყარების შემდეგ ბატონიშვილების მდგომარეობა გამძაფრდა.

მომავალი მეფის საკითხი მეფე ერეკლეს სიცოცხლეშივე გადაწყვდა. მხცოვანმა მეფემ უფროხი შვილის გიორგის შემდეგ მექევიდრედ აღიარა იულონი.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტი გვიან აღიარა აღექსანდრე ბატონიშვილმა: “ოდეს მამამან თქეუნმან ... ინება კანონისა და დებათ სახლსა თვისისა თანმოწმობითა ქართველთა, - უცხადებდა ის იულონ ბატონიშვილს, - და შემდგომაქდ მმისა თქვენისა და გადგინათ მოსახლეოთ, უკეთუ ესე იყო ჩემდა საგრძნო... კადრე გარსევან ჭავჭავაძისა არა მიერთმია ღრამატათ მმისთვის თქუნისა, მუნ კამაძინის რა მიცხიეს, და ოდეს შევესწარ წარკითხვას, რომელთაც მხიარულითა პირითა ჰყვეს ჩემდამო მოლოცვად და ნაცვალებებით არა თუ მადლობისა მიმთვალედ ვიქმენ, აწამექდ ვაჩვენაცა უსახური სახე, რომლისთვისც ვიქმენ მთელსა თვესა კრიტიკასა შინაა...”

მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტისთვის დავა განაახლეს.

რამდენიმე დასად გაყოფილი სამეფო სახლისა და თავადაზნაურთა უმრავლესობა დედოფალ დარეჯანის მეთაურობით, ტახტისათვის ბრძოლაში მხარს უჭერდა იულონ ბატონიშვილს, ხოლო მეორე ნაწილი დავითის მხარეზე იდგა.

სამეფოს გამგებლობისას დავით ბატონიშვილმა¹ მოინდომა მომხრეთა გაზრდა. ასეთ ვითარებაში იულონმა, აღექსანდრემ და

¹ გიორგის გამეფების აღსანიშნავად სამეფო რეგალიებისა და ხიდების გადაკეტასთან ერთად ეს ბატონიშვილი იმპერატორმა მემკვიდრედ



უარხაოსნმა იმერეთის სამეფო ქარის დახმარებით გამოიცინა მდგრმარეობის შეცვლა და 1801 წლის 10 თებერვალს დახავლეთ საქართველოში გაიცენენ.

შევე სოლომონმა იშუამდგრმლა აღექსანდრე პირველის წინაშე ქართლ-კახეთში იულონის გასამჟღებლად.

რუსეთის საიმპერატორო კარმა ასეთი წინადაღება ყურად არ იღო და არც იმპერიის სატახტო ქალაქში თავიანთი სურვილით მისულ ითანე, მირიან და მისულ ბატონიშვილებს დართო ნება საქართველოში დასაბრუნებლად. საინტერესოა ითანე ბატონიშვილის შიშნარევი წერილი ბაგრატ ბატონიშვილისადმი, რომელიც ააშკარავებს იმპერატორის ძალმომრეობას და ანგრევს რუსულ მითს გიორგი XII-ის შვილებისადმი საიმპერატორო კარის კეთილგანწყობილების შესახებ, განსხვავებით დამყრობთა წინააღმდეგ მეამბოხე სხვა ბატონიშვილებისა: "... ხუმრობა საქმე არ არის, - სწერდა რუსეთიდან შეშინებული ითანე ბაგრატს, 1801 წლის 23 ნოემბერს, - წამოუსვლელი არ დასდგე შენ ნუ მომიქვდები, ვინც იქ წამოუსვლელობას გირჩევს დიდი მტერი არის შენიცა და ჩვენიცა. ჩუქნ რას გუემართლები შენის გულისთვას, რომ არ წამოხვიდე ერთი აბიდა არა მოგვაყენონ რა..."¹

რუსეთის იმპერატორის ასეთი მოქმედების გამო ქართლ-კახეთის მესვეურები იძულებული გახდნენ დამხმარედ მიეწვიათ მეზობელი ხანები და ირანის შაჰი.

რუსეთის ხელისუფლება თანმიმდევრულად იღწვოდა დასახული მიზნის განსახორციელებლად 1802 წლის 8 მაისს აქ გახსნილი რუსული მმართველობა მოდგაწეობას შეუდგა.

სხვადასხვა მიზეზებით ქვეყნის შიგნით უქმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. რუსეთის იმპერიულმა ზრახვებმა სწრაფად დაძაბა მდგრმარეობა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში.

მთიანეთიდან ლეკები და სხვები მრავლად შემოესივნენ დაუცეველ აღმოსავლეთ საქართველოს.

განჯის ჯავად-ხანი შამშადილის დაპყრობას ლამობდა.

რუსთა საწინააღმდეგო მოქმედებისათვის ახალციხის ფაშა შერიცვი ლეკებს იკრებდა.

ირანის სარდალი ფირ-ული ხანი კიდევ უფრო ძლიერდებოდა კავკასიის ხანების შეკავშირებით.

დაამტკიცა. ამიტომ გრაფმა როსტოკინმა მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ დავით ბატონიშვილს გამოუგზავნა მეფობის შენარჩუნებაზე მეფე გიორგის დროს შემუშავებული ტრაქტატის დახამატებელი მე-16 მუხლი. აღნიშვლი დოკუმენტის საფუძველზე დავითი სამართლიანად ელოდებოდა ტახტის მიღებას.

¹ ქხი. ფ. Hd დ. № 1487.



ქავების მიმდინარე ახალ მოვლენებში აქტიურობით ფართო მოღვაწეობით გამოიჩინეთ აღმექსანდრე ბატონიშვილი.

აშკარა წინააღმდეგობა კახელებმა წამოიწყეს.

1802 წლის 21 ივნისს კახელ თავადთა წერილი გაეგზავნა საქართველოში მოვლენილი უცხო მთავრობის ხელმძღვანელს პ. კოვალენსკის.

ქართველები რუს მოხელეთ მოკლედ შეახსენებდნენ დამოუკიდებლობისათვის ქართველთა სასახელო ბრძოლების მაგალითებს. უთანასწორო შეტაკების მიუხედავად, მტრებმა ვერ მოგვიშალეს: მეფობა, ეპისკოპოსობა, თავადობა, გლეხობა.

ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში გვეიმდებოდა, რომ ჩვენი მეფები გაძლიერდებოდნენ, ქვეყანაში უსაფრთხოება განმტკიცდებოდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო იმპერატორმა მანიფესტი გვიბობა, მაგრამ ამ დოკუმენტით შეპირებული მშვიდობის ნაცვლად, ჩვენს სოფლებს ლეკები შესუვიან, ეკლესიებს ქმა-მამულებს ართმევთ, საერთ პირებს, მეფეთაგან პატივდებულ თავადებს ლირსება მოგვეშალა და მათი დაპატიმრებანიც გახშირდათ.¹

ოთხი დღის შემდეგ შეიკრიბნენ კახელი თავადები: ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯანდიერიშვილები, ქიზიუის მამასახლისები მდინარე ლაპებს სანაპიროზე. მოიწვიეს ბოდებს ეპარქიის საჭეთმპყრობელი მიტროპოლიტი იოანე. განსჯის შემდეგ მათ იულონ ბატონიშვილის გასამეფებლად ბრძოლაზე დაიფიცეს. სპარსეთიდან დამხმარე ძალას აღექსანდრე ბატონიშვილი პპირდებოდათ.

შემდეგ მათ სოფელ მაღაროსთან, მდინარე კელმენწურის პირად სოფლელთა ერთი ნაწილი იულონ ბატონიშვილის ერთგულებაზე დააფიცეს და ხელისუფლების ძალმომრეობის წინააღმდეგ საერთო საქმეზე ერთობლივად ბრძოლა-თავვანწირვა დასხვნება.

ქართველ დაუმორჩილებელთა აქტივისტები მხოლოდ ერეკლე II-ის ანდერძის მიხედვით არჩეული ქართველი მეფის მეშვეობით მფარველობაში ყოფნაზე ეთანხმებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას, რომელსაც გაუგზავნეს მათი საერთო აზრის გამომხატველი ეს პეტიცია.

ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა.

იმპერატორმა საქართველოსა და კავკასიის საქმეების წასაძლოლად შეარჩია რუსეთში აღზრდილი თავად ციციშვილთა

¹ Акты, т. I. С. 388.



შთამომავალი გენერალი პავლე ციცაბონიშვილი და მხარე მის მიერად განაწესა.

ქართველები კარგად მიხვდნენ, რომ რუსმა იმპერატორმა ურად არ იღო მათი მოთხოვნა.

პ. ციცაბონიშვილის შიგნით მოღვაწეობა ქართული სამეფო დინასტიის დამცრობით დაიწყო და ხელი მიჰყო ბატონიშვილთა და დელფინიალთა რუსეთში გადასახლებას.

იმავე დროს იმავე მმართველის აქტიურობით სწრაფად შეიცვალა დამეზობლებულ ხალხთან კავშირ-ურთიერთობა. უპირველესად საჭირო გახდა ჭარბელაქანთან დამოკიდებულების შეცვლა.¹

კახეთის სამეფოს შემადგენელ ბელაქანის, კახისა და ზაქათალის რაიონებს XIX საუკუნეში ქართველები საინგილოს² უწოდებდნენ, ხოლო რუსები ელისუს სასულთნოს ჩათვლით ჭარბელაქანს.³

წინაპრებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ “შთამომავლობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი, და აღგილი იგი, რომელთა ზედა დაშენებულ არს, აქცა კახეთისაა...”⁴

საქართველოში რუსთა მოქმედების გამო მეზობლებთან ძველი დამო-კიდებულება უნდა შეცვლილიყო. ბატონიშვილებსა და კახეთს შეფიცულ თავადაზნაურობას შენიდებულად შემოჭრილ მომხდეურთა წინააღმდეგ უცხო ძალის გამოყენების ნაცადი ხერხი ემედებოდათ.

ფართო სარბიელზე გასვლისთანავე ალექსანდრე ბატონიშვილმა ძალების გულის მოსანადირებლად ენერგიულად იღვაწა.

შეცვლილ სიტუაციაში მოწვეული ჯარი მისგან გამოყენების დემონსტრაციად იქცა ივრის პირზე ნიახურას მიდამოებში 1800 წლის 7 ნოემბერს გადახდილი ბრძოლა.

გადამწვევებ მოქმედები შეტაკებებში ჩართვით ბრძოლის სახელმის ციირე დანაკარგით გადახრა რომ არ მოხერხდა, ქართველმა ბატონიშვილმა სარბიელის მიტვების მაგალითი უჩვენა...

¹ И. Петрушевский – Джаро-Белаканские вольные общество в первой трети XIX столетия. Тиф., 1934, გვ. 9-20.

² საინგილო XIX საუკუნეში ამ მიდამოებში უძველესი მქანიზმი ქართველი მოსახლეობით დახახლებულ ნაწილს ეწოდა. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსელიდან. (მოქლე პოლიტიკური ცნობა) მომხილველი. ტ. III, 1953, გვ. 67.

³ მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან. თბ., 1953, გვ. 5.

⁴ А. Цагарели, Грамоты, т. II вып. 1, 1898, с. 207.



ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მეფე გიორგისა და მის მეტად
ხაზინადმდევო ასეთ დიდ შერკინებასაც აღექსანდრე ბატონიშ-
ვილი არ მიიჩნევდა რუსეთის წინააღმდევ ბრძოლად.¹ რასაც
მოწმობს ქართველი ბატონიშვილის გაისტოდარულ მემკვიდრეო-
ბაში გატარებული მისი იდეალი.

გზაჯვარედინზე მდებარე ჭართა მაშინდელი საცხოვრებელი
მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი იყო ამ მიდა-
მოებში განვითარება-გაფართოებით დაინტერესებულ ყოველ მოდ-
ვაზისათვის.

ამიტომაც იყო, რომ ჭარელებმა შეძლეს მოკავშირეების გამ-
რავლება. ამის გათვალისწინებით ყველა მისთვის ავისმდომელი
და მეზობელიც ფრთხილად ეპურობოდა ჭარელებთან ურთიერ-
ოობას.

1801 წლის გაზაფხულზე საქართველოში მუოფი რუსები ვა-
რაუდობდნენ აღმოსავლეთიდან თავდასხმას.

სიღნაღის სიმაგრიდან პოლკოვნიკი კარიაგინი კავკასიაში
მაშინდელ მთავარსარდალს გენერალ კნორინგს აცნობებდა
ლექთა ორი დიდი რაზმის, (ერთი ათასეაციანი, მეორე-სამიათას
კაციანი) აღექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით შემოჭრის
შესაძლებლობას.² ხოლო შემდეგ გენერალი ლაზარევი უბრ-
ძანებდა მოხსენებულ მენაპირეს ფხიზლად ედევნებინა თვალი
მდინარე ალაზნის იქეთა მხარეს მოვლენებისათვის.³

საქართველოში ლექთა შემოჭრის ზრახვებით ინფორმირ-
დული იმპერატორი აღექსანდრე კნორინგს ათამამებდა და
ხელებს უხსნიდა დამრბელეთა დასახულელად, მათ შორის ჭარში
დამსჯელი ექსპედიციის მოწყობასაც ავალებდა.⁴

საამისო დასაურდენის ძიებაში რუსებმა დახმარებისათვის ახ-
ალციხის ფაშას შერიცხაც მოუწოდეს.⁵

ავარელ, ჭარელ, ლექთა და სხვათა რაზმებს ადრეც
იყენებდნენ საქართველო-ეკაკასიაში თავიანთი პოლიტიკური
მიზნების განსახორციელებლად.

ასეთი თავდასხმები უმთავრესად საზღვრისპირა რაიონებში
ეწყობოდა და შემდეგ, თანდათან გადაინაცვლა სამეფოს სიღრ-
მეში.

¹ სხვათა შორის, დაახლოებით ასეთივე მოსაზრებას ბრძანებდა ა. ცამ-
ციშვილ-ფიცხელაური. იხ. მისი დავიბრუნოთ საქართველოს უგვირგვინო
მეფე აღექსანდრე ბატონიშვილი. თბ., 2000, გვ. 12.

² Акты, т. I. 646.

³ Там же, с 653.

⁴ Там же.

⁵ იხ. Н. Дубровин, История... Т. IV, с. 74.

თვისისობრივად შეცვლილი ეს ურთიერთობა გადვივჭმულობით

მოთარეშეების ქახეთისა და ქართლში ხშირი, აულაგმავი შემოხვევის დაედო ხარჩულიად ქაუკახის მთავარსარდლის ქნორინგის თანამდებობიდან დათხოვნას.¹

ალექსანდრე ბატონიშვილმა, ჩანს, მიაღწია ქახელ და ჭარელ გლეხთა თანაგრძნობის გადვივებას საერთო მტრის წინააღმდეგ. ეს აახლოებდა აჯანყებულებს.

არა მარტო გლეხთა ერთი ნაწილი უფრთხოდა მთიელ ლეპებს, ბელაქნელებსა და ჭარელებს, არამედ, მრავალი თავადაზნაურიც.

ფეოდალური ოპოზიცია, ქართლ-ქახეთის სამეფო დინასტია, განსაკუთრებით ბატონიშვილები: ალექსანდრე და იულონი სათავეში ედგნენ რუსეთის წინააღმდეგ დარაზმულ ძალებს, რომელსაც მაშინ მხარს უჭერდნენ, ოსმალეთის მენაპირე ფაშები, ხოლო შემდეგ ევროპის ქვეყნებიც.

იმ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი ბელაქნელთა, ჭარელთა ჯამაათს² ეთათბირებოდა ერთობლივი ლაშქრობის გეგმებზე.

უფრო მეტიც, 1802 წლის 29 ივნისს გენერალი გულიაკოვი პ. ციციანოვს აცნობებდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის ემისრები ცდილობდნენ ქახეთში მცხოვრებთა გადაბირებას და მრავალი ქახელი თავადაზნაური უკვე გადავიდა ბელაქანსა და ჭარში.³

ბრძოლაში ნაცად ამ მხედრებს იზიდავდა მეთაურის ვაკანტური ადგილები, ოჯახისა და სამშობლოს შემგინებლად შენიდბული მომხდეურების საწინააღმდეგო პრძოლები და სხვა.

მართალია, რომ რეგიონის ლრი თავისებური რაიონი ბელაქანი და ჭარი განსხვავდებოდნენ მისწრავებებით.

ამაზე გავლენას ახდენდა უქანასექნელი ხანის მოვლენებიც.

1802 წლის 29 ივნისს ალექსანდრე ბატონიშვილი მიტროპოლიტ იოანე ბოდბელს მიმართავდა: “დეთით, ნინოს ნათლით, თქვენი ლოცვითა და ქეთილად ყოფნით გაუწყებთ: ირანის შპის ხორასანს ყოფნასა და გაბრუნებას.

12 ათასიანი ჯარით ფირ-ული ხანმა ერევანს მიმიწვია. ერევნის ხანთან ერთად ჩვენ მოვილაპარაკეთ.

იმერეთიდან არაგვზე გაეგზავნე მოციქული და საიდუმლო ნება დავრთე ბელაქამდე მუსრი გაავლინ რუსებს.

¹ დავთ ბატონიშვილი. ახალი ისტორია. გვ. 28.

² არაბულად ნიშნავს ქრება-ყრილობას.

³ Н. Дубровин, указ. соч., т. IV, с. 75.

ირანის დაშქრის გარდა, ჩვენთას თავაღებით მეოფში უკავშირდეთ ბებურიშვილმა დაიფიცა, რომ მთელი ხაქართველო თქვენთან არის. ამდენი ჯარის შემოყვანა გაანალიზებოდა ჩვენს მამულსათ.

ამიტომ შექმნდით და გამოვგზავნეთ ადამ ბებურიშვილი... რა მდგრამარეობა თქვენთან, სწრაფად გვიპასუხეთ! ”¹

ეს დიდი მნიშვნელობის ღოკუმენტი ნათელს პფენს მრავალ საკითხს. ახლა ჩვენ უფიქრობთ, რომ ქართველი ბატონიშვილი იმ დროს აჯანყებულთა დასახმარებლად შეუნელებლად იდწეოდა და ძალებს იკრევდა, მაგრამ ქართველ თავადთა ღელებაციამ ადამ ბებურიშვილის მეთაურობით სამართლიანად დაუშალა მრავალრიცხოვანი ლაშქრის საქართველოში შემოყვანა.

ამ მხრივ საინტერესოა ამავე დროს ჭარელ უხუცესთა საქართველოს სხვადასხვა მხარის მოხელეებისადმი² გაგზავნილი წერილები, რომელთაგან ერთი ქიზიუის მოსახლეობისა და ჩინოვნიკებისადმი მიმართვაა:

“გწერთ ჭარელი მამასახლისები.

გაცნობებთ, იბრაიმ ხანსა და ალექსანდრე ბატონიშვილს სურდათ ირანის ლაშქრის თქვენთან შემოყვანა, ჩვენ ვურჩიეთ შეჩერება. წერილობით ვაცნობებთ მათ, თუ თქვენ დაგვეთანხმებით. ისინი დაგვთანხმდნენ და დატოვეს ჭარი.

ჩვენ თქვენ გირჩევთ: არ არის საჭირო ირანის ლაშქარი.

ჩვენ თვითონ შემოვუძღვებით ბატონიშვილ ალექსანდრეს და თქვენ ეცადეთ, რომ ჩვენ განვდევნოთ რუსნი.

მისწერეთ მათ სწრაფად!

თუ თქვენ არ დათანხმდებით, ინანებთ და შემოიყვანენ ირანელთა ჯარს”³.

ქართველებს დიდ შეღავათს ჭარელების შემოჭრაც არ მისცემდა.

ეს მიმართვა ქართველი ბატონიშვილის იმდროინდელი მრავალმხრივი ენერგიული მოღვაწეობის იშვიათი საბუთია.

საერთოდ, რუსეთის ხელისუფლება, ხელითა თუ უნებლივედ, ბელაქანს უფრო მეტ ზიანს აყენებდა, თუმცა მათ ყოველ სამხე-

¹ ხცსსა. ფ. 16. ა. 1. ბ. 1. ფ. 51.

² ჭარელთა აღრესატებად ჩამოთვლილია: ხევის მოურავი აიდემურ ჯანდივრი, ასისთავი პატარკაცი, ნაცხალი თარიმანი, სრულად ქიზიუი, შექხები, იოხებ და ზაქარია ბებურიშვილები, სიმონ მდივანი, მოურავის შეილი იოხებ ანდონიქაშვილი, კალაურის მოურავი ომარ ჯანდივრი, ქისელის მოურავები, გავაზის მოურავი რევაზ, მოურავი ნიკოლოზ წერქებიშვილი, მალხაზ ჭავჭავაძე, მამად-ბეგი, გრიგოლი და სრულიად გავაზისა და კვარლის მოსახლეობა. იქნე, ფ. 52-53.

³ იქნე, ფ. 51.

დრო ექსპედიციას ამართლებდა ახლად შეძენილ ქვეშემოწყობთა დაცვით.

სინამდვილეში ეს იქნ თავისუფალი მოქმედების გამართლების საბაზი.

რუსთათვის ყველაზე საშიში ჩანდა უკვე ქვეშევრდობ გლეხთა კავშირი ჭარელებთან, მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხებისათვის.

ნამდვილად ეს შიში აფორიაქებდა და განაწყობდა რუსებს საბრძოლველად და არა მის ხელისუფლებაში მყოფთა დაცვა.

ასევე პირფერობა იქნ მცხოვრებთა სიცოცხლისა და ქონების დაცვის ბრძოლის მიზეზად გამოცხადება.

დიდი ხნის მუქარის მიუხედავად, ჭარელები დიდ რაზმად 1801-1802 წლებში არ შემოჭრილან ქართლ-კახეთში და ამით საბაზი არ მიუციათ რუსეთისათვის მოეწყოთ იქ დამცველი საეჭსპედიციო ლაშქრობა.

1803 წლის გაზაფხულზე დაიგვეგმა დიდი სამხედრო ექსპედიცია ბელაქანსა და ჭარში.¹

ექსპედიციის მომზადება პ. ციციანოვმა გენ. გულიაქოვს მიანდო, რომელსაც თავის განკარგულებაში პეტერი 1682 ქვეით, 8 ქვემეხით; ქაზაკთა ორი ასეული და თავადაზნაურთა და ქიზი-ყელთა 5 ათასამდე მოხალისე.

აღნიშნული დიდი სამხედრო ექსპედიციის მთავარი მიზანი პ. ციციანოვის განსაზღვრით² იქნ ჭარელების მეშვეობით აღექსანდრე ბატონიშვილის ხელში ჩაგდება,³ წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა მათ მოსპობით.⁴

ჭარში რუსთა ამ დიდი ლაშქრობის სიმწვავე აღექსანდრე ბატონიშვილთან ერთად მწარედ იწვნია იქ ახლად ჩასულმა თეიმურაზ ბატონიშვილმაც.

ქართველ ბატონიშვილებს ახლდა ამაღლა.

უკანასკნელ წლებში შექმნილი მღვიმარეობის გამო ბელაქანსა და ჭარში მრავალი ქართველი გადავიდა. გადახვეწილ ქართველთა უმრავლესობა ბელაქანელებისა და ჭარელების

¹ Н Дубровин, Указ.соч., с. 75-79.

² პ. ციციანოვი 1803 წლის 4 თებერვალს გენ. გულიაქოვს სწორდა: “მთვლი სიმართლე ისაა, რომ ზექსტად უნდა დარწმუნდეთ ჭარელ უფროსთა და მცხოვრებთა ჩვენდამი განწყობილებაში.” Акты. ტ. II, с. 683. № 1382.

³ ანწუხელთა უფროსი ომარ-ხანი მოახსენებდა გენ. გულიაქოვს აღექსანდრე ბატონიშვილსა და მის თანამებრძოლებელს. ი. ა. Акты, т. II, с. 153.

⁴ Акты, т. II, с. 683.

მხარეშვერთული იმპერია, ხოლო გაერთიანებულ ლაშქარში 5 ათასზემცირებადან ქართველი მოხალისები ირიცხებოდა.

აქედან გასაგების ასე დიდი რაოდენობის ეროვნულ ძალთა გადამწყვეტი როლი ძველისძველი ქართული მიწა-წყლის დაბრუნებაში.

ბატონიშვილები ალექსანდრე და თეიმურაზი მხლებლებით დამარცხების შემდეგ ბრძოლის ველს გაეცალნენ!

სამწუხაროდ, ბელაქნელებთან და ჭარელებთან შემდეგ შეთანხმებულ “საზაფო პირობებში” ჯეროვნად არ აისახა ამ მხარეში ქართველთა მამაცური ბრძოლა-თავდადების შედეგი. ეს ამიტომ, რომ პ. ციციანოვი თავის ფრთხილ მოღვაწეობაში მიზნად ისახავდა “მუარველობითი კავშირით” მათ შემორიგებას და ერთგვარად დახარკვას.

ასეთი მოუქნელი, სუსტი პოლიტიკა ასახულია “საზაფო პირობებში”.

ეს დოკუმენტი ითვალისწინებდა რამდენიმე პირობას: პირველი პირობა უფრო გაფრთხილება იყო იმაზე, რომ აქაურ მცხოვრებთ არ შეეფარებინათ ალექსანდრე ბატონიშვილი.

პირობის მეორე მუხლით რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება აღნიშნული ტერიტორიის ადმინისტრაციას უთანხმდებოდა კავკასიაში დაუფლებული თავისი პლაცდარმის გასაფაროვებლად. ამისათვის კავკასიის მთავარსარდალი გენერალი პ. ციციანოვი მოითხოვდა ბელაქნისა და ჭარის ტერიტორიაზე რუსთა ჯარის მუდმივად ყოფნას თავისი ხარჯით.

რუსული მმართველობა თავის შიშს ვერ მაღავდა იმპერიასთან ახლად დაკავშირებული მხარისადმი და იქაურ ხევების მეპატრონე საპატიო პირთაგან ფრთხილად ითხოვდა ხეთ-ხუთ მძვალეს.

კველა ამ პირობის შესრულების გარანტიად პ. ციციანოვი აღუთქვამდა მოქავშირე მხარის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.²

სამწუხაროდ, ხელშექრულებაში ბევრი რამ გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა, მათ შორის მეტად დიდი მნიშვნელობისა იქნა ბოლა რუსეთის ხელისუფლებას ეკისრა ინგილოების ქომაგობა, რომ მათ მოეთხოვათ ლეგებისთვის ხელი არ შეეშალათ ისეთ

¹ ირანისაკენ წასული ქართველები შაქმა დააფასა. ჯაფარ-უელი ხანის 1805 წლის მაისის პ. ციციანოვისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა: “მუს ალექსანდრე მივიღა ბაბა-ხანთან. ის დაასაჩუქრა ხომი ქუთხილი ნები მამულით და დამიდა, რომ მალე მას ის ადგილების მმართველობას უბოძებდა.” Акты, т. II, с. 864.

² Акты, т. II, с. 683-684.



მძიმე პირობებში მუოფი ინგილოების ქრისტიანული სამართლების დაცვაში.¹

შემუშავებული პირობებით ამ მხარეში არსებული დაღვესტნური წარმოშობის მცხოვრებთა სოფლები ერთგვარად პარგვეღნენ დამოუკიდებლობას და რუსთა გავლენაში ექცევოდნენ. ადგილობრივი ადმინისტრაციისა და საერთოდ, ბეჭდაქნელ-ჭარელ პოლიტიკოსებისთვის ასეთი სუსტი შეთანხმება ყოველთვის დასარღვევად იყო განწირებული.

ეს ესმოდათ აღნიშულ რეგიონში რუსეთის გავლენის გარების ხელმძღვანელებს, ამიტომ ისინი ცდილობდნენ მოპოვებულ უფლებათა განმტკიცებას მძვლების აუვანითა და ადგილზე რუსთა გარნიზონის ჩაუკიდით.

ამდენად, ეს არ იყო საქართველოსთვის ძველთაძველი ტერიტორიების დაბრუნება, მოძალადებისაგან ოდითგან დამცრობილი საქართველოს გაფართოება და მითუმეტეს, საქართველოს აღდგენა.

ქართველთათვის საოცნებო მხარე ბეჭდაქნისა და ჭარის მოშენება ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციას, თავდადებულ ბრძოლას, მაღალი შეგნებით განხორციელებულ მრავალწლოვან საგანმანათლებლო მოღვაწეობას ითხოვდა.

აშკარა იყო, რომ ქართველთაგან გამოწენილი ხანგრძლივი ძალისხმეულის მიუხედავად, ტრადიციულად კარგად დასმული ეს ამოცანა სწრაფად ვერ გახორციელდა.

პრობლემის გადაწყვეტის გზაზე ეს იყო ერთგვარად წინ გადადგმული ნაბიჯი, რომლის უკეთ განსახორციელებლად იდეწოდნენ, როგორც რუსული ხელისუფლების მოწინააღმდეგა აღქანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები, ასევე საქართველოში არსებული რუსული ხელისუფლების გვერდში მდგრმი ქართველობა.

§4. ალექსანდრე ბატონიშვილისა და მის უახლოეს თანამებრძოლთა ერთობ-ლივი მოღვაწეობიდან (თეიმურაზ და ლევან ბატონიშვილები, მდვდელი ზებედე)

თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ რ ნ ი შ ვ ი ლ ი ს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა რუსეთის ხელისუფლებასთან მის ურთიერთობას. საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ მმები რუსებთან აშკარა ბრძოლის გზას დაადგნენ.

¹ Н. Колюбакин, Об отношениях поселен к владельцам земли в Белаканском округе. "Кавказ", 1848 г. № 52.



1802 წლის ივლისის ამბების დროს, ჩანს. ა. ხილიშვილი დამატებით დააპატიმრებს მასთან დაახლოებული პირები, კაბაშვილები, პ. ლარაძე და სხვები.

29 ივლისიდან თეიმურაზს აღგიღსამყოფელად მოუწინეს თბილისი. ხელისუფლების უურადღების მოდუნების შემდეგ მან პ. ციცაახოვს რუსეთში წასვლის სურვილი გაუმჯდავნა.¹

ამასთან, ქართველი ბატონიშვილი ბიძის, ალექსანდრეს აღგიღ-სამყოფელს აღგენდა და მასთან შესახვედრად ემზადებოდა, თავის მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილიც იწვევდა ამ ნიჭიერ ახალგაზრდას.

ხელისუფლებასთან შეურიგებელ ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად ბრძოლა თეიმურაზს აღრევე გადაქაცვიჩა. ამისათვის 1803 წლის 25 თებერვალს დამით თბილისიდან გაიპარა.²

ეს არ უნდა ყოფილიყო მისთვის რუსეთის ხელისუფლებაზე უბრალოდ იმედგაცრუების ნაყოფი. ქართველი ბატონიშვილი უცხოეთში გარკვეული მიზნით უნდა გაქცეულიყო.

განსაცლელისაგან თავდაღწეულმა თეიმურაზმა ბელაქანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან მიაღწია, მალე ისინი გენერალ გულიაევის სარდლობით ბელაქანს მისული რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებინა.

დაღესტნეულ-ჭარ-ბელაქანელთა და ქართველ ბატონიშვილთა ერთობლივმა ბრძოლამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო აღნიშნული ექსპედიციის შემდეგ სამპერიო ჯარებისაგან შევიწროებული ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები სპარსეთს, თავრიზში გაემგზავრნენ.³

აქედან მოყიდებული მრავალი წლის განმავლობაში სწავლული და ენერგიული სამხედრო მოდვაწე თეიმურაზ ბატონიშვილი განუხრელად იბრძოლა ალექსანდრე ბატონიშვილის მხარდამხარ იმ მნიშვნელოვანი გეგმების ხორცშესასხმელად, რომელიც გავლენას მოახდენდა კავკასიის გეოსტრატეგიულ რეგიონში პირველობისათვის მებრძოლი დიდი სახელმწიფოების: რუსეთის, ირანის, ოსმალეთისა და ინგლის-საფრანგეთის გეგმებზე.

ქართველი ბატონიშვილები და მათი მხლებლები თავგამოდებით იბრძოლენ რუსეთ-ირანის ომში.⁴

ენერგიულად იღწვოდნენ ქართველები ირანშიც. ისინი წერილობითა და წარგზავნილთა მეშვეობით ფარულად უკავშირდებოდნენ

¹ Акты, Т. II, С. 149.

² იქვე, Т. II, С. 155

³ შ. ხანთაძე, მასალები... გვ. 249.

⁴ შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილი. თბ., 1982, გვ. 10-12.



რუსეთში მუოფ საქართველოს სამეცნ სახლის მემკვიდრეობის უცხოელ სახლმში მიღვაწებს.¹

უნდა აღინიშნოს რომ თავისი დანართი 1803 წლის ივნისში რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი გაგზავნა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. საქურადღებო 1 იქლისით დათარიღებული მისი წერილი რუსეთის იმპერატორისადმი, სადაც ნათლად ჩანს ბატონიშვილის დაბლომატიური ნიჭი და გამტრიახობა. თუმცა, აյ იყო არც თუ მოკრძალებულად შესხივის იმპერატორ ალექსანდრე I-ს ბაგრატიონთა ბედის შესახებ: “ნაცვლად კეთილად დაცვისა ეს გვარი დაცვა მიიღო სახლმან ბაგრატოვანთამან, რომელ ერთი ძე ბაგრატოვანთა არლარა იმუგბის საქართველოსა შინა არა თუ უცვლად, არა მედ არცადა თუ სახითა ერთისა კეთილშობილისათა, რომელნიცა თუ იქმებოდენ თვესა შშობელსა ქვეყნასა, თვესა ნათესავთა და მეგობართა თანა”. მაგრამ იმპერატორს არ ადანაშაულებს თავისი ოჯახის უბედურებაში, არამედ ჰუმანური, ზნეობრივი გზით ცდილობს მიანიშნოს მას, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანის კეთილშობილური, სამართლიანი ქმედებისაკენ: “უოვლად მოწალვე კვლემწიფვე! უწყით ჩვენ, არა იქმნებოდა უსამართლობა ესე ნება კვლემწიფვებისა თქვენისა, რათამცა აღგეფეურათ ძევლი ოჯახი მართლმადიდებლისა - ქრისტიანისა იმპერატორსა ქრისტიანება და არც ა ი კ რ ს ს ა კ ა დ რ თ დ ი დ ე-ბ უ ლ ე ბ ი ს ა თ ქ ე ნ ი ს ა (ხაზგასმა ჩვენია - ვ. ს.), არამედ იქმნა ესე მტერთა მიერ ჩუქნთაო”.²

ხედავდა რა, ძლიერი რუსეთის გავლენისაგან სრულად განთავისუფლების სირთულეს, იგი ცდილობდა 1783 წლის ტრაქტარით ნაკისრი პირობა-ვალდებულებანი აღვდგინა და დაეცვა. მუსლიმური ჯარები ალექსანდრეს დროებით საშუალებად მიანიდა თავისი მისნების განსახორციელებლად, მას “მუსლიმანურ გარემოცვაში გათქვეფა არასოდეს მიზნად არ დაუსახავს, პირიქით, იგი გულითადი ქართველი პატრიოტი და მისი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის დაუცხორმელი მებრძოლი იყო”.³ ამაზე მეტყველებენ ციციანოვისადმი ალექსანდრეს წერილის შემდეგი სტრიქონები: “ამას მოგახსენებ... ხათრიჯამი გამხადოთ და ამ ურჯულოს ქუშენიდამ გამომიშროოთ და საქრისტიანოს წირვა და ლოცვა მაჩვენოთ: არც ჟალმწიფეს და არც რუსეთს არ ეკადრება, ქრისტიანი კაცი ვიყო და მეფის შვილი ვიყო და სათათრეთში დავდიოდე”. მაგრამ ალექსანდრეს შემორიგების პროცესი მთავარმართებელს მარცხით დაუმთავრდა,

¹ გ. შარაბე, თემიურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972 გვ. 26-27. შდრ სცხსა ფ. 2, აღ. 1, საქ № 334. ფ. 60. თემიურაზის წერილი ლევან ბატონიშვილისადმი.

² Акты, Т. II, С. 157.

³ აკ. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა. გვ. 177-178.



დეკნილი ბატონიშვილი კერ მოიხილა პ. ციციანოვის უძველესი აღთქმელი “ხელმწიფის წელითითა” და ორდენებით, ოოქტომბერი პეტერბურგის მისვლისთანავე მიიღებდა, ვინაიდან მისი ერთადერთი ოცნება საკუთარ მამულში ცხოვრება იყო, როგორც შემდეგში ხელიში ხართველებს: “ერთს კვირას თქუმნთან სიცოცხლე ათას წელიშადს სხუაგან ცხოვრებას მირჩევნია-ო”!¹

აღექსანდრე ყოველ წუთს მზად იყო საქართველოში შემოსახვლელად, მხოლოდ შესაფერის დროს უცდიდა, ეს დრო 1804 წლის გაზაფხულზე დადგა, როდესაც ირან ოსმალეთის ომი დაიწყო. ამ ომში ბატონიშვილს საქმაოდ საპასუხისმგებლო როლი დაეკისრა.

ამავე დროს თბილისში ჩაპის წარმომადგენელი იაკუბ ბეგი, რომელმაც პ. ციციანოვს გადასცა შაპის დიდვეზირის მირზა-შეფის წერილი-ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა რუსთა ჯარების სასწრაფოდ გაყვანას საქართველოდან,² რაზეც მან უარი მიიღო. ომი გარდაუვალი შეიქმნა.

გავასიში რუსეთის წარმატებებით შემფოთებულმა ფათბალი ხანმა, 1804 წლის გაზაფხულზე ტახტის მემკვიდრის აბას მირზას სარდლობით სპარსეთის ჯარები დაძრა საქართველოსაკენ. ამ ჯარს მოჰყვებოდნენ ბატონიშვილები აღექსანდრე და თეიმურაზი. ქართლ-კახეთში ბატონიშვილთა საამბოხო მოწოდებები გაისმა,³ ცნობილია, რომ 1804 წლის მაისში კავთისხეველ გლეხს, გვარად დოდანაშვილს მარტო ზემო ქართლში აღექსანდრე ბატონიშვილის 20-მდე წერილი დაურიგებია, რომლებიც მისთვის აღექსანდრეს მეტობარს, ხოდომონ შანშიაშვილს გადაუკია.

1804 წლის მთიანეთის აჯანყებაში აღექსანდრეს, როგორც 23 აგვისტოს ფშაველთადმი მიძღვნილ მის საბრძოლო მოწოდებაში ხანს, ლომის წილი უდევს. ამ აჯანყების ორგანიზატორი, ფარნაოზ ბატონიშვილი აღექსანდრეს უშავალო მხრდაჭერითა და მითითებით მოქმედებდა: “... მაგ საქმეზე ბეჭითად იყავით, - ხელი აღექსანდრე ფშაველებს, და დეთის მოწყალებით... უმეტესად ჩვენგან წელითი გექნებათ. ახლა ჩვენს ძმას, ფარნავაზს გამოევისტუმრებო დეკანით მანდეთ ჯარით და

¹ Акты, Т. V, С. 157.

² ჯამილ ფეხანლეუ, ”თარიხე ნებამიე ირან“ (ირანის სამხედრო ისტორია). გვ. 695-696 (ნახარგებლებია ლ. შენგელიას წიგნიდან: ამიერ-ქავკასია და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მეტამულში. თბ., 1979. გვ. 20.).

³ სცხესა, ფ. 1448, აღ. 1, საბ. №№ 10369, 10378, 10383...

როგორც ჩვენი სიტყვა და პაზრი არის, ეს გამოგიცხადებასთა და გაცნობებსთა¹!

ბაბა-ხანის ბრძანებით ერევნისკენ დაძრული აბას-მირზა და მის ჯართან ერთად მუოფი ქართველი ბატონიშვილები მხლებლუ-ბითურთ საქმაოდ აქტიურად ჩაებნენ რუსთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით მებრძოლმა რაზმა 1804 წლის 18 ივლისს სახეიყად დაამარცხა მაიორ მონტრეზორის სარდლობით სურსათის საშოვნელად და ბამბაკის ასაქლებად წარგზავნილი რაზმი.²

ირან-რუსეთის ომის მთელ სიგრძეზე ქართველები მამაცურად იბრძონენ მდინარე არაქსის, ხუდიფირის, ოსქორანის, შაჰ-ბულახის, მუსრატისა და სხვა მიდამოებში.

1805 წლის 22 ივლისს ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები შამქორში იმყოფებოდნენ.³

რუსეთის ჯართან ერთ-ერთი შეტაქბისას მდ. ზაჰემთან ახლოს მძიმედ დაიჭრა თეიმურაზ ბატონიშვილი.

მამაცურ ბრძოლებთან ერთად უცხოეთში მუოფი ბატონიშვილები ირანსა და მახლობელ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატების, სამხედროების, აგენტ-მზვერავების, მეოხებით აქტიურად იღწვოდნენ საქართველოს საერთაშორისო ქავშირ-ურთიერთობის გაფართოებისათვის.

1805 წლის ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ ირანში გაგზავნილი ამედე ქობერის, გენერალ რომიესა და სხვათა მისიების შედეგად საფრანგეთში გამრავლდა ცნობები საქართველოზე⁴ საფრანგეთის მახლობელი აღმოსავლეთის ასეთ ცხოველ დაინტერესებაში მნიშვნელობა ჰქონდა ქავერასია-საქართველოს.

უცხოეთში მყოფ ბატონიშვილებს ადრევე მოსწონდათ ნაპოლეონის შორს მიმავალი გეგმები და ენერგიულად იღწვოდნენ საქართველოს ბედის ამ ძლიერ მოღვაწესთან და მის დღითიდან მზარდ იმპერიასთან დაკავშირებას. ქართველთა ოცნებების განხორციელების საფუძველს ქმნიდა ირან-საფრანგეთის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და სხვა ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები.

ქართველთა ასეთ გონიერულ, გაბედულ ცდებს წარმატება ირანიდან მალე უნდა მოჰყოლოდა. ბატონიშვილთა ნაყოფიერი

¹ სცხსა. ფ.1448, ად. 1, საბ. №10385.

² М. Тодуа, Тбилисская коллекция персидских фирманий. т. I, с. 210-211.

³ Н. Дубровин, указ. соч. Т. IV, С. 426.

⁴ ი. ნაჟუბია, ნარევები საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან. (XIX საუკუნის დასაწყისი), თბ., 2002. გვ. 75-81.

მოღვაწეობის შედეგად ფინანსურის შედეგით 1807 წლის 4 მაისს საფრანგეთის ბული ხელშეკრულებით¹ საფრანგეთი საქართველოს ცნობდა სპარსეთის გავლენის ქვეშ.

ირანიდან ფრანგი დიპლომატების მეშვეობით ქართველმა ბატონიშვილებმა წერილებით მიმართეს საფრანგეთის იმპერატორს. საფრანგეთის ხაგარეთ საქმეთა სამინისტროს არქივში დღესაც ინახება ალექსანდრე ბატონიშვილის 1809 წლის გაგზავნილი წერილი იმპერატორ ნაპოლეონისადმი, სადაც ქართველი დიპლომატის ფარული სურვილები და უკმაყოფილებაა გამჟავნებული.

ალექსანდრე აღნიშნავს, რომ მისმა “... იმ დროს ახალგაზრდა და გამოუცდელმა ძმამ (გიორგი XII - ვ. ს.) სისუსტე გამოიჩინა და შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ და გაუადვილა მათ საქართველოში შემოსვლა;

მაგრამ ამ პროცენტიაში შემოსვლისთანავე ისინი მას უსამართლოდ დაეპატრონენ და ერეკლეს ოჯახი ბორკილდადებული გაგზავნეს პეტერბურგში...

მე კი გამოვაქმნი რუსთა დევნას და სპარსეთში ვარ ლტოლვილი... უხერხასი, რომელიც ამ სამყაროს განაგებს, არ დაუშვებს უსამართლობის ზეიმს...

...სასწრაფოდ ვსარგებლობ გენერალ გარდანის გამომგზავრებით, რათა შევეველრო თქვენს უდიდბულესობას, გაითვალისწინოს ჩემი ბედი;

თუმცა კი ქრისტიანები, საქართველოს მცხოვრებნი სპარსელთა მეგობრები არიან და ამ ორმაგი უფლებით მათ მხოლოდ თქვენი იმედი აქვთ. თქვენი უდიდებულესობა არ მოითმენს, რომ ხუთ საუკუნეზე მეტი წენის მანიოლზე ლიდი ძალაუფლების მქონე ოჯახი სრულად გაძარცული იყოს... ”²

აქ მოტანილი ლოკუმენტი ნათლად მოწმობს ქართველი ბატონიშვილის მაღალ დიპლომატიურ კრიკეტს.

ალბათ ამ საინტერესო პოლიტიკურ ურთიერთობებს გულისხმობდა

თეომურაზ ბატონიშვილიც, 1810 წლის 18 ივნისს ლეონ ბატონიშვილისადმი სპარსეთიდან ქართლის მთიანეთში გამოგზავნილ წერილში, როდესაც გულახდილად მიუთითებდა მას ფართო კავშირურ-თიერთობებზე თბილისთან, ქონსტანტინეპოლითან, პარიზთან, პეტერბურგთან ...³

¹ ვ. დონაძე, აზისა და აფრიკის ქვეყნების ახალი ისტორია, თბ., 1971, გვ. 253-254.

² CP, Perse, vol 12, doc. 122, fol 231 r-231 v (ი. ნაჭყებიას დასახ. ნაშ-დან. გვ. 77-78.).

³ ხელხა. ფ. 2, ად- 1, საქ. 334, ფ. 60 r.

საერთაშორისო ურთიერთობის თანხათან ცვლაში მოღწეული კური დაძაბულობის გამწვავებამ უვრობის კონტინენტზე, ტილზიტის ზავის შემდეგ იმპერატორ ნამოლეონის ურადღების მოღუნებამ მახლობელ აღმოსავლეთისა და შესაბამისად, საქართველოსადმი, გავლენა იქონია ამ ქართველი ბატონიშვილის ოცნებებზე.

თეიმურაზ ბატონიშვილი სხვადასხვა მოვლენების განჭვრების შედეგად იძულებული გახდა გასცლოდა სპარსელთა სამხედრო ბანაკები, გამოშორებოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის შეუდრევებლად მებრძოლ ბიძას, ალექსანდრე ბატონიშვილს.

სამისო ხელსაყრელი პირობები მას შეექმნა სპარსეთის ჯარის ახალქალაქთან ბრძოლის დროს 1810 წლის შემოღვიმაზე, თეიმურაზმა მიატოვა ირანელთა ბანაკი და რუს გენერლებს ჩაბარდა.

ეს იყო სამშობლოს გამოხსნის დიადი გეგმის განხორციელებისათვის ალექსანდრე ბატონიშვილის მხარდამხარ მებრძოლისა და ნაყოფიერი მოღვაწის თეიმურაზ ბატონიშვილის უიმდობის, სასოწარევეთის ნიშანი. მისი ასეთი მტკიცე გადაწყვეტილების მიღებამ უდიდესი ზიანი მიაუენა სამშობლოს გადარჩნისათვის მახლობელ აღმოსავლეთში, კვროპაში და სხვაგან ქართველ ბატონიშვილთა ძიების შედეგად შემუშავებულ გვეგმას.

ალექსანდრე ბატონიშვილის მამაც თანამებრძოლობთაგან გამორჩეულია და თ ნ ი უ დ ლ თ ნ ი ს დ ე ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი .

აქ არ ვაპირებთ იმის რევევას, თუ როგორ დაუკავშირდა ეს ჰაბუკი რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ხანგრძლივად და მამაცურად მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს, იმერთა მეფე სოლომონს, ან ახალ-ციხის შერიფ-ფაშას და სხვა მოღვაწეებს, მაგრამ თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ სამშობლოს დიდი მომავლისათვის გაბეჭდულად მებრძოლი ახალგაზრდა აღრევე განიმსჭვალა სამშობლოსადმი დრმა სიყვარულით, რამაც განაპირობა მისი დაახლოება განმათავისუფლებელი ომის მეთაურ გულმხურვალე მამულიშვილებთან.

ბუნებრივია, რომ ლევანის სანუკეარი სურვილი მამისეული ქართლის, ხოლო შემდეგ ერთობლივ საქართველოს განთავისუფლება იყო.

უეჭველად წეაროების ერთი ნაწილის გამოკვლევის შედებია 6. ბერძნიშვილის მითითება ამ ბატონიშვილის მიზნებზე. “ლევანს მჭიდრო ურთიერთობა პქონდა თავის ბიძა ალექსანდრესთან, შერიფ-ფაშა ახალციხელთან და თავის მოქმედებას ამათ სამხე

დროი გაგმებს უთახხებდა. ლუკას ბატონიშვილი ქართლურ აღმასანდრე ბატონიშვილის შემოხველისთვის ამზადებდა.”¹

მან კარგად ისარგებლა საქართველოში ხევადასხვა აღგილას რესელი საოცეპიო ჯარების გაფანა-დაშორებით და აღექსანდრეს მხარდაჭერითა და მითითებებით 1810 წლის ივნისში ქართლის მთიანეთს მიმართა.

მისი მაშინდევნი მიზანი იყო ამ მიდამოებში მოსახლეთა მიმხრობა, აჯანყების გაფართოება და საქართველოს სამხედრო გზის დაკავება, რაც მებრძოლ ქართველ გმირებთან მოფიქრებული, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში განხორციელებული ფართო გეგმის ნაწილი იყო.

კავკასიაში სიტუაციის საფუძვლიანად შეცვლის აღნიშნული გეგმა იწყებოდა ჯავახეთში, სადაც აღექსანდრე ბატონიშვილსა და ერევნის ხანს პუსეინ-ყულის პოზიციები ხელთ ეგდოთ 1810 წლის ზაფხულში.

იმავე დროს პუსეინ-ხანი იწერებოდა: “... ჩემო საყვარელო შეილო ბატონიშვილო ლევან! შევიტყვეთ, რომ ქართლში რაც თქვენის ოჯახის ერთგულნი ყოფილან, სულ შეგიყრია და მანდ გახლავან. ექვსი ათასამდის კაცი გახლავთ. ეს თქვენი გარჯა და მათი შეკრა ხელმწიფება და შპზადის ყველა რა წერილად მოვახსენე...”

ჩვენც გამორჩეულის ერანის ათი ათასის კაცით ახალქალაქს მოვედით. თქვენს ბიძას აღექსანდრეს მეფის ძეს შევეყარენით. ამ ცოტა ხანში დიდორონის ჯარებით და ხაზინით გამოვისტუმრებოთ. ჩვენც წალის მხრიდამ ქალაქზე მომსვლელნი ვართ...”²

ბატონიშვილ აღექსანდრეს ეჭვი არ ჰქონდა, რომ მათი ყმები პირველ დაძახილზევე წამოშლებიდნენ, მაგრამ სამოქმედო გეგმის დასასახავად კვლავ დელგატების გამოგზავნას ფიქრობდა:

“ეს ჩვენი გამოგზავნილნი კაცნი, ერთ-ერთნი ისევ საჩქაროთ ჩვენთან გამოგზავნეთ და ხუთი თქვენი გულის სანდო კაციც გამოატანეთ, რომ რასაც ანბავს ეგ თქვენი კაცნი მოგვიტანენ, ისე იმ რიგათ მოვიცვევით”.³

საქართველოს სამეფო სახლის დაქარგული უფლებების აღსადგენად “ეს განუსვენებელი მშრომელი” უცხოელთაგან გამოსახსნელად 1809 წლის 31 აგვისტოს თანადგომისათვის მოუწოდებდა ქართლის უპირველეს თავადებს, სარდლებს ოთარ და

¹ 6. ბერძენიშვილი, საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. წიგნი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965. გვ. 396.

² სცხა. ფ. ОВД. ხად. № 147.

³ ქორჯონიკიძე აღექსანდრე ბატონიშვილის წერილები. თბ., 1999, გვ. 75.

გიორგი ამილახევრებს, შეახსენებდა მათ ღირსების დაცულების ბრძოლას: “უცხოელებმა “არა იციან პატივის ცემა თქვენი, ვერცა იცნობენ გვართა და შთამომავლობათა თქვენთა.” ამხნევებდა მათ მამა-პაპების სხსოვნის წინაშე მოვალეობის შესრულების საბადენიეროდ წუთის მოახლოებით, “რათა ახლად ვალდებულყოთ მექვიდრეობა მეფობისა ბაგრატივანთა და საზღვარსა შინა ქართლსასა, სისწრაფით და ერთგულებით მომაშუროთ, სადა იგი გესმათ ხმა მოხვდისა ჩემისა.”¹

ქართლის გამოხენილ სარდალთან ერთად ალექსანდრე ბატონიშვილი მოუწოდებდა მხნეობა-თავდადებისათვის თავადაზნაურობას, სამღვდელოებასა და სრულიად ქართველ ერს:

“საყვარლისა მეფისა და სახსოვარისა მამისა თქვენისა მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე მოხუცებულთა, ვითარცა მამასა და ჭაბუქთა, და ვითარცა მმასა ერთობით ყოველთავე მოგიწერთ სიყვარულსა, მშვიდობასა და მოკითხეასა, არა მოვალ თქვენზედა ძალითა და მახვილითა, არცა შურისგებითა, არამედ მოვალ ძალითა მდთისათა მტერთა ზედა და თქვენ ყოველითადმი მშვიდობითა და სიყვარულითა. ვითარცა მმათა ამბორს გიყოფთ და ვითარცა მამათა პატივს გცემ... მახსოვს პატივისცემა თქვენი და სიყვარულისა თქვენისათვის არა შევიწყალებ სიცოცხლესა ჩემსა ვიდრემდის გამოგიხსნათ თქვენ უფლებისაგან უცხოთასა, რომელთა არა იციან პატივისცემა თქვენი, ვერცა იცნობენ მამა-პაპათა თქვენთა”. ამავე დროს შეახსნებდა საკუთარ ძალმოხილვბასაც: “.... მომაქეს სამთა მძლავრთა და დიდთა ხელმწიფეთა ძალი და ხაზინა სრულიად ირანისა, ოსმანთა და ინგლისისა, გამოხსნად თქვენთა ხელთაგან უცხოთასა”.²

მართალია ალექსანდრე ბატონიშვილის მოწოდებათა ნაწილი მიზანს ვერ აღწევდა, რადგან ზოგჯერ მისგან გამოგზავნილთ გზაში იჭერდნენ და წერილებსაც ართმევუნდნენ.³

უცხოელების დამსჯელი ექსპედიციებისა და ერისთავებისა-გან შეწუხებულ მთიელებს ლევან ბატონიშვილმა დიდი გასაჭირისას მიუსწრო და ენერგიული მოვალეობის შედეგად ჩააბი ისინი სამშობლოს განთავისუფლებისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში.

1810 წლის 26 ივნისს სოფელ კეხვს მისული ლევან ბაგრატიონი მალე ჯავაში გადაეიდა. იქიდან დაუბრკოლებლად გაავრცელა პროელამაციები: ქართლში, მთიელეთში, ოსეთში. მხურვალე პატრიოტი მოსახლეობას მოუწოდებდა აჯანყებისათვის და

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 75-76, №15.

³ Акты, Т. IV, с. 128.

აიმედებდა, რომ მათ დიდი ჯარით შემოუერთდებოდა აღნუქნან დრე ბატონიშვილი.¹

ასეთ სარისკო საქმიანობაში ლევან ბატონიშვილს შეეღოდნენ ბრძოლებში გამოწრთობილი თანამებრძოლები და ახლად შეძენილი მეგობრები: ბიბო და ტოხო სანაკოვები, გეთა სულაშვილი და სხვა.²

მაღვე მთაში ხალხი აღდგა და აზვავებული ლევან ბაგრატიონის მთავარსარდლობითა და თავად მაჩაბელთა მეთაურობით³ ცხინვალს შემოუერტყა.

ქალაქის გარეუბნებში გაშენებული ბაღებიდან მოყოლებული ალფა დიდხანს გაგრძელდა.

ალფაში მოქცეულო დამატებითი ძალები დროზე მიაშველეს: ჯერ ვ. ვრონსკის,⁴ ხოლო შემდეგ ქართლის მმართველ გენ. ახ-ვერდოვის მეთაურობით.

კავკასიაში საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალი გენერალი ტორმასოვი ახვერდოვს მოუწოდებდა, საიდუმლოდ უველაფერი ეღონა ლევანის შესაპყრობად.

გააფორმებული ბრძოლების ადგილას წარგზავნილს, რომ საქმე გაადგილებოდა, გენერალმა ტორმასოვმა მიაღწია ხელთ ეგდო ლევანის მამის იულონის საველრებელი წერილი და სწრაფად გაუგზავნა ეს დოკუმენტი ახვერდოვს.⁵

მამის წერილში არსებულმა მორჩილების ტონმა ზეგავლენა ვერ მოახდინა სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ აჯანყებულთა წინამდობლზე.

ამის შემდეგ გააფორმებული გენერალი ტორმასოვი აფრთხილებდა ადგილზე მყოფ დამსჯელ ექსპედიციის მეთაურებს გენ. სიმონოვის, ლელპოცოსა და სხვებს, ლევანისათვის შეეკრათ გასასველელები, განსაკუთრებული უურადღებით დაეცვათ ახალციხის გზა.

ამასთან, ლევან ბაგრატიონის შესაპყრობად გენ. ტორმასოვმა ჯილდოდ გამოაცხადა 5 ათასი მანეთი.

¹ Акты, Т. IV, с. 115.

² მთავრობისათვის გადაცემულ ერთ-ერთ მოხსენებაში ჩამოთვლილია ალექსანდრე ბატონიშვილისა და ლევანის თანამებრძოლები, რომელთაც “ოს ქანაღებს” უწოდებდნენ. აღნიშნული ლოკუმუნტით ირკვევა, ტოხას, გვარად სანახაშვილის, ბიბოსა და ქაფიას სიკვდილით დასჯა. მათი ოჯახებიც რეპრესირებული იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მებრძოლები ხეობის მამასახლისები იყვნენ. (ხისხა. ფ. 16. ა. 1, ს. 1682, ფ. 6.)

³ Акты, Т. IV, С. 463.

⁴ Там же С. 137.

⁵ Акты, Т. IV, С. 111.

განსახორციელებელ ოპერაციაში ჩართეს ჯავახი მამასაძლისი რეჯებ თელეაშვილი.

ნარს გადასულ ლევან ბაგრატიონს გენ. ტორმასოვი მოუწოდებდა, რომ პატიება ეთხოვა იმპერატორისათვის. ლევან ბატონიშვილისათვის გადასაცემად მისი წერილი გაატანეს ქურთათელ პაილა წალიკოვს, მაგრამ ლევანმა ზიზდით უარყო ასეთი დამაცირებელი ნაბიჯის გადაღვმა. და ტექსტის ბოლოს ბარათს მან ასე მიაწერა: “[წრისტე], ჩალიკაშვილო მისოსტ! ამ ქინიშვილმა გეთემ შენი გამოგზავნილი წერილი მომიტანა, შენც შეგარცხვინა და იმ წიგნის მამწერიცა.”¹

შეუდრევებულმა გმირმა შესძლო ხელისუფლებისათვის თვალის ახვევა.

1811 წლის ზაფხულში იგი კვლავ აჯანცებისაკენ მოუწოდებდა ზაქას მოსახლეობას.

შემდეგ ლევანი იძულებული შეიქმნა ამაღლით იმერეთისაკენ წასულიყო. იქიდან ახალციხისამან გაემართა შერიფ-ფაშასთან შესახვედრად.

“მიიწია რა ხეობას, მოწმობს თეიმურაზ ბატონიშვილი, - მოკლეს ლეკებთა მომავალთა ქართლს საღავლაოდ, მინდობით. სცნა რა ფაშამ ახალციხისამან შარიმ, მოაშოვნა ლევნი იგი.”²

ასეთი უდვითი სიკვდილით გამოეთიშა ეს ახალგზაზრდა გმირი სამშობლოს განთავისუფლებისათვის დიად ბრძოლას.

თავდადებული უერთგულები თანამებრძოლის უეცარმა გარდაცვალებამ ალექსანდრე ბატონიშვილი ღრმად დაამწუხერა. მისი გულისხმივილი გამოთ-ქმულია ყაზახის მოურავ მიშკარბაშ იოსებ ბებუთაშვილის “შემწესვრილი გულით” დაწერილ სამიმრის უეცნიდან გაგზავნილ საპასუხო წერილში: “... ამან მეორემან განსაცდელებან სანატორელი დედის ჩუქნის დარეჯან დედოფლის მიცვალება და მოკლება დამავიწყა. უცხოსა და საკვირველის, ზრდილის ლეონის ასე უწყალოდ სიკვდილმან ბზარი მომიღო და ასე ანაზდად სიყრმის ყვავილის დროს უნუგეშო სოფელმა დრო არსცა, და სიმუხთლის განსაცდელით მიმტაცა ჩემი ნუგეში ჩემი დიდი დიდება და გვირგვინი ჩემი მარჯვენა მარტინი (ხაზგასმა ჩენია - ვ.ს.). და ასე დამაგდო ნათესავმოუხენებლიდ, რომელსაც შევსტრუტლი მმად და შვილად და უწელთავე მაგიერი და ნუგეში ის მყენა აწ სამაგალითოდ გამომიტაცა ჩემმა ცოდვამან და უბედურებამან. ჩემი ყვავილი ლეონმა

¹ Там же С. 118.

² თეიმურაზ ბატონიშვილი “ახალი ისტორია” თბ., 1983, გვ. 77. (თუ საკლევ საკითხს ჩაფულმავდებით, შესაძლებელია ბატონიშვილის მკლელობაში რუსი გუნერლების ხელი დავინახოთ).

დაჭხო და ჩემი სიხარული უბედურების კალმით მან ახოცა უმი-
 მარიტად მტერთაცა ვარ შეხაწეალ და მოყვარეთაგანაც უმი-
 სოდე¹!

მართლაც დიდი აღამიანები გოდებენ ასე მწარედ უერთ-
 გულესი თანამებრძოლის დაკარგვაზე.

ალექსანდრე ბატონიშვილისათვის მეტად საეკარელი ლეონის
 მოულოდნელმა სიკედილმა მხნე მხედართმთავრის გულის შე-
 ცრასთან ერთად ბევრი კარგი და გაბედული წამოწყება ჩაშალა.

სამშობლოს თავდადებულ გმირთა გალერეაში ბრწყინავენ
 რწმენით ანთებული, სულიერებით შემქული, მამულის მხურვალე
 სიყვარულის გრძნობით ამაღლებული მოღვაწეები.

ქვეყნისა და ხალხისათვის მრავალი წამებული დიდი ხანია
 შერაცხულია წმინდანად. მათ შორის საერო და სასულიერო
 მოღვაწეების მთელი პლეადა.

შთამომავლობამ თითქმის არაფერი იცის ალექსანდრე ბა-
 ტონიშვილის ერთ-ერთ უერთგულეს თანამებრძოლ მ დ ვ დ ე ლ
 ზ ე ბ ე დ ე ზ ე.

ეს გმირი მოღვაწეობით სიმბოლურად პგავს კველთელ
 მღვდელ თევდორეს. საგულისხმოა, რომ შემოჰრილმა გზააბ-
 ნეულმა უცხოელებმა აწამეს და ბოლოს აქუწეს ეს დიდი მამუ-
 ლიშვილი.²

უთანასწორო ბრძოლაში დაცემულთ სამშობლო არ ივიწყებს.
 თევდორე კველთელის გმირობის ამბავი თაობიდან თაობას
 გადაეცემა.

სამშობლოში უცხოელთა თარეშის წინააღმდეგ გონივრულად
 მებრძოლ მღვდელ ზებედეს ერთმორწმუნე მტრებმა ტანჯეთ
 მოატარებინეს საპყრობილები სამშობლოსა და შორეულ
 უცხოეთში.

ხანგრძლივი ძალადობა-წამებით მისი ჯანმრთელობა გატეხეს,
 მაგრამ გმირის მაღალ სულიერებას ვერაფერი დააკლეს.

უინ იყო მღვდელი ზებედე?

ეს კითხვა დიდი ხანია წამოტივტივდა განსაკუთრებით ჩვენს
 დროში, ეროვნული მოძრაობის გადვივების ფაქს გაიზარდა ინ-
 ტერესი მგზნებარე მამულიშვილისადმი.

არქივის მტერწაფრილ ფოლიანტებში ჩაწერილ უცხაურად
 შედგენილ მოგონებაში აღნიშნულია სამშობლოსათვის გამორ-
 ჩეულ მებრძოლებზე გაწეული მისი ქველმოქმედების შთამბეჭ-
 დავი მაგალითები.

¹ ქხი. ფ. Hd. ხაბ. № 305.

² ბ. ჯამბურია, ტაშისკარის ბრძოლა. წიგნში: საქართველოს ისტორიის
 ნარჩენები. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 255.

ამ გვიანდელი წანაში ერთობლივ ირკვევა, რომ მღვდელმა შექმნა მშობლიურ ქვეყანაში რესთა ხანგრძლივი თავხელიშით აღრცვე დასცვდიანებულმა, მაგრამ მოჯანყ სულმა ვეღარ მოითმინა ძელისძველი ქრისტიანული ცენტრის, ქართული მართმადიდებლური ავტოკეფალიის გაუქმება.

1811 წლიდან იგი მშობლიურ ქართლზე ურცელი მხრიდან სალი კლდეებივით შემოჯარულ რესთა გუშაგების წინააღმდეგ ბრძოლად შემართულა. ამ გზით მრავალჯერ გადაუწყვეტია ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმთან შეერთება, მაგრამ მიზნისათვის ვერ მიუღწევია.

1812 წლის აჯანყების აღმავალ ეტაპზე, ზაფხულის ერთ დღეს მდვდელ ზებედეს საქართველოს საზღვრებში შემოსული ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი მხლებლების მტკვარს გაღმა ყოფნა დაუდგენია, მათთან მისვლა და საბოლოო მოქმედებათა შემდგომი გეგმების შედგენა, ქართულად გამასპინძლება მოუწადინებია.

ქართველი ბატონიშვილის რაზმთან შესახვედრად მას დირსეული თადარიგი დაუჭერია.

დიდხალი პურდვინო, ხორცეული მდვდელ ზებედეს და მის მხლებლებს ცხენებზე აუკიდიათ და მტკერის გასასვლელებზე გუშაგებად მომრავლებული კაზაკების მაღლადად, ფონის გავლით ამ მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ქართველ ბატონიშვილთან შესახვედრად გაუწევია.

მანგლისის მიდამოებში გმირ მოღვაწესთან მდვდელი ზებედე იმ დროს მისულა, როცა ადიდებული მტკერის დაწევის ხანგრძლივიად მომღლოდინე ქართველ ბატონიშვილსა და მის მხლებლებს სურსათი შემოკლებიათ.

იმ დროს უცნაურად მორთული და სანოვაგით დატვირთული ქართველი მდვდლის მხლებლებით მათთან მისვლა მებრძოლებს გახარებიათ და გაკვირვებიათ კიდევ.¹

¹ ალ. ორბელიანის წანაში ერთ-ერთი ნათქვამია „...ერთი ქართლელი მდვდელი რამდენიმე ცხენიანი კაცი და ათი მეტი ცხენის საპალნე, ხოგი ნამცხვარი პური ტომრებით სავსე და ტიკებით ღვინო, მოხარშელის ქათმებით სავსე ხურჯინებით ბატონიშვილს მოართვეს.

ბატონიშვილი მივიღა, ხელზე კმთხვია და მერყეო პეითხა:

- დვდელო სად მიღიხართ?
- თქვენთან გეახელ ჩემო კელმწიფეო, გავიგონე თქმენი აქ მობრძანება... მიბრძანეთ აქ რისთვისდა დგეხართ?
- მტკვარს ვერ გავედით დაიდი მოდის
- წამობრძანდით ჩემო კელმწიფეო ასეთ ფონში გაგიყვანთ, რომ ცხენის მუხლზე არ შემოწყვეტ, - დაუმედებია მდვდელ ზებედეს

მომავალი საბრძოლო გეგმების განხილვის დროს წამოჭრილი როგორ მომდევნობის - ადიდებული მტკვრის გადაღახების, გადაჭრა მდგრელ ზებედეს მოუფიქრებია. ყველა ფონზე კაზაქების გუშაგობის მიუხედავად, ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი რაზმის უკნებლად გადაუვანა მასვე უკისრია.

საღამოს პირზე მტკვართან მოახლოებული მებრძოლები მას შეუჩერებია და სათარხნიშვილოს მეთაურთან მისულა.

სამშობლოსათვის გულანთებულ ამ თავადს ალექსანდრე ბატონიშვილის მოსვლა გახარებია და ისე მოქცეულა, როგორც მოძღვარს, ზებედეს უკარნახებია.

სათავადოს მიდამოებში არსებულ ფონებზე მდგარი უცხოელი გუშაგები ამ თავადის განკარგულების მომლოდინები იყვნენ და პოსტზე მათი შეცვლის ბრძანება უმაღვე შეუსრულებითა!

მდგრელ ზებედეს ალექსანდრე ბატონიშვილი თანამებრძოლებით ერთ-ერთ დაბალ ფონთან მიუვანია და მარცხენა ნაპირის ქართლის სოფლებში აღვილად გადმოსულან. აქ წყდება ჩვენი გმირის ამბავი.

უპირველესად გასარკვევია, რა ეწოდებოდა გადმოლახულ ფონს. სხვადასხვა ცნობა-ჩვენებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამბოხებულ კახელებთან შესახვედრად მიმავალ ალექსანდრე ბატონიშვილს ფონი კოწახურასთან უნდა გადმოელახა და აქედან თიანეთისაკენ უნდა წასულიყო თავისი მიზნის შესასრულებლად.²

უდაოა, მდგრელი ზებედე აღრეც უგდებდა ყურს ალექსანდრე ბატონიშვილის ქართლს, კახეთსა და თიანეთში შემოჭრის ამბებს და ყოველთვის მზად იყო მათთან შესაერთებლად.

გმირი მეთაური და მისი თანამებრძოლი, - ამაღამ რომ დაბინდდეს, მაშინ წამობრძანდით!

იმ დამეს გაგვიძლეთ მდგრელი და გარიურაქზე ერთს ტყიანს ხეობაში დაგვაუკნა და საღამომდინ იქ ვიყავით, საღამოს ეამს მდგრელი საღლაც წაყიდა და ჩვენ ამაზედ შევმუოთდით, მაგრამ ის ჩქარა მოვიდა და ბატონიშვილს მოახსენა:

შეინტიმიქ ფონი ვნახე და რაც რიგი იყო შვასრულე, ახლა წამობრძანდით თავისუფლად არის ფონი.

მაშინვე შევსხვდით და საქართო გავწიეთ, ასეთს ფინში გაგზავნანა, რომ მართლაც საუკეთესოში და არც ვინ დაგვხვდებია, ასე თავისუფლათ გამოვედით. ბატონიშვილმა ბევრი მაღლობა უთხრა დვდებს: „შენგნით ამისთანა კარგი საქმე ჩემს დღეში არ დამავიწყდებათ.” (ქხი,

¹ ვ. S, საბ. № 1652² გვ. 16.)

² იქნება, გვ. 17-18.

ვ. ლორწონიქიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა... გვ. 28.

ზებედეს ინტერესი, გამარჯვების ხელშეწყობისათვის – მზადყოფნა კიდევ უფრო განმტკიცდა აღექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით გადახდილი საარაკო პრძოლების დროს.

აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებიდან ქართლი ქართველთა იმ დიდი ამბოხების დროს რუსთა ხელისუფლების სამხედროებით მტკიცედ ჩაეკეტათ. თითქმის ყველა გზაჯვარედინზე, ხიდზე, წყალში გასასვლელებთან და სხვაგან უცხოელი გუშაგები მრავლად იდგნენ, რომლებიც უნებართვოდ (“უბილუთოდ”) თავისუფლად ხალხს არ ატარებდნენ.

ამის მიუხედავად, ჩანს მღვდელ ზებედეს რუსთაგან საქართველოსთვის თავისმოხვეულ ასეთი რეჟიმის წინააღმდეგ მხნედუბრძოლია.

საკვირველი როდია, რომ სახალხო აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ ამბოხების მრავალ მონაწილეებთან ერთად მღვდელი ზებედე დაუტუსაღებიათ.

რა გვარის იუო მღვდელი ზებედე?

XIX საუკუნის 30-იან წლებში, როცა საკვირველ მემუარულ მონათხრობში მღვდელ ზებედეს სახელი ჩაიწერა, უნდა ვიტროთ, რომ მისი ვინაობა მრავალმა იცოდა და ამის გამო ის მხოლოდ სახელითა და მღვდლობით მოიხსენიეს. შემდეგ თანდათან დავიწყებას მიეცა გმირი სასულიერო მოღვაწის სახელი. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ჩვენ ისევ მტკერწაყრილი დოკუმენტებიდან შევძელით მისი გვარის დაღგნა.

1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის, გასამართლუბულთა და

გადასახლებულთა სიაში ამბოხების მეთაურებთან ერთად განუსაზღვრავთ მღვდელ ზებედეს სასჯელიც.

სათარხნიშვილოს ეს გამორჩეული გმირი სულიერი მოძღვარი ზებედე შატბერაშვილია.¹

სამშობლოდან დაშორებულ, ციმბირში გადასახლებულ ზებედეს დახმარებისა და დიდი ხნის ნანატრი თავისუფლების უოველი სასო წარეკვეთა.

კავკასიის მთავარმართებლის, ა. ერმოლოვის შუამდგომლობის საფუძველზე რუსეთის იმპერატორმა საქართველოში დიდი სახალხო მღელვარების მონაწილე ერისკაცები გვიან შეიწყალა, მაგრამ ამ უწყალო დიქტატორმა სასჯელდაღებულ დგთისმხახურებზე ეს კეთილი ნება არ გაავრცელა.²

გადასახლებულ ოთხ მღვდელს ტანჯვა წამება ოდნავადაც არ შეუმსუბუქეს.

¹ სცხსა, ფ. 16, აღ. 1, საქ. №373, ფ. 4 r-v.

² იქვე, გვ. 4-8.

ამის მიხედვით უცხოუკულ მოხელეთაგან ცალმხრივად გაიგებულებოდა მათი მისამართის სახელით „დანაშაული“ იყო, თითქოს ხალხის ეს მწევზენი არ იმსახურებდნენ თავისუფლებას. უკიკი მართლმხაჯულები ამჯერადაც შეცდნენ!

თუ სამართლისა და უფლის ნებას ვითვალისწინებთ, დათით კურთხეული სამშობლოს ტრადიციულ უფლებათა მხურვალედ დამცველი, თავისუფლების მდაღადებელი სახულის მინისტრი უპირველესად უნდა გაეთავისუფლებინათ.

სამწუხაროდ, ამის შესაცნობად გონიერი ბოროტად აღზევულ მოხელეებსა და ყოფლობინა იმპერატორს ღმერთმა არ არგუნა.

საქართველოდან შორს, უამურ ტუნდრაში დიდმა მამული შვილმა, მღვდელმა ზებედემ ტანჯვის გაგრძელებაც უფლის ნებად მიითვალა და განგებას მიენდო.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ლოცვაში, ბრძოლასა და ტანჯვაში გალეული მისი შეგნებული სიცოცხლით მღვდელმა ზებედე შატბერაშვილმა უკვდავება მოიპოვა მშობლიურ ქვეფანაში, ქართველ ერში.

აღექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარ ეტაპებზე გადამწყვები მნიშვნელობა ჰქონდა ამ პატრიოტი ქართველების მხარდაჭერასა და თავდაუზოგავ ბრძოლას. მამულის სიუკარულით გულანთებული ეს გმირები ბატონიშვილის მიზანთა წარმატებისათვის ურუკ საფუძველს წარმოადგენდნენ.

ალექსანდრე ბატონიშვილი და 1812 წლის აჯანყება

XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოების ძლიერმა მოძრაობამ დიდი ხანია მიიპყრო ქართველი და უცხოელი მკვლევარების ფურადღება.

ამ მოვლენებს სპეციალურად და სხვა საკითხების გვერდით შეეხენენ: ბაგრატ, დავით, თეიმურაზ ბატონიშვილები, ალ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ნ. დუბრივინი, გ. პოტო, ალ. ფრონცელი, ფ. მახარაძე, ს. ხუნდაძე, გ. ხაჭაპურიძე, ო. მარკოვა, ა. კიკვიძე, ნ. ბერძენიშვილი, ალ. ბენდიანიშვილი, ლ. ებანოიძე, ა. სურგულაძე, ე. ორჯონიკიძე, ა. კ. გელაშვილი და სხვები.

ამასთან, უნდა მიუუთითოთ კომუნისტური ცენტურის ქვეშ მყოფ მკვლევართა ვიწრო მიზანდასახულობაზე, იდეურ მრწამსსა და სხვა შეზღუდვებზე, რაც ხელს უშლიდა ძიების ფართოდ გაშლას.

ჩვენ ვერ ვიკისრებთ XIX საუკუნის I მეოთხედში საზოგადოების ფართო მოძრაობის სრულყოფილად გამუქებას, შევეცდებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ახლადგამოვლენილ დოკუმენტთა ერთი ნაწილის მეშვეობით წარმოვაჩინოთ ალექსანდრე ბატონიშვილის როლი 1812 წლის საბალხო მოძრაობაში მით უმტკეს, რომ ასეთი საკითხი სპეციალურად ჯერ არავის დაუმუშავებით.

წინამორბედ მკვლევართაგან ო. მარკოვამ არსებულ ქართულ და რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაზე დაურჩნებით, რუსულენოვანი დოკუმენტების ერთი ნაწილის გამოვლენითა და თავისებური ინტერპრეტაციით შეძლო ქართველი ისტორიკოსებისათვის მრავალი წლის თავსატესის შექმნა.¹

ო. მარკოვასაგან შავ-ჩრდილების მომარჯვებით შექმნილ დიდებული ქართველი მოღვაწის, ალექსანდრე ბატონიშვილის სურათს დღემდე ვერ ცვლიდნენ ქართველი მკვლევარებიც და ო. მარკოვასეული ალექსანდრე ბატონიშვილის ყალბი პორტრეტი ძაბასავით ეხვია ქართველ საზოგადოებას.

ალექსანდრე ბატონიშვილზე უცხოელი მკვლევარებისაგან გამოთქმული და შეძლებ მრავალთაგან გაზიარებული ე. წ. შეხედულებანის გაქარწყლება მის წიგნში მოხმობილი რამდენიმე წერტოს უფრო სრულად და ღრმად შესწავლით მოსახერხებელია, მხოლოდ ფართო ძიების შედეგად მოპოვებული ფაქტების ანალიზით. ამის ნაცვლად მკვლევარები სხვა გზას ადგანან. სამწუხ-

¹ იხ. О. Маркова, Восстание в Кахетии. 1812. М. 1951.

აროდ, ისინი თვალს ეერ აცილებენ კავკასია-ხაქართველობის რეჟის თითქოსდა “დეტალურად” დამუშავებით გათამამებული რუსი მკლევარი ქალის წიგნებს და გულმოლგინებაც იუნიტები აფტორის არა მარტო ნააზრევს, არამედ მის ნაშრომში აქა-იქ გაბნეულ იმ წეროებს, რომელთა უმეტესი ნაწილი ო. მარქოვაზე დიდი ხნით აღრე წინამორბედმა მკლევარებმა გამოავლინეს და უკვით გამოიყენეს.

საქართველოში 1812 წ. განაპირობებული იყო ქართველთა მთელი წინამავალი, თითქმის განუწყვეტელი ბრძოლებით.

მდევრული ფართოდ გაურცელდა და გახანგრძლივდა.^{1*}

დამოუკიდებლობისათვის ომის ორგანიზაციონი აღექსანდრე ბატონიშვილი ამჯერადაც საქართველოში უცხოეთიდან შემოვიდა და კავკასიის სხვადასხვა მხარეში, განსაკუთრებით პირიქეთში, დიდხანს დარჩა.

მრავალწლოვანი ბრძოლისა და პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგად აღექსანდრემ ირანიდან ფართო კავშირების გაბმა აღრევე შეძლო, მაგრამ უდიდესი გეგმების ხორცშესახებმეღად მხურვალე მისწრაფებანი და იმედები არც მას და არც თეომურაზ ბატონიშვილს არ გაუმართდათ, რასაც შედეგად მოჰყვა მათი გზების გაყრა-დაშორება.

ენერგიით აღსავსე თანამებრძოლებს მოკლებულმა (1811 წელს მოელეს ლევან ბატონიშვილიც) აღექსანდრემ ამის შედეგად დაასკვნა, ძირითადად ისევ მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა უშუალო დახმარებითა და კავკასიელ მთიელთა დაქირავებით შეესხა ხორცი თავისი მიზნისათვის.

ამ განზრახებით მოადგა აღექსანდრე ბატონიშვილი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარს 1812 წელს.²

როგორც ცნობილია, თანდათან ხწრაფად მზარდი საფრანგეთის მტკიცე პოზიციები ირანში ინგლისელთა გავლენით შეიცვალა. 1809 წლის 12 მარტს ირანის ინგლისთან დადებული ხელშეკრულებით ეს უკანასკნელი მოამარაგებდა ირანს რუსეთის წინააღმდეგ რმისათვის.

¹ ატ გელაშვილი – ქახეთის 1812 წლის აჯანყება. თბ., 2003. გვ. 239.

* ამის მოუწვდომელი სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მდევრული კახეთის 1812 წლის აჯანყებადაა ცნობილი. ამის გამო ნ. ბერძნიშვილი მიუთითებდა: “ეს აჯანყება ქახეთში დაიწყეო და კახურივე დარჩა, თუმცა არაგას ხეობამ და ფრაგ-ხევსურეთშიც კახელების გვერდით ცხოველი მონაწილეობა მიიღეს ამ დიდ ბრძოლაში”. (ნ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 427).

² П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа. т. III, СПБ. 1872 г. с. 394.

მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა ქიშის დროს მაღლებრივი დრე ბატონიშვილს კარგად მოეხსენებოდა საქართველოს განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, ერთის მხრივ, ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ შეტევისათვის, ასევე სამხრეთიდან ასეთი შეტევის საწინააღმდეგო თავდაცვისათვის.

ამის გამო საქართველოთი აღვიდად ინტერესდებოდნენ როგორც სპარსეთის ხელისუფალი, ისე საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობები.

ოსმალეთთან ირანის შეკავშირებასა და რუსთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას განასწინი გამოუტანა ახალქალაქთან 1810 წლის სექტემბერში ირანის ჯარის დამარცხებამ. ყველაფერ ამის მიუხედავად, ალექსანდრე ბატონიშვილი იმედს არ კარგავდა.

თავისუფლებისათვის მიმდინარე ომის ამა თუ იმ რაიონში ჯაჭვისებურად გაყრცელება-გამძაფრებას ხელს უწეობდა გათავსედებული რუსი იმპერიალისტებისაგან ადგილობრივ მცხოვრებთა ექსპლოატაციის სისახტიეკე და ხელისუფლების მრავალი შეცდომა, რასაც მოხერხებულად იყენებდნენ მასობრივ მოძრაობათა წარმართვაში დაოსტატებული მამულიშვილები.¹

ოუბანწოდა ჯარებისაგან განთავისუფლება, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება ქართველთა დიდი ხნის სანუკევარი მიზანი იყო, ხოლო 1812 წლის სახალხო მღელევარება იმ რუსი მოხელეების თავგასულობისა და გაუგონარი რბეგა-აოხრების უშუალო შედეგი. მომზინების ფიალის ავსების გამო ხალხი მასობრივად სწერდა იარაღს და შინ შემოჭრილ მტრებს მძლავრად დაჰკრა.²

რამდენიმე სოფლის მაგალითს ერთობლივად ხეობებმაც მობაძეს და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ადგილას, უპირველესად კახეთს, ფშავ-ხევსურეთს, ქართლსა და ა. შ. დიდი ბრძოლები გაიმართა.

მოძრაობის პირველ ეტაპზე, აჯანყებულთა ხელმძღვანელები, ჩანს,

მათივე რჩეული პიროვნებანი იყვნენ, შემდეგ საერთო ხელმძღვანელობისათვის გრიგოლ ბატონიშვილი მოიწვიეს.

ვრცელ ტერიტორიაზე ავარდნილ აჯანყების აღს გაბეჭდული ხელმძღვანელები აქლდა. გრიგოლ ბატონიშვილის დაპატიმრებისა და რუსეთს გადახვეწის შემდეგ თავისუფლების მოსაპოვებლად შემართული მოწინავე პირები ცდილობდნენ ხალხის მებრძოლი

¹ ვ. სუხიტაშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილის თანამებრძოლი მღვდელი ზებედე კრებ “შესხეთი”, VII. 2005. გვ. 45.

² აბ. კიკვიძე, გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წ. თბ., 1941. გვ. 12-13.

სულისკვეთების ქიდევ უფრო ამაღლებას, სახალხო შერისხების მიზანის თვალისწინებისათვის აღექსანდრე ბატონიშვილის მოწვევას.

ამ საქმეში აქტიურობდა თავადაზნაურთა მარშალი ნ. ანდრონიკაშვილი. მან შეძლო ირანს ელჩების გაგზავნა აღექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში მოსაწევევად. ეს სარწმუნო ფაქტი აღნიშნულია მთავარმართებელ ნ. რტიშვილის გრაფ რუმიანცევისადმი 1813 წლის №11 მიმართვაში;

რუსი მკვლევარები სამართლიანად უკავშირებენ აღექსანდრე ბატონიშვილის შემოხველას საქართველოში ხალხთა მღელვარების ახალ ჩაღლებად აზვირობას.¹

ამ მოხით, 1812 წლის თებერვალში მასთან ქართველებს 40 კაციანი დელეგაცია გაუგზავნიათ.

თელავის მოურავი დანიშნულებისამებრ ატყობინებდა: ჩემთან მიღებული ცნობებით აღექსანდრე ბატონიშვილის მოსაყვანად სხვადასხვა სოფლებიდან გაიგზავნენ დელეგატები. მათი ასეთი მოქმედება ოჯახიანად დაღუპავს მათ...²

ხელისუფალთაგან მკაცრ დონისმიებათა გატარების მიუხედავად,³ ასეთი მოწვევა უშიშარ მეთაურს სხვა კუთხეებში აჯანყებულთაგანაც მოხდიოდა.⁴

სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა აზრი და თავდაღება მას ძლიერ მოხსონდა. აღვრთოვანებული აცნობებდა მათი გმირული ბრძოლების გამოძახილს უცხოეთში. ამასთანავე იგი გამჭრიახობისექნ მოუწოდებდა აბობოქრებულ ხალხს და მტერზე ახალ გამარჯვებებს უსურეებდა.⁵

მრავალი კახელი ამბობდა, რომ აღექსანდრე ბატონიშვილი აქმდე მოვიდოდა, რომ მდინარეში წელის დაწევას არ ელოდებოდეს.

¹ Н.С. Аносов, Утверждение русского владычества на Кавказе. т. II , Тиф 1902, с. 389

² Акты. т. V.с.85.

ამის გამო დუბროვინი წერდა, რომ აღექსანდრე ბატონიშვილთან თულავიდან გაგზავნილმა 16-მა კაცმა სხვადასხვა გზით მიაღწიეს მასთან და მოული ხალხის ხახელით სთხოვეს მოსულიყო და ხელში აეღო მმართველობის ხადავევები(Н. Дубровин, История...т. VI, с 32).

³ მთავარმმართებელი ფ. პაულუში თელავის ქომენდანტ შმატოვს 1812 წლის 1 აპრილს სწერდა: სასწრაფოდ დაეპატიმრებინა და თბილისს გამოეგზავნა თუშეთისა და ენისელის მოურავები: ედიშერ წოლოებაშვილი და ივახე ჯორჯაძე.

⁴ ქართველი ბატონიშვილი მასთან მისულებს სწრაფად თავისზე ტახტის მემკვიდრე აბაზ მირზახთან გზავნიდა(Н. Дубровин, указ. соч. т VI, с 36)

⁵ 1812 წლის აპრილის დამსახურის ქახეთში აღექსანდრე ბატონიშვილის წერილებით მოვიდა 3 კაცა

მმართველთაგან უხვად გამოიყენებოდა ფულიც. ჰუაფუნდული მოძრაობის ამ მამაცი მეთაურის თავი შეკვე 2 ათას თუმნად იქმ შეფასებული.¹

უცხოეთიდან ქართველი ბატონიშვილის ჯერ ქვემო ქართლს (სომხით-საბარათიანოს), ხოლო შემდეგ დიდომსა და აჭალას მოსვლის განზრახვაზე ხმა დაირჩა 1812 წლის შემოდგომის დასაწყისში.

გენერალი ორბელიანი ენერგიულად ცდილობდა ალექსანდრეს მეშვეობით აჯანყება არ გაფართოებულიყო. ამიტომ მან არაგვისპირეთში მიავ-ლინა პოლკოვნიკი პეტორსკი, ხოლო ალაზნის ხეობაში პოლკოვნიკი ტიხანოვსკი.

ალექსანდრეს შესაძლებისას პოლკოვნიკმა პუნირსკიმ ჯარისკაცები მცხეთიდან თბილისამდე მტკვარზე არსებულ ფონებთან დააყენა და თვით ბულანჩაურისაკენ გაეშურა გზის გადასაკეტად. საბოლოოდ რუსი ოფიცერის მცდელობა ჩაიშალა. მან ვერ მოასწრო დავალების შესრულება.

როგორც აღვნიშნეთ, 6 სექტემბერს ალექსანდრე ბატონიშვილმა ასკაციანი ამაღლით გადალახა ფონი² და კავთისხევს მივიდა.

ბევრი ჩქარობდა მის ბანაკში მისებას. მას მრავლად მიუვიდა რუსული საოცავაციო ხელისუფლებით უკმაყოფილო ქართლ-კახეთის მოსახლეობა. გვიან ალექსანდრემ გეზი თიანეთისაკენ აიღო. მას თიანეთს ხალხი შეკრებილი დახვდა.

აბობოქერებული სახალხო მოძრაობის შუაგულში მდგრომი ალექსანდრე ბატონიშვილი თავგანწირული სულისკევთებით ჯერ კიდევ ზაფხულში პატივსცემითა და სიცვარულით მიმართავდა კახელ წარჩინებულებს, თავადა-აზნაურთ, “თელავის ზეით” თემის ხალხთ: “... თქესნგან გამოგზავნილთ თავადთ, აზნაურთა და გლეხთ ყოველთავე... აქ ჩვენთან მოაწიეს და ეს თავადები შავზადა რომ მობრძანდება წინ მივაგებებთ... ამ რამდენსამე დღეს დუთის შემწეობით მანდა ვართ და ჩვენს სისხლსაც თქესნს სისხლში გაერევთ ჩუტი მამა-პაპათაც მრავალჯერ დაუქცევია თქესნთვის სისხლი და ჩვენც თავი შემოწირული გუაქუს... ერთს კვირას თქესნთან სიცოცხლე ათასს წელიწადს სხეუაგან ცხოვრებას მირჩევნია... ახლაც ასრე სიმხნით აღიჭურვენით... რადგანაც... მაგდენი რუსი გასწყვიტეთ, დმერთმან ნუ ქნას, რომ მაგათ ძალი მოიცენ, არას დროს არ შეგარჩენენ... შემწეობის

¹ Н. Дубровин. указ. соч. с 39.

² ვ. სუხიტაშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი - 1812 წლის ქახეთის ამ ბოძების მებაირახტრე. თხუ შრომები, ისტორიის ხერი № 349, 2003 წ. გვ. 142-143.

მაგიურ ასე დაგვამხეს... მაინც უკანასკნელი საფრთხეები არის მაგათაცან... ერთი მიეგება ყოველთათვის - ციბირი, როგორც მჯნედ მოქცეულნართ, ისევ ისრედ მჯნედ აღიგურებით... სხუას ჩუშნის თადარიგსა და სიტყუას თქეშნ მიერის გამოგზავნილების კახელების წერილითა და პირითა სცნობთ..."¹

ასევე ბრძნული, მაღალფარდოვანი სიტყვებით შემქული ხოტბით, მხურვალე მოწოდებით მიმართავდა ამბოხებულთა ეს მეთაური თელავის ქვემოურ “საენდონიკო - სავანნაძეოს თავადთ, აზნაურთ, მოხელეთ და ერთობით თემობის ხალხთ”: “თქვენი საარაკო მამაცობის ხმაშ ქვეყნის ოთხივე მხარეს მიაღწია და ყოველი ერანისა ხალხნი თქვენის ძლევისა და ქებისა გვირგვინისა შემთხვევლი არიან. დღეს იდიდნენ საქართველოსა შინა მცხოვრებელნი...”²

რა ქება მიგიძლევანოთ ანუ რა წევალობა აღგითქვათ, რომელიც უმაღლეს ღირსეულობისა და პატივისა ღირსნი ხართ, ესრეთ დაცემულის სამეფო სახლის აღმმართულები... ბარაქალა თქვენს კეთილის გამორჩევასა და შაბაშ თქენსა ეგრეთსა სიმხნესა და მამაცობასა!... აწ ძმანო, თქვენ უმეტესი მაგიერი აღასრულეთ, რომელ იმის დაცემული ოჯახი ერთის სარწმუნოების მტერთა და უცხო თესლთაგან თქვენ სვეტი ძლიერებისა შეიქმნით... მზებრ თქვენი სახელი ყოველსა ქვეყანასა მოაფინეთ... თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია, თქვენში ვზივარ... ღმერთმან უმტრესად გადიდოსთ... და ჩვენც სიხარულით მაგიერი აღსრულება გვედირსებოდეს... ისე სასქაროდ გამოვწევთ, რა გვარათც თქვენ შემოგვითვლით. სხვას აქაურს თადარიგსა და ჯარების ამბავს ამ წიგნის მომტანნი მოგახსნებენ...”²

კახეთში მუოფი ტიხანოვესი კი ველისციხეს მიაღა...³

იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიმართვის საფუძველზე 1812 წლის ზაფხულში მთელი ყურადღება გადატანილი იყო ირანთან დაზავებაზე, რადგან ნაპოლეონი დიდი არმიით მოიწევდა რუსეთისაკენ.

იმის გათვალისწინებით 40 დღით შეწყდა საომარი მოქმედება ირანის საზღვარზე; მაგრამ ირანები საქართველოს დასაპყრო-

¹ Акты. т. V, с 359..

² Там-же. с. 355. მნიშვნელოვნია ამ საბუთზე დასმული ბატონიშვილის ბეჭდის ქვემოთ მინაწერი: “ქ. შავზადის რაყამი თიანეთზედ გავისტუმრეთ და იქიდამ მოგივათ!!”

ძეგდას ჩანს, რომ საქართველოს ყოველ ქუთხეს სწოდებოდა აღვეშანდრე ბატონიშვილის მზერა. სამშობლოს თავისუფლებისთვის ეს გულანთუბული მებრძოლი საყოველთაო გამოსვლისათვის რაზმავდა საქართველოს ყოველი ქუთხის მკიდრთ.



ბად გამალებით ემზადებოდნენ. შექმნილი საერთაშორისო მოხერხებულების გათვლისწინებით აღექსანდრე ბატონიშვილი მოხერხებულად შემოჰკრა კახეთში და გამაგრდა.

გამოჩენილი ქართველი სარდლისა და მოღვაწისადმი ირანისა და ინგლისის დახმარებაზე, გვიან სამართლიანად მიუთითებდა 6. რტიშვევი.

იგი ინგლისის ელჩს ირანში გორ-ოუზლის წერდა, რომ ორ-მოცდლიანი დაზავებისათვის მასთან მოლაპარაკების მიზანი იყო საქართველოდან მისი მოწყვეტა, რითაც საშუალება მიეცა აღექსანდრე ბატონიშვილს შემოჰკრილიყო და თავისი პოზიციები გაემაგრებინა კახეთში.¹

მელეგვარი ო. მარქოვა, რა თქმა უნდა, არ იყო მართალი, როცა წერდა, რომ აღექსანდრე თითქოს 12 წლის განშორების შემდეგ პირველად შემოვიდა საქართველოში.²

ჩვენ ნაშრომის რამდენსამე ადგილას ფაქტებით ნათელვყვავით უცხოელი მკვლევარი ქალის ეს გაუცნობიერებელი უსაბუთო მოსახურება.

საქართველოს განთავისუფლებისათვის ეს შეუდრეკელი მებრძოლი უცხოეთშიაც მუდამ საქართველოზე ფიქრობდა, მისი დახსნისათვის ფართო და მეტად სარისკო გეგმებს ადგენდა და ხმალამოწვდილი განუწყვეტლივ თითქმის ყოველ წელს სამშობლოს საზღვრებზე და ქვეყნის შიგნით ან უშუალოდ თვით შემოიჭრებოდა, ან თავის უერთგულებს თანამებრძოლებს გზანიდა.

¹ Акты. т. VI.с. 714-715. აღექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში მოხერხებულ შემოჰკრაზე შემდეგში წერდა აღ. ჭავჭავაძეც. იხ. წიგნი. აღ. ჭავჭავაძე, თხზულებანი. თბილისი. 1940. გვ. 252.

² საქართველოთი დაინტერესებული უცხოელი მკვლევარის თითქოსდა ამ პატარა შენიშვნას თუ ჩაუკირდებით, დავინახავთ, რომ ქალმის ასეთი ერთი მოსმით მან ხაზი გადაუსვა აღექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლებს სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, ქართლის შუაგულსა თუ ვრცელ მთანეთში. იდეოლოგიურად დამჟებული ასეთი მკვლევარები ფიქრობდნენ, რომ მათ ამით დააკინებს მამულისათვის ანთებულ მოღვაწეთა დგაწლი და იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ “შები ხალთაში არ დაიმალება”. სხვა რომ არა იყოს-რა, იმდროინდელი რუსულენოვანი დოკუმენტები და ოფიციალური რუსი ისტორიკოსები თავიანთ წიგნებში შევით თეთრზე აღმოქმდავნებ აღექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში შემოჰკრისა და მისი თანამებრძოლების მამაცური ბრძოლებით რუსეთის ხელისუფლებისათვის არაურთგზის მიუწებულ ზიანს, მარცხს თუ შიშს.

საქართველოში მუთმა რესმა მოხულეებმა არაერთხელ დაადასტურეს დიდი ქართველი მოღვაწის აღექსანდრე ბატონიშვილისადმი ბატონაზული სახალხო სიცარული, ღრმა პატივისცემა — დაფასება.



როცა საქართველოში აღექსანდრე ბატონიშვილმა თანამებრძოლები შემოიჭრებოლნენ, თავად აღექსანდრე, როგორც საერთო მეთაურსა და დირსეულ ხელმძღვანელს შეეფერებოდა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მის თანამებრძოლებს გარედან მეზობელ სახელმწიფოთაგან მხარდაჭერა პქონოდათ, ხოლო ქართლის, კახეთის, იმერეთისა თუ სხვა კუთხე-ებიდან უცხოელთა უღელქეშ მოქცეულთაგან უშიშარი პატრიოტები მათ მრავლად მიშველებოდნენ, თავანიშირული, სამართლიანი ომის უველ კუთხეში მიმდინარე ბრძოლებში.

კახეთში აღექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლებს აღექსანდრე ბენდიანიშვილი აკავშირებს მაშინდელი საერთაშორისო მდგრ-მარეობის, კერძოდ, რუსეთში ნაპოლეონის არმიის ძლევამოსილი სვლის შედეგთან: “ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელებმა, - წერს მკვლევარი, - მათმა აღიარებულმა ლიდერმა აღექსანდრე ბატონიშვილმა სწორად შეაფასეს შექმ-ნილი სიტუაცია, ხცადეს მისი გამოყენება საქართველოს სახელმწიფობ-რიობის აღდგენისათვის”.

მეცნიერი განაგრძობს ეროვნული მოღვაწის დახასიათებას.

აღექსანდრე ბატონიშვილი კარგად იყო გარეკვეული შექმნილ ხიტუაციასა და საქართველოს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში. დიდი განმათავისუფლებელი ომის დაწყებისათვის იგი უკეთეს დროს კერც ისურვებდა. ნაპოლეონი უკვე მოსკოვში იყო შესული, რუსეთ-ირანის ომი ისევ გრძელდებოდა და თურქეთიც შევიწროებული მეზობლის წინააღმდეგ საბრძოლველად ხმალს ლესავდა. უფლისწელს რამდენადმე აფიქრებდა მხროლოდ ქართველი ხალხის ანტიირანული განწყობილება. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთის დაძყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველებს კიდევ უფრო აუტანდად მიაჩნდათ ირანელთა ბატონიობა. ამიტომაც აღექსანდრე ბატონიშვილი თანამებრძოლებს, მთელ ქართველ ხალხს არწმუნებდა, რომ ირანის ჯარი საქართველოში შემოვა, მაგრამ არა ქვენის დასაპყრობად, არამედ ბრძოლაში დასახმარებლად, საქართველოს სამეფოს აღსადგენად!

აღმოსავლეთ საქართველოში 1812 წლის მდელეარებისას სამშობლოში შემოჭრილი აღექსანდრე ბატონიშვილი ხალხს მოევლინა განმათავისუფლებლად, ამიტომ იყო, რომ მოხახლეობა მკერდით იფარავდა მას და ხშირად მოხერხებულად უბნევდა გზა-კალს მეფის აღგილობრივ მოხელეებს თუ რუსეთის დამქაშ რეაქციონერ ქართველ და სხვა სამხედრო მოღვაწეებს.

¹ აღ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია 1801-1921 წწ. თბ., 1999. გვ. 28-29.



1812 წლის აჯანყება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახალხო მოძრაობა იყო, რომელშიც ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი მხედრული ნიჭით, ენერგიულობითა და სიმამაცით წარუშლელი კვალი აღმარცვდა.

“ამ დაუცხრომელ მოღვაწისათვის, - აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი, - 1801 წლის შემდეგ ვიდრე 1830 წლებამდე ამიერკავკასიაში იშვიათი იყო ცოტად თუ ბევრად დირსშესანიშნავი პოლიტიკური მოვლენა, რომელთანაც ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი არ იყოს დაკავშირებული”.¹

სამართლიანობა მოითხოვს, ზოგჯერ ო. მარკოვასაც მივუზოთ დამსახურებისამებრ. 10 ოქტომბერს, დღის 5 საათზე შილდასთან გამართულ უსასტიკეს 7 საათიან შეტაქებაში ეს ავტორი არ ივიწყებდა ქართველთა თავდადებას და სამართლიანად წერდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმელი ქართველები და ლექები ცოცხლად არ ნებდებოდნენ.²

ამასთან იგი აღნიშნავდა 12 ოქტომბერს სოფ. ენისელთან ბატონიშვილთან სურსათით დატვირთულ მოხერხებულად მისული რაზმის საოცუპაციო რეჟიმის დამცველ მოხელეთაგან უმოწყალოდ ერთიანად ამოწყვეტას.³ ეს ამ უცხოელი მკვლევარის უნგბლიერი აღიარებაა.

ალექსანდრე ბატონიშვილი თანამებრძოლებისადმი უურადღებიანი, გონიერი პოლიტიკოსი, გამჭრიახი სარდალია მეომარ რაზმებთან დამოკიდებულებასა და ძალთა განწყობილების უბადლო შეფასებაში.

1812 წელს ქახეთში მიმდინარე ბრძოლათა სურათის ჩვენებისათვის, აჯანყებულთა სამხედრო მანევრის შესაცნობად და სხვა, მეტად მნიშვნელოვანია ალექსანდრე ბატონიშვილის 1812 წლის 7 ოქტომბრის წერილი. იმ დროს საქართველოს სამხედრო გზის მპყრობელი პაპოა აბელიშვილისა და გორჯასა ნათალიშვილისადმი: “... თქვენი წიგნი მოგვივიდა და რაც მოგეწერათ, ვცანთ. ვიცით აქაურს ამბავს იქითხავთ, ამასწინათ რომ შილდას შემოვიდა ტახუნევის⁴ ჯარი და როგორც სხვა მდთით დაეცა... ახლა კიდევ ისევე შეფი გაგვეპარა და უკარლის ციხეში მიეკიდასიყიდამ დიმიტრი კნიაზი წამოვიდა ერთმანეთისათვის ყავლი მიეცათ და ზარბაზნები დაუცალეს. ესეც ყვარლიდან გამოვიდა და ფაშაანის ფონზე მივიდა. აქედან ამას დახვდა ჩვენი ჯარი და გაღმიდან კნიაზს და მოუხდათ სროლა. დილით მოკიდებული

¹ ნ. ბერძენიშვილი, დახ. ნაშ. გვ. 459.

² О. Маркова, указ. соч. с. 110.

³ Там-же. ст. 111.

⁴ ტახუნოვი, ეს პოლკოვნიკი ტიხანოვსკია.

ხადაშემდის განუწყვებელი ცეცხლი იქნა... ჯარი რომ დაფდულობისა და ლამების უსწრა, ხამოციალნები და ჩვენი ჯარი რომ ხახეს ხელცარიელი, დამე მიპარებით ფაშაანში ერთად შეიქარნები და ამავე შეღლის ბერლოს დაღვენები. ჩვენ გზა მივეცით და ვეღლისცის ბოლოს იმათ ხასაღომარზედ ჩვენ დავდექით. გამოღმარომ გამოსხელა დააპირებს, ხანაგარღოებისა და ოთხასი ლეგი იმ ფონზედ დახვდნები და სროლა აუტეხებს. აქედამ ჩვენი ქისიყისა და ლეგის ჯარი შეეჯახნები და საშინელი სროლა მოხდა, რომ სულ ყათლანი დამართება... ლეთის მოწყალებით, ჩვენ ჯარები გვემატება, ეს რუსები სუსტდებიან... ქვემოურის ამბავს იკითხავ, ეს არტაშევი რომ არის, მთავარმართებელი, შპზადას შემოსაფრული პყავს... იმის იმედი ნუდარა გაქვს, რომ აქეთ შეძლოს მოსვლა!

ხარდლის კაცი და წიგნი მოვივილა ერევნიდამ. ისიც თორმეტის ათასის კაცით გუმბრსა და ყარაქილისას მოსულა და წიგნი მოუწერია, რომ თქვენს ამბავს ვეღლით თუ გინდა ყაზახში გავალო და თუ გინდა შენთანო... ყაზახში გვინდა მოვიწვიოთ:

ახლა მანდაური ხაქმე თქვენ იცით, როგორაც ბეჯითად მოიქცევით!¹

ვყიქრობთ, აქ ადღვენილი ბრძოლათა ქიზოლდები ნათლად გვიჩვენებს ალექსანდრე ბატონიშვილის ხამხედრო ნიჭებს, შორსმჭვრეტელობას, დიპლომატიასა და მისის რაზმელების გმორისას უახლესი ტექნიკით მძლავრად აღტურებილი რუსეთის რეგულარული ჯარის გაწრთვნილ ხაწილებთან გადახდილ ბრძოლებში.

როგორც ხაშრომის დახაწყისში აღვიშნეთ, ერეკლე II-ის ხაშველი კარზე ალექსანდრე ბატონიშვილმა ლიდი სამხედრო ხათლობა მიიღო, რაც შემდგომში მიხვან განხორციელებულ ფართო საბრძოლო ღონისძიებებში უკნებლად გამოსვლისა და გამარჯვების საწინადარი ხდებოდა.

რა იყო ამის მიზეზი? ამ კითხვას პასუხობს ალ. ბენდიანიშვილი. “რუსეთის რეგულარულ არმიას გაწრთვნილობა - შეიარაღებით, - წერს მკალევარი, - დიდი უპირატესობა პქონდა, პირისაპირ ომში ასეთი ჯარის დამარცხება ძნელი იყო, მაგრამ მოწინააღმდეგის ამ უპირატესობას ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი ცხენოსანი ჯარის უპირატესობა, სწრაფი მოძრაობისა და მანევრირების უნარი დაუპირისპირა. რუსთა სარდლობა თავისი ქვეითი ჯარის დაყოფას ვერ ბედავდა.

¹ ციტირება ვ. ორჯონიძიმის გამოცემულ ალექსანდრე ბატონიშვილის წერილებიდან. გვ. 84.

მთელი რესული არმია ზოგინით დახდევდა ბატონიშვილის ლაშქარს, რომელიც აღგილს ხშირად იცვლიდა, მოულოდნელი დარტყმებით დიდ ზარალს აუკნებდა მეტრს და უცბადვე გაფცლებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილმა მოსახლეობის მხარდაჭერის წევალობით მოწინააღმდეგის კოველი ხაბიჯი იცოდა. რესთა ჯარის სარდალს დიმიტრი ორბელიანს წარმოდგენა არ პქონდა აჯანყებულთა ძალების განლაგებაზე და ბატონიშვილის ლაშქარს ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა. ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ერთი შეხედვით მთავრობის ჯარი იმარჯვებდა, გენერალი დ. ორბელიანი მთავარმართებელ რტიშველს ბატონიშვილის “საბოლოო დამარცხების” ამბავს აცნობებდა. მპყრობელი ელოდა ალექსანდრე ბატონიშვილის გაქცევას და მის დასატყვევებლად ზომებს დებულობდა, მაგრამ ასეთი “საბოლოო დამარცხება” ხშირად მეორდებოდა. ბოლოსდაბოლოს რესმა გენერლებმა გაიგეს, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე კი არ მარცხდებოდა და გარბოდა, არამედ აღგილს იცვლიდა და ახალი დარტყმისათვის ემზადებოდა.¹

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმთან ერთად, მეტების წინააღმდეგ მამაცურად რაზმებით იბრძოდნენ, მისი მომხრე ისეთი ძლიერი ფერდალები, როგორიც იყვნენ საგარეოოს მოურავი თადია ხოლო აშვილი, თელავის მაზრაში ბატონიშვილის რაზმის მთავარი თრგანიზატორთაგანი ომან ხოლო აშვილი, დიმიტრი ვაჩნაძე, სამხედრო გზაზე ბატონიშვილის დაგალებათა შესრულებისათვის იდგვწოდნენ: გორჯასაპი ხათალიშვილისა და პაპოა აბელიშვილის რაზმი და სხვანი.

სამწუხაოოდ, ასეთ ეროვნულ მოძრაობას საქართველოში სახელმწოდოს აღსაღებენად, გამოითიშვული იყო დიდგვაროვანი მოხელე გაბრიელ ყაზბეგი.

ალექსანდრე ბატონიშვილი ამ მოხუცისადმი არ იშურებდა დიპლომატიურ ხერხებს, რისხევა-მუქარას, დაუვავებას. გაბრიელ ყაზბეგის თავის მხარეზე გადმოსაცვანად, თავად ალექსანდრე ბატონიშვილთან თუ მის მშობლებთან ამ საგვარეულოს ლირსეული თანამშრომლობის ფაქტების გონივრულად მოშველიებით გ. ყაზბეგს იგი უდვივებდა თავმოყვარეობა-ლირსების გრძნობას ეროვნული მოძრაობის ხელშესაწყობად და მოუწოდებდა სიტყვის გამტეხთა წინააღმდეგ მამაცურად მეტროლ ქართველთა მრავალწლიანი ომის გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის.

¹ აღ. ბენდინიშვილი, დახ. ნაშ. გვ. 29.

ახეთი სახალხო მდგრადარების დროს ჯემშარიზი მდგრადარების ურთიერთ თახალგარმის ფამს აღექსანდრე ბატონიშვილისა და გაზძევის ურთიერთობას გვიდასტურებს მრავალი დოკუმენტი...

აქ მოგვავს 1812 წლის 7 ოქტომბერს აღექსანდრე ბატონიშვილისაგან კაზბეგისადმი გაგზავნილი მეტად თავაზიანი, გონივრულად შედგენილი წერილი: “ქ [რისტე]. მის ქეთილშობილება ყაზბეგისშვილს, გაძრიელს საქართველოს მეფის ძე აღექსანდრე ძმერის ხიევარულით მოგიითხეა”. ბატონიშვილი ენერგიულად, ტაქტით ცდილობდა გავლენა მოეხდინა მთების ამ ამაყ შეილზე, წარსულში ქართლ-კახეთის სამეფო კართან ყაზბეგთა სახლის შვილების სანიმუშო ურთიერთდამოკიდებულების გახეჩებითა და სხვა. “... სანატრელის მამის ჩვენის მეფის ირაკლისაგან მამის შენის პატივისცემა ქარგად მახსოვეს, - სწერდა აღექსანდრე გვაზბეგს, - მეც იმისი შეილი ვარ. უკეთესს პატივს მოგაცერობ. ღმერთს ენდე, მე მერწმუნე და იმ სანატრელის მეფის ერეკ-ლესა საფლავს, რომ შენ ჩვენგან ხიევარულისა და პატივისცემის მეტი არა ნახო რა”. ეს ეროვნული მდგვაწე ამასთან მტკიცედ ჩაგონებდა ადრესატს: “მაგ რუსების წარმავალი არის და ჩვენი წყალობა წარუვალი და საშვილიშვილო არის... ღმერთის ერწმუნე, ყოვლის შენის გულისწადილს აღგისრულებთ... ახლა არის ერთგულების ფამი და სამსახურის.”¹

ცხადია, მასების საბრძოლებელად დარაზმითა და ბრძოლებით გამოჩენილი ორგანიზაციონი ბატონიშვილის მიზანი იყო მასობრივ ეროვნულ მდგრადებაში მაღალი რანგის მოხელეთა მრავალად ჩამდა. საქართველოს განვითარების იმდროინდელი ხოციალ-ეკონომიკური და საკალალო პოლიტიკური მდგრმარების გამო, ეს ურთულესი, თითქმის შეუძლებელი საქმე იყო. ამის მიუხედვად ეს მოდგაწე გაბეჭდულად იბრძოდა და გვაზბეგის ეროვნულ მოძრაობაში ჩახაბმელად. თავის ხმას ერთობლივ არაგველების,

ფშავლებისა და სხვა კუთხეში მცხოვრებთა ხმასაც უერთებდა.²

პირიქითა და პირაქეთა კავკასიელების დამაკავშირებელი მოხერხებული აღგილის მფლობელ გ. ყაზბეგისადმი განსაკურებული ეურადება არ იყო შემთხვევითი.

სახალხო მდგრადარების დროს ამიერკავკასიის რუსეთთან დამაკავშირებელ ამ სასიცოცხლო აღგილმდებარეობის გამო გვაზბეგის უფლებები გაზარდეს, რის გამოც მას აგტორიტები

¹ ქ. ორჯონიქიძე, დახახელებული ნაშ. გვ. 81.

² იქვე: ერთობით არაგველებისა და ფშავლების წერილი გრ. ყაზბეგისადმი გვ. 82.

ერთბაშად აუმაღლეს, თანდათან სამიხეო საზოგადოებრივი აწ-
რის გარდაქმნაც მოინდომეს.

ყაზბეგთა სამფლობელოს ასეთ ფრიად მნიშვნელოვან
სტრატეგიული უპირატესობის გარდა ამ საგვარეულოს უფროსის
ეროვნულ მოძრაობაში ჩართვას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა
ჰქონდა. ამას კარგად ხელავდა ალექსანდრე ბატონიშვილი და
ფუჭ, უზომო დიდების მაძიებელ გ. ყაზბეგის გარდაქმნას
ფიქრობდა.

გ. ყაზბეგის 1812 წლის მოძრაობაში მონაწილეობა დიდად
გააძტეტიურებდა და გააფართოებდა უპირველესად მთიანეთის
მოსახლეთა ბრძოლას რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წი-
ნააღმდეგ.

გ. ყაზბეგის რუსთა საწინააღმდეგო მოდგაწის ხმა შორს
გაერცელდებოდა იმიერ თუ ამიერკავკასიაში, რუსეთში, მახ-
ლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამასთან შორსმჭკრებელი
პოლიტიკოსი ალექსანდრე ბატონიშვილი თავიდანვე იჭერდა თა-
დარიგს დარიალზე გამავალი დიდი საკარო-ეკონომიკური და
პოლიტიკური მნიშვნელობის ტრაქტის დასაკავებლად.

ამითაც იუთ განპირობებული, რომ გ. ყაზბეგისაგან უპასუხოდ
დარჩენილი ეს დიდი სამხედრო მოდგაწე კელავ შეთანხმებისაკენ
მოთმინებით, გონიერულად და მტკიცედ მოუწოდებდა თავისი
სახლის ძელ მეგობარს გ. ყაზბეგს: “მეფის ძე ალექსანდრე
ქმური სიუვარულით მოგიკითხავ კეთილშობილო ყაზბეგის
შეიღო გაბრიელ, - წერდა მას ალექსანდრე 1812 წლის 17
სექტემბერს, - ამდენს წიგნს გწერთ, არ ვიცით, მოგდის თუ არა,
ვინც მაინდამ მოდიან, შენს ერთგულებას გვიცხადებენ...”

ღ[მერ]თს ენდე, ყმით გაგამდიდრებ და მამულით და ნივთით
საშვილიშვილოდ. თავდებები ეს არის, რომ მოგვიცია მთელი მთა
და ბარი... ჩვენი გვარის საქმე იცი, რომ რასაც ვიწერები,
ღვთის წინაშე სწორებს

ვიწერებით! ...”¹

თუმცა მოხდა ისე, რომ გაბრიელ ყაზბეგმა ბოლომდე უერთ-
გულა რუსულ ხელისუფლებას, რისთვისაც მან და 1812 აჯანყების
დამთრგუნველობა სხვა თავადებმა მაღალი სამხედრო ორ-
დენები მიიღებ.²

¹ იქვე გვ. 83. ჩანს, ამ წერილის მიღების შემდეგ, გ. ყაზბეგი სწრაფად
გადაბარგდა იმურკავკასიაში, ლარსის ციხესიმაგრეში. გვიან გ. ყაზბეგი
განმარტავდა, რომ შორს გადაბარგების მიზეზი იუთ სტეფანწმინდაზე
განხორციელებული რამდენიმე მდლავრი შეტევა.

² სცხსა. ფ. 2, ად. 2. საქ. 1368, ფ. 13-14.

სამხედრო გზასთან ერთად აღექსანდრე ბატონიშვილმა და გურადღებას აქცევდა ქართლი, რომლის დაჭერაც მას დიდად გაუადვილებდა ქრცხინვალის, დუშეთის, თბილისის და სამხედრო გზის საიმედოდ ჩაკეტვას.

აღექსანდრე ბატონიშვილის ქართლის უფლის სამეფოში განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ასევე რაზმების გაგზავნა: დიდმის, ღოვის, კავთისხევის, საგურამოს, გალავნისა და მცხეთის გასახვლელთა გადასაკეტად.

უფრო სამხედროით მდებარე პუნქტებიდან: აგენიდან, კასპიდან, გორიდან, სურამიდან და სხვა აღექსანდრეს შესაერთებლად მრავლად მოდიოდნენ. მათ შორის: პეტრე, სოლომონ, ნიკოლოზ და პავლე ავალიშვილები, ელიზარ და ზაქარია ციციშვილები, მლულები იოსებ ზაალიშვილი, ზებედე შატერაშვილი,¹ სოფლების: ნინისის, ნინალეს, ხოსტეს, კავთისხევის, კეხვის, თელეთ-გორის, მუხრანის, დირბის, ქარელის, ქვეშისა, დართისყარისა და სხვა სოფლების აზნაურები და გლეხებიც იმედით ერთიანდებოდნენ აღექსანდრე ბატონიშვილის რაზმებში.

1812 წლის შემოდგომაზე ასზე მეტი კაცი მოუვიდა აღექსანდრეს საქართველოს საზღვრებში შემოსვლისთანავე, სექტემბრის 17 რიცხვში მას მოწოდებები გაუგზავნია ქართლის თავდაზნაურობისადმი, რომელიც იხტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრის მიხედვით, არ გამოეხმაურა საერთო-სახალხო აჯანყებას: “რუსეთის მთავრობა, - აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, - მოხერხებულად იყენებდა ქიშას, თავადებს შორის და თავადის სახლის შიგნით სახლიკაცებს შორის რომ არსებობდა. თითოეული თავადის სახლში ის თავის ერთგულს იჩენდა, მის სახლისთაობას მხარს უჭერდა, ნაცადი და უტუშარი ხერხი იყო. ერეკლეს მოდალატე ქსნის ერისთვიანთ სახლი ბაგრატიონთა სახლის კარზე აღადგინეს, ამილახვართ სახლში ერეკლესა და მისი შვილების ერთგული ოთარის ადგილზე მისი მოქაშე წამოსწიეს...²

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებში დაცულია დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ გარდა თავადებს შორის შედღის გაღვივებისა ან მოსყიდვისა, რუსული მმართველობა მცირედი ეჭვის შემთხვევაშიც კი ქართლელი თავადების პირდაპირ ტერორს, დარბევას, მამულის აღმორთმევას იწყებდა. ამისი ნათელი მაგალითია ქართლის სოფელ ბრეთის თავადის სოლომონ ავალიშვილის შიშნარევი ჩვენება: “... შევიტყე რომა ჩემისა წარსელისა და გაქცევისა აქვთ გამოცხადებული ნაჩალნიკებთა. შევშინდი და მოვედი-ო.”

¹ ხცხსა. ფ. 16, აღ. 1. საქ. 373. ფ. 2 რ. 4 რ.

² ნ. ბერძენიშვილი, დახახ. ნაშ. გვ. 448.



1812 წლის ხექტემბერში ქართლში, სოფლებში: ბრუნის და ბეგა გამოჩენები აღექსანდრე ბატონიშვილის მორბედები სამბოხო წერილებით. ბატონიშვილის ერთ-ერთი ასეთი მხარდამჯერი და აგიტატორია რევაზ ცალქალამანიძე, რომელმაც ხოლ ავალიშვილს გადასცა აღექსანდრეს წერილი: “მომცა წიგნი და თითონ წავიდა, - აღნიშნავს თავადი ავალიშვილი, - და გავხსენ იგი, რომა მოწყალენო კელმწიფენო ჩემნოვთ თავადნო ავალიანო, თქუენა იყავით მოსამსახურენი ერთგულნი და ბულს მოდგინენი მამისა ჩუენისა ხეფისა ერეკლესი და დაგიცვავიათ აგრეთვე სისხლიცა და ამოუედი საქართველოსა შინა და მრავალნი კახეთისა თავადნი მომემხნენი მე და გთხოვთ, რომ მოხვიდეთ თქუენც ჩემთან. და იყო კელის მოწერილი ბატონის შეილისა აღექსანდრესი”.¹ როგორც აღნიშნავს პროფესორი ე. მამისთვალიშვილი, “აღმაშევოთებელი წერილები კრცელდებოდა გორის მაზრის გლეხებში. ისინი... არ მაღავდნენ სიხარულს ქახეთში მომხდარი აჯანყების გამო”.²

მიუხედავად რუსული ხელისუფლების დიდი მცდელობისა, ჩაეეტათ ქართლი და მოძრაობის ლოკალიზება მოეხდინათ, ქართლის მოსახლეობის ნაწილი (თავადაზნაურობა და გლეხობა) მაინც დგებოდა აღექსანდრე ბატონიშვილის მხარეზე. თუმცა არ იყო ბრძოლა ისეთი მასიური, როგორც კახეთში, მაგრამ ამბოხების ალი ქართლს ნამდვილად ასდიოდა. სოფელ ალისა და საკორინთლოს თავადები პეტრე ავალიშვილი და ედიშერ ამილახვარი, როგორც ჩანს, მოვიდნენ და მხარში ამოუდგენენ საქართველოს საზღვრებში შემოსულ ერეკლეს ძეს. სოლომონ ავალიშვილი წერს: “შემდგომად (იუ) დღესა კვირასა დამესა წაუკლით სამნივე სოფელსა საქორინთლოსა და დაიწყეს ყვირილი პეტრემა და ედიშერმა იქ მცხოვრებელთან, რომ ბატონის შეილისა ჯარი მოვიდათ. მე შევშინდი და წამოვედი იმათგნივა”³ ჩანს, გამიზნულად ცრუობს რუსთა რისხვის თავიდან ასაცილებლად, ან ნებისყოფასა და მამულიშვილურ გრძნობას უდალატია სოლომონ ავალიშვილსათვის, ხოლო ზემოაღნიშნული ორი თავადი “წავიდნენ ბატონიშვილთანა თუ ტყეში არიან სადმე მიფარებული-ო.” როგორც ჩანს დოკუმენტიდან, მათ ბატონიშვილთან გაუგზავნიათ მორბედები: აზნაურ ქარსიძის უმა პეტრე აბრამიშვილი და გიორგი ამილახვრის უმა პეტრე ვარძელაშვილი საპასუხო წერილებით.

¹ სცხა, ფ. 16, ად. 1, საქ. 1290, ფ. 20r.

² ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია. ტ. II. გორი 1999. გვ. 255.

³ სცხა, იქვ. გვ. 20 v.

ბატონიშვილ ალექსანდრეს რომ უამრავი მხარდაჭერითია ქართლში, ამაზე კითხვალებს ხცხას-ს, და ქხის ფონ-დებში დაცული დაპატიმრებულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურა სიები.¹

სახალხო მდელვარების ტალღამ აღმოსავლეთითაც გადაინაცვლა. ალექსანდრე ბატონიშვილის შესაპყრობად შეიირადვ-ბული სამასი ცხენოსანის გამოგზავნაზე უარი თქვეს ყაზახელმა აღებმა. რესთა საოქაპაციო ხელისუფლება გმირის გასანადგურებლად მზაკვრულ ხერხებსაც არ მოერიდა და მას ფარულად მიუგზავნა მქალელი.

ამას მოწმობს მაიორ თავად დავით ციციშვილის 1813 წლის 18 თებერვლის მოთხოვნა გორის მხარის უფროსის პოლქოვნიკ ა. რენიერი-სადმი: “გავლილ 1812 წელსა შეთანხმებისამებრ თქვენის მაღალეკეთილშობი-ლებისა, მე... სარგებლობისათვის სახელმწიფო ფოსა, შევწირე მსხვერპლად მშობელი ძმა ჩემი, პოდპორუჩიკი ელისბარ ციციანოვი, რომელიცა წარვიდა კახეთსა შინა ანუ დაუჭირა და ანუ მოეკლა გაქცეული ბატონიშვილი, რომელმაცა სცნა არაკეთილმოწადეთა ხვენთაგან ამაზედ დაპირება მისი, და წარგზავნა ძმა ჩემი სიფრთხილით ერვენსა შინა”.²

ეინ იცის, რამდენ ასეთ ფარულად მოგზავნილ მქალელს გადაურჩა სამშობლოს კეთილშობილებისათვის მებრძოლი ქართველი ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელიც გმირობა-მამაცობასა და მხედართმთავრის უებრო ნიჭს ავლენდა ამ დიდი სახალხო მოძრაობის ქამს.

ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმებმა 20 ნოემბერს ალექსი მოაქციეს სიღნაღი. წარუმატებელი ალექსი შემდეგ სიღნაღის ციხიდან უქამდეული ალექსანდრე ბატონიშვილი ჩაღაუბნის გავლით კაგაბეთში მივიდა. ხოლო 25 ნოემბერს მიაღვა მანავს.

საგარეჯოში მდგარი გენერალ სიმონიევიჩის წინააღმდეგ საბრძოლებელად ქართველ ბატონიშვილს 8 ათასამდე მებრძოლი შეუგროვედა.

26 ნოემბერს სოფ. მანავთან ალექსანდრე ბატონიშვილის მრავალათასიანი შენაერთის ცხენოსნებმა შეუტიეს ობელიანისა და სიმონიევიჩის გაერთიანებულ კოლონას, მაგრამ დამარცხდნენ.

¹ ხცხა, ფ. 16, ად. 1. ს. 373. გვ. 1-8. ქხ. ფ. Hd. ს. 9025. როგორც ამავე სიებიდან ირკვევა, სიღნომონ და პეტრე (მას ჰქონია ვერცხლის ხმალი წარწერით: “მამაცობისათვის”) ავალიშვილებს მართლაც დაუდგათ თავი მამულისა და ალექსანდრეს სიყვარულისათვის. ისინი 1813 წელს რეპრესირებულთა რიგებში აღმოჩნდნენ.

² ხცხა, ფ. 16, საქ. 1474, ფ. 5.

მათ უკან დაიხიებს. მხედრუბი დადგეხტნელი აღმართებული სარდლობით მდინარე იორქ დაუკვნენ, ქვეითნი ვალისციხისა და გავაზისაკენ გაემართნენ. გზაში მათ შემოეწეხათ ტიხანოვების რაზმი.

აქედან აჯანყებულები პარტიზანული ბრძოლის გზას დააგნენ, ეს იყო მათი მეთაურის ალექსანდრე ბატონიშვილის სამხედრო დონისძიება მრმოლის გასახანგრძლივებლად და წარმატებათა მოსაპოვებლად.

ალექსანდრე ბატონიშვილი კისისხევით გაეშურა გომბორის მთისაკენ. სარდალმა შეიტყო თიანეთისაკენ ალექსანდრეს წასვლა.

რუსთა ჯარმა დაიწყო ფასანაურისა და სხვა პოსტების გამაგრება; მაგრამ მალე ზამთარმაც მოუსწრო.¹

მამაცმა, სტრატეგმა ალექსანდრე ერეკლეს ძემ ეს პერიოდი ძალთა გამრავლების, განმტკიცებისა და მტერზე მორიგი შეტევის მოსამზადებლად გამოიყენა.

აქვე შეგვიძლია დაესმიოთ, ახლადგამოვლენილი დოკუმენტის საფუძველზე ირკვევა ეროვნულ უმცირესობათა ერთი ნაწილის დამოკიდებულება ასეთ მძლავრ სახალხო მოძრაობისადმი.

თელაველი სიმხების სახით, დუქანოზმა ტერბალდასარ სარქისოვმა. ტერ არუთინივმა და სხვა, არ დაახანეს და 1812 წლის ივნისში წერილით მიმართეს მთავარმართებელს: „... ოდესი იწყო უგუნურმან ფიქრმან კახეთისა ერთამან და აღშევოთდნენ...”

მათ სიტყვებს აქ აღარ განვაგრძობთ, რადგან გამოთქმული აზრი ნათლად გამოხატავს სახალხო აჯანყებისადმი გრიგორიანული აღმსარებლობის მწევმსთა აზრს.²

გრძნობდა ოა, რუსეთის ტიტანურ სიმძლავრეს, ალექსანდრე ბატონიშვილი ურთხილად ეკიდებოდა მასთან ურთიერთობის საკითხს, ცდილობდა იმპერატორ ალექსანდრეს ეცნო 1783 წლის ხელშეკრულებით რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებანი. ამავე დროს რამდენიმე მძლავრ ქვეყანას შორის ლავირების რთულ პოლიტიკას ადგა და ყოველ შესაძლებლობას იყნებდა თავისი სანუკვარი მიზნის, საქართველოს სახელმწიფო გრიგორიანული აღდგენის განხორციელებისათვის.

¹ В. Потто, История 44-го Драгунского Нижегородского полка. т. III, СПБ 1893, с. 115.

² სცხსა, ფ. 2. ა. 1. 318. ფ. 56.

ალექსანდრე ბატონიშვილი კავკასიის მთიანეთში.

ქახეთში მძღვანელობის მინელების დროს ალექსანდრე ბატონიშვილმა თანამებრძოლთა გუნდის ნაწილი ხუდაღების მეთაურობით სპარსეთს გაგზავნა უცხოეთიდან პოლიტიკურ-დიპლომატიური თუ სამხედრო მხარდაჭერის საძიებლად, ხოლო თავად, ამ დიდი მოძრაობის ორგანიზაციონი და ბრძოლების გმირი შემცირებული რაზმებით თიანე-თისაკენ გაფმართა.

თანამედროვე მეცნიერება კარგად უნდა გაიაზროს ეს მხარე: “ეს თიანეთი, - აღნიშნავს 1832 წლის შექმულების ერთ-ერთი სულისხმადგმელი აღ. ორბელიანი, - ასეთი ადგილია, მართლაც შესაფერი ერთპირობის აღრეულობისათვის. შავი ზღუიდგან მოკიდებული კასპიის ზღუამდისინ, რომელსაცა მარჯვნივ მომხრეთა აქესთ მთელი მაჯვენა მხარე კავკაზია და მთელი ქართლი, იმერეთით. მარცხენა მხარეს მთელი დაღისტნის კავკაზია და მთელი კახეთი, მთელი სახანოებით: თვითონ მიმჯდარი კავკაზიის ძირში, რომელსაცა აქეთ-იქით მომხრეთა ჸევს მარჯვნივ კავკაზიის მთიულეთი ოსებითა და მარცხნივ კავკაზიის ხევსურ-თუშეთი, რომელიცა ეს თიანეთი გაღმოყენების თბილის, კითა ზევითუანა სიმორით ერთ ლლის სავალზე და ხომხითის არარატსაც გელსა ვითა აწევდის პირისპირა.

ქართველებისაგან ამორჩეული აღილი, მართლაც დიდი პლანი არის ამისთუის რომ აქ რაც მოგხსენეთ ეს ქვეყნები; მაშინდელი იმ ქართველების განზრახეთ სულ ერთიან ამ ქვეუნებში აღრეულობა უნდა მომხდარიყო.

მთელი თიანეთი აპრიალდა; ეს აპრიალებული ხალხი კახეთში გავიდა და კახეთი ამათთან ერთად აპრიალდნენ...”¹

რა მიზნით მიმართა ამ დაუდალავმა, შეუდრევებელმა მოღვაწემ კავკასიის მთიანეთის, სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ნათლად წარმოჩნდილი არ არის, თუმცა ალექსანდრე ბატონიშვილის ამ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ აღგიღებში ბრძოლა-მოღვაწეობის ცალკეულ ფაქტებს მრავალი მეცნიერი ეხება.

ალექსანდრე ბატონიშვილის მეტად მრავალმხრივ საქმიანობის ამ მნიშვნელოვანი პერიოდის შეუსწავლელობამ გვიკარნახა

¹ ქ. ხი. ფ. 8, ხაბ. №1656^ბ, გვ. 19.

შექხებოდით მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შემდგრებელი საინტერესო საკითხებს.¹

2002 წელს დაბეჭდილ აღნიშნულ ნაშრომში არ მოგვიხერხდა იმის ჯეროვნად აღნიშვნა, რომ სამშობლოს გათავისუფლებისათვის მუხლისაუხერელად მოღვაწე ალექსანდრე ბატონიშვილი კავკასია-მახლობელ აღმოსავლეთში, მაშინ სწრაფი ცვალებადი სიტუაციების მიუხედავად, კავკასიის მთიანეთში მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით იღწვოდა, ენერგიულად იბრძოდა საქართველოს სახელმწიფო ებრიობითი აღდგენის დიდი გეგმის ხორცშესასხმელად.

ნიშანდობლივია, რომ 1812 წელს სამშობლოში მოსული ალექსანდრე ბატონიშვილი შედარებით მცირე რაზმით სექტემბრში პირველად თიანეთისაკენ გაემართა.

მნიშვნელი სათქმელია, რა ზრახვებით ხელმძღვანელობდა იმ დროს ბრძოლა-შეტაკებათა ეს გმირი ორგანიზატორი.

ცხადია, გამოცდილი მხედართმთავარი თავისი დიდი სტრატეგიული გეგმის მიხედვით მოქმედებდა, მაგრამ ასეთი მიზანდასახულობის წახნაგების კონკრეტულად მითითება დღესაც ჭირს.

ერთი ნათელია, რომ ალექსანდრე აღმოსავლეთ საქართველოში გამოწვეული მღელვარებით, აჯანყებულებზე გაავებულ ერთმორწმუნებულების მიზანდა ბრძოლაში ბედის ანაბარად არ დატოვებდა მეამბოხეებს.²

როგორც 1812 წლის 8 სექტემბერს თიანეთიდან გაგზავნილი წერილიდან ჩანს ბატონიშვილი გივი ნაცვლიშვილის მეოხებით გუდამაყრელებს აცნობდა კაცის გაგზავნას ფშავება და ხევსურეთს ჯარის შესაძრებად. ასეთი მაგალითის შემდეგ ალექსანდრე ტაქტიკანად მიმართავდა გუდამაყრელებს შეკრძილიყვნენ და ბულაჩურს დამდგარიყვნენ.³

კარგად მოუკირებული და ლიდი გულისხმიერებით შედგენილი წერილით მიმართა მან 1812 წლის 7 სექტემბერს გაბრიელ ყაზბეგს და მოუწოდა თიანეთს მისულიყო.

სხვადასხვა მხარეში ძალების შეკრებასთან ერთად დიდი ქართველი მოღვაწის ჩანაფიქრი საოკუპაციო ჯარებზე მოულოდნელ, ერთდროულ იერიშებს ითვალისწინებდა,⁴ რომ ჩვენს სამ-

¹ ვ. სუხიტაშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი იმიერკავკასიაში. ქრ. „მესხეთი“, V, თბ. 2002.

² იხ. ალ. ორბელიანი, მამინემისაგან დალატი მეფის ირაკლისა, ქხი, ვ. S, საბ №1652. გვ. 16-20.

³ ქხი, ფ. Hd, საბ. № 14400.

⁴ ვ. სუხიტაშვილი, დახ. ნაშ. გვ. 55-56.

შობლოში გაბატონებისათვის მოწადინებულ მჩერს არასამისითვის ცემოდა შესაძლებლობა და რაზმები პირველსავე შეტაკებაში მოსპობილიყო.

ამის გამო იუთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი მაშინ ენერგიულად იღწვოდა ჩანაფიქრის გასაღრმავებლად და გასაფართვებლად.

მამაცი და ერთგული თავისი თანამებრძოლების მეშვეობით ეს ჰერს-მჭერის მამულიშვილი ქართლში, ოსეთში, დაღესტანში, კაზახში სააგიტაციო სამუშაოებს აფართოვდა.

როგორც ირკვევა, მრავალ ენაზე შექმნილი მოწოდებების აღმნუსებნელნი ასეთ დოკუმენტებს დროულად სრულყოფდნენ.

სამშობლოს დაცვის კეთილშობილური, ღრმა იდეების გამომხატველი მოწოდებები ოსტატ წამყითხეველთა¹ მგზნებარებით ხათვემ ადგილებში – საფინენოებში, თუ ცალკეულ ოჯახებში შეკრებილთა გონება-გულებს ხედებოდა და საბრძოლოდ აღანთებდა, ეს ეხება არა მარტო არაგვის ხეობის, არამედ კავკასიის ვრცელი მთიანეთის, ალაზან-მტკვრისა და სხვა ხეობებში მცხოვრებთ, რომელთაც ალექსანდრე აცხობდა რუსთა საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ არა მარტო ქართველთა გმირულ თავგამოღებას, არამედ ირანის შაპის, ოსმალეთის სულთნის და გამოჩენილი სპარსელ-ოსმალო სარდლების მეთაურობით ჯარების საქართველოსთან მოახლოებას.

გმირი მეფის, ერეკლე II-ის სახელოვანი მემკვიდრის კუველი განცხადება კავკასიის მგვიდრო არ აყვებდათ, რადგან საქმაო დრო გავიდა იმისათვის, რომ დიდი ბრძოლების გმირად აღიარებულ ალექსანდრე ბატონიშვილში მათ დაენახათ ახალი უებრომებისართველოსთან მოახლოებას.

ქართველი ბატონიშვილი არა მარტო ბრწყინვალე პოლიტიკოსი იუთ, არამედ შესანიშნავი სამხედრო სტრატეგი, ორგანიზატორი, რაც ნათლად მედავნებოდა მხედართა გუნდების სამოყალიბებაში. შეკრებილი ჯარი რომ ალექსანდრემ რაზმებად - ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად დაჟყო, მათ სათავეში ბრძოლაში გამოცდილი მეთაურები ჩაუყენა და საბრძოლველად შემართულებს სხვადასხვა დავალებათა შესასრულებლად წარუქდვა, მეტავალებს მის დიდ სამხედრო ნიჭებს.

მცირე ჯგუფებად და მრავალრიცხოვან მებრძოლთა რაზმებად დაყოფილთა საერთო მიზანი მტრის ბანაკებში შეღწევასა და მათ გასანადგურებლად კონკრეტულ ამოცანა-დავალებათა შესრულებაში მდგომარეობდა.

¹ ვ. სუხიტაშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობიდან ქ. "კავკასიის მაცნე", თბ., 2004, №9. გვ. 84.

როგორც აღვინიშნეთ, ასეთი თრგანიზაციით აღქმასხდნენ უკურობოს ჯარი სახალხო მოძრაობის იმ დროს კველაზე უფრო დაძაბულ აღგილებიში მტკრზე საარაკო გამარჯვებას იმკიდა. სხვადასხვა მიზეზთა გამო კარგად შეიარაღებულ რეგულარულ ჯარებთან ხასგრილივი ბრძოლა ახლად წამოყალიბებულ რაზმებს თანხათან გაუტკირდათ.

სახალხო მდელგარების შენელებით და ჯარების ხანმოკლე შესვენებით მეამბოხე სულისკვეთების მქონე ბატონიშვილმა აღქმასანდრემ თხრატურად ისარგებლა და შეთხელებული რაზმების გადასახალისებლად და ძალების მოსაკრებად ზამთრის პირზე კვლავ მთიანეთს მიაშურა.¹

თიანელები, გუდამაყრელები, ფშავლები, ხანდოსხველები, ხევსურები, მოხევები, თაგატურელები, ქიხტები, ხანჩები და მთის სხვა მცხოვრები ლიდებით, მოწიწებით შეხვდნენ მებრძოლ ბატონიშვილსა და მის მამაც მხედრებს.

საქართველოში არსებული საოკუპაციო რეეიმის მოხელენი, სამხედრონი და უფრო შორს მუოფი უცხოელები უურადღებას არ ადუნებდნენ აღქმასანდრე ბატონიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯებისადმი. კველას სურდა გაეგო, რას მოიმოქმედებდა, ბრძოლის რა გეგმას შესთავაზებდა იგი თავის სამშობლოს დამჟყრობლებს. მათ ასეთ დიდ ინტერესს ქართველი მამაცი სარდლისადმი ვერ ანელებდა რუსეთში ნაპოლეონის უდიდესი არმიის წარმატებები და სამყაროს სხვა კუთხეებში მიმდინარე მძაფრი მოვლენებიც.

კავკასიაში რუსთა სარდლობისათვის არც ისე ადვიდი იყო აღქმასანდრეს გეგმებში გარკვევა, თუმცა საამისოდ შექმნილი აგენტურის ქსელის მეშევრიბით მათ მრავლად იგდეს ხელო ქართველი მოღვაწის წერილები და სხვა მამხილებელი ცნობებიც დროულად შეერიდეს.

უაჭველი იყო, რომ ქვეყნის გათავისუფლებისათვის ბრძოლების განახლება სახალხო გმირს მწვერვალებით შემოჯარულ მიუღიომელ აღგილებიში გამოზამთრების შემდეგ პქონდა გადაწყვეტილი.

ფშავ-ხევსურეთს იგი მომავალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოსამზადებელ აღგილად იყენებდა.

ამ კუთხეების სხვადასხვა უბნებში განუწყვეტლივ იგზავნუბოდნენ მოციქულები აღქმასანდრე ბატონიშვილის წერილებითა და მოწოდებებით. მოუხელოთებელი გმირის გამტანი, სტუმართმოუვარე მთიელებში ყოფნა მოხვენებას უკარგავდა სამხარეო ხელისუფლების მესვეურებსა და თავიანთი უმწეობის

¹ Н. Дубровин, История войны... т. VI, с. 68-69.

გახამართლებლად იმპერატორისათვის გახაგზავნ დოკუმენტებში
 შეუგნებლად აღწერდნენ ლაბეზღვება-მლიქნელობა-შეთქმულების
 უსირცხვილოდ განხორციელებულ დასაგმობ ფაქტებს.¹

ნანს, მთიულებზე განხატუთრებულ კეთილ გავლენას ახდენდა
 ქართველი ბატონიშვილის მოწოდებები, რომელთაც ისინი თავი-
 ანთ საბრძოლო პროგრამად თვლილნენ. ზედიზედ აწყობდნენ დი-
 ვერსიებს როგორც სამხედრო გზაზე, ისე მრავალ ხეობაში.

“ხევსურეთის გაგზავნილ დამბეზღებულთაგან მიღებული ცნო-
 ბებით დავრწმუნდი, - სწერდა ნ. რტიშევი იპერატორს, - რომ
 მთიულებში სულ უფრო დეივლება ჩვენი საწინააღმდეგო მო-
 ქმედება, მეორეს მხრივ, დაპატიმრებული ჯაშუშებისა და მათთ-
 ვის სამორთმეული მღელვარებისაკენ მომწოდებელი წერილე-
 ბიდან, რომელთა ორიგინალებსა და თარგმანებს ამასთანავე
 გიგზავნით, რათა დარწმუნდეთ, რა წილი უდევს ხელისუფლებას
 აღექსანდრე ბატონიშვილის ბოროტ გეგმებში - დავადგინეთ
 თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობის ჯარები შევიყვანო
 ხევსურეთში, ამით საშუალებას მოვუსპობთ ბატონიშვილს გა-
 ნაახლოს წინააღმდეგობა და ხელთ ვიგდებთ ან განვდევნით
 ხევსურეთიდან, დავკარგავთ საქართველოდან რამდენად ძირად
 არ უნდა დაგვიჯდეთ ეს. ხევსურები უკელა მთიულის სა-
 მაგალითოდ უნდა დაისაჯონ, რომ ამით აღვაკეთოთ მათი
 ბოროტი შეთქმულება მტკიცე ღონისძიებათა გაუტარებდლად...
 საბოლოოდ ნავშლით ბატონიშვილის კავშირს სპარეთან”².

კავკასიის ჯარების მთავარსარდალი ხალხში მღელვარების
 გაღვივებაში მთლიანად აღექსანდრეს ადანაშაულებდა. მის მი-
 მართ გატარებულ და გასატარებელ ღონისძიებებს ურცხვად
 ამართლებდა.

ხევსურეთის გარშემო ასეთი მიზნით მძღვავრი რკალის შე-
 მორტყმის მიუხედავად თავის ძალებში დარწმუნებული აღექსან-
 დრე წერილებით, ელჩებითა და სხვა საშუალებებით იმედიანად
 მოუწოდებდა აჯანყებისათვის კავკასიის მთიანეთის სხვადასხვა
 კუთხეში მოსახლეთ და ერთგულება-თანამეგობრობაში გა-
 მოცდილ მთიულებთან კავშირს კიდევ უფრო აღრმავებდა.

1812 წლის მიწურულს უკანა ფშავში მუფუი აღექსანდრე ბა-
 ტონიშვილი არღუნის ხეობის გავლით შაღილს მივიღა გამო-
 საზამთრებლად. იგი ბობდია ჭინჭარაულის სახლში მიუწვევიათ
 საცხოვრებლად.

¹ Акты, т. V, с. 363.

² Там же, с.395.

ხევსურეთს კოფნის პერიოდი ამ მოღვაწეს გამოუკენების განმათავისუფლებელი ომის იდენტის ფართოდ გასაკრცელებლად და სხვადასხვა კუთხის ხალხის ხაბრძოლოდ დასარაზმავად.

ჯერ კიდევ 4 დეკემბერს ანანურიდან და თბილისიდან ნიუჟ-გოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურმა გენერალმა სტალმა მიიღო ალექსანდრეს თიანეთისაკენ მოძრაობის ცნობა. შემდეგ მისთვის მოწოდებული ინფორმაციით მანვე გაიგო ქართველი ბატონიშვილის შადილს მისვლისა და მისგან გადადგმული პირველი სააგიტაციო ნაბიჯების შესახებ. სხვადასხვა გზით შეერთვილი ასეთი ცნობები რუსმა გენერალმა დროულად შეატყობინა მთავარსარდალ ნ. რტიშვილს.

ფართო საზოგადოებისათვის კარგად არიან ცნობილნი მთის თავისუფალი შვილები - ხევსურები, დიდ სიმაღლებზე განფენილი მათი საცხოვრებლები, ციხე-სიმაგრეები.

რუსმა მოხელეებმა, სამხედრო პირებმა, წელილი შეტანეს კავკასიის მთიანეთის ამ ნაწილზე ლეგენდების გავრცელებაში. მიუვალობის შარავანდედში გახვის პირიქითა და პირაქეთი ხევსურეთის სამომავლოდ მათვის დასაპურობი მხარეები. “მთელს კავკასიაში არ არის ამაზე უფრო მკაცრი და მიუვალი, - წერდა სამხედრო ისტორიკოსი ვ. პოტი,¹ - ცამდე აწვდილი გრანიტის ქლდეები, ცაცხვის უღრანი ტყეები, უძირო უფსერულები და მუდმივი თოვლით შემოზღუდული გაუვალი ხეობები, რომლებშიაც არ აღწევს მზის სხივიც. ამ მხარის მკეთრობი, - დასტენდა იგი, - საუკუნეების მანძილზე არ პქონდათ საისტორიო მოვლენები და პროგრესი. ისინი ცხოვრობდნენ საზოგადოებრივი წერის, საყოფაცხოვრებო პირობების, ტან-საცმლისა და შეიარაღების შეუცვლელად”.

რუსმა მექლევარებმა საქართველოს სამეცნიერო გმირ ხევსურთა როლზეც მიუთითეს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ გარკვეული შედაგათებისა და ჯილდოს ფასად ხევსურებს ევალებოდათ კავკასიის ვიწრო გადმოსახლელების დაცვა - ქისტების, ჩანანთა, ლექთა და სხვათა შემოჭრისაგან.²

კავკასიის მთიელების მისამხრობად აქტიურად იღწვოდნენ სპარსელები. მათთან ერთად და დამოუკიდებლად ალექსანდრე ბატონიშვილი მთაში მოწოდებით გზავნიდა თავის თანამებრძოლებს.³

¹ В. Потто, История... т. II. с. 116-117.

² Н. Аносов, Утверждение... т. II. с. 405.

³ Акты, т. V. с. 699.

მავალი ძლიერი შემთხვევის დროსაც მწრებს ხევსურდობაშე არ მოუღწევიათ. მაღალ მოქმედი და მიუვალ კლდე-დრეების დახ-აპყრობად ბევრი ერიდებოდა.

ბატონიშვილი მომავლის ნათელი იმედით აღსავს ერწოდებას უგზავნიდა ფშავლებს თავისი ერთგული თანამებრძოლების მეშვეობით.¹ ხევსურეთში მყოფი ბატონიშვილი არ წევეტდა კუთხეთა შეკავშირებისათვის ენერგიულ მოღვაწეობასა და მოწინააღმდეგე ძალასთან დიპლომატიურ ბრძოლა-ჭიდილს. 1813 წლის აღრე გაზაფხულზე, ჯერ კიდევ შატილის დანგრევამდე ამ ტრაგედიის ერთ-ერთ ორგანიზატორს, დიმიტრი ორბელიანს ბატონიშვილი ცინიზმითა და მეფეური ტონით სავს წერილს უგზავნიდა: “თქვენ მიერ წერილი მომიერიდა, მაგრამ აღრინდელი სიტყოთ არ ჰქონდა, - წერდა ალექსანდრე, - თქვენ უარესს გვიშვრუბით, ყოველგან კაცნი გყვანან შემოყენებულნი. თუ თქვენ ისაქმებთ, მეც თქვენგან ვისწავლი ამისთვის, რომ კანონი ყოფილა; მერწმუნე, რაც ვაჩნაძისა და ზაქარიას პირით მომისხენებია, წერილით, სწორე ეგ არის; გოგო-ბიჭებს უჯერებო, და რა ვქნა, ხემი ეხენი არიან, კონეარტის ვინ მომცემს მრჩეველად...”²

რუსების მხარდაჭერით დაიმედებული. ჩინ-ორდენთა მაძიებელი ყოფილობინა დიმიტრი ორბელიანი ერკალეს ძის ამ კაცრ მითითებებზე საკმაოდ თავხედურ პასუხს იძლეოდა: “... მოხვალ, კარგი და პატიოსანი. წამოდი, ფშავს გადმოდი ხახასას და შემატებინე და მოგიყვან ჩემთან და ორგორც მომიწერია, ყოველს შენს საქმეს ისე დავვლოდები. და თუ არ მოხვალ და ნება შენია, ამ ცოტას ხანში მე მოვალ შენდა და გარდაწყვეტილი ეს არის.”³

კაკეკასიის მთიანეთში ახალი საბრძოლო მოქმედებების მოსამაღალებლად ასული ალექსანდრე ნაძლევილად არ ყიქრობდა ტყვევა დაბარებოდა რუსულ ხელისუფლებას და მის დამქაშთა წინააღმდეგ მომავალ დაპირისპირებაში სასურველ გამარჯვებას გეგმავდა.

რუსული ხელისუფლება განუწყვეტლივ ადევნებდა თვალს ქართველი ბატონიშვილის მოქმედებას და დროულად ცდილობდა ფშავ-ხევსურეთის გზის ჩაკეტვას.

საოცუპაციო რეეიმის მოხელეებმა ამ მიზნით ჩაიფიქრეს მზაკვრული გეგმა და ფშავლების საქონელი დაიჭირეს.⁴ ამით სასოწარეკეთაში ჩავარდნილი ფშავლები შედრკენ.

¹ ვ. სუხიტაშვილი, დას. ნაშ. გვ. 85-84. შდრ. ქხი. ფ. Hd, საბ. № 5692.

² ხცხსა, ფ. 1448, აღ. I, საბ. № 9390.

³ ხცხსა, ფ. 1449, აღ. I, საბ. № 1373.

⁴ ქავეკასიის მთავარმართებლმა აღრე გახცა ბრძანება დაეკავებინათ საძოვარზე მყოფი ფშაველთა 40 ათასი ხული პირუბული. აღმევე



ფშაველი დეკანოზებისა და ხეჭისბერებისადმი გულწერებისადმი აღექსანდრე ბატონიშვილის წერილები ამიერიდან წინანდებურად ვერ იპყრობდნენ ფშაველთა გულებს. ასეთმა მდგომარეობამ გაელენა იქონია მის გეგმებზე. ამიერიდან ფშავლები ერთობლივად ვერ გამოვიდნენ მტრის ჯარებისათვის ზურგში მას-ვილის ჩასაცემად.

სამშობლოს ერთიანობისათვის კაგაასის მთიელთა, ფშაველთა გამოთიშვას აუნაზღაურებელი ზარალი მოჰქონდა.

სხვა იყო ხევსურთა პოზიცია.

ხევსურეთში ლაშქრობის გეგმის შემუშავებისას რუსეთის ხელისუფლებამ უურადღება მიაქცია ფშაველთა მდგომარეობას.

საქმარისია იმის აღნიშვნა, რომ კახეთიდან ფშავის გაელით ხევსურეთში მრავალი გზა გაღიოდა. რუსთა საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ ფშავთა და ხევსურთა გაერთიანებულ ბრძოლებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღექსანდრე ბატონიშვილი.

ამ მოხერხებულ ადგილზე რუსების გამარჯვების უმთავრეს პირობად მას საქართველოსა და მის მოკავშირეთა ერთიანი ფრონტი ეგულებოდა.

ამ მიზნით განმსჭვალული ბატონიშვილი ადრევე იღვწოდა უპირველესად მთიელთა დასარაზმავად და მოწოდებებს აგზავნიდა ხევსურთა და მათთან დაკავშირებულ სხვა მთიელებისთვის.

1813 წელს აღექსანდრე ბატონიშვილი სწერდა დეკანოზ გამიხარდი მისრაშვილს: „ქრისტე! მეფის ძე აღექსანდრე მმურის სიყვარულით მოგიქითხავ თამარ დედოფლის საფლავის დეკანოზო გამიხარდი. მერმე შენი

დიდათ ერთგულობა გვესმის და გიმადლით ღ[მრ]თის მოწყალებით ჩუენგან მაგიერს წყალობას მიიღებ. ახლა, რას წამს ეს წიგნი მოგივიდეს, მაშივე ხევსურეთსა და შადილელთ წიგნი უნდა შენ წაიღო და ერთი წამკითხავი უნდა იშოვნო და თან წაიყვანო, რომ ეს წიგნები წაიკითხოს. დიდათ მაღრიველნი ვართ შადილელთა და იმედიც დაუდო, რომ ჩუენგან დიდს წელობას მიიღებენ.“¹

ფშავიდან გზების გაღაერებულის შემდეგ გენერალმა რტიშჩევმა ახლად შედგენილი ძლიერი რაზმი საგანგებო დავალებით გაგზავნა მდინარე არღუნისაკენ, შადილში ჩრდილოეთიდან მომავალი გზის ხელში ჩასაგდებად.

ხევსურეთში შესაჭრელად გამზადებული რუსეთის არმიიდან შერჩევით გამოკრებილი ოთხი ბატალიონი მიზნად ისახავდა

გააფრთხილა შესაბამისი დაწესებულებები ფშავლებზე არ გაეცათ ქომერციული საქმიანობით მიღებული თანხა ან შენახული დანაზოგები.

¹ გხიემ, საბ. № 1950.

კავკასიონის ამ უძალეს აღგოლებში მცხოვრებ გმირთა შემადგენლობა, კოველმხრივ შევიწროებას.¹

დაბეგმილი ექსპედიციის მთავარსარდლობა მიენდო გენერალ-გუბერნატორ სიმონოვის.²

მთავარმართებელმა წინასწარ მიმართა მთიელებს, ერთის მხრივ იმ მიზნით, რომ დაეშინებინა ისინი, მეორეს მხრივ, ემხილებინა ირანელთა მუხთლობა ალექსანდრე ბატონიშვილის დაფინანსებისათვის; რუსეთის სამხარეო ხელისუფლების მეთაურს მიაჩნდა, რომ ქართველმა ბატონიშვილმა თითქოს ამით მოიპოვა გავლენა იმ ხალხში, რომელთაც მხოლოდ ოქრო და ვერაგობა სწამო.³

მამაცმა ხევსურებმა და მათთან მყოფმა მოქავშირეებმა უძალეს უარყვეს შემოთავაზება და ასეთი დამამდაბლებელი ქმედების ნაცვლად სამშობლოსათვის სახელოვან სიკვდილს აღუთქამდნენ.

1813 წლის 1 აპრილს ასე მიმართავდა ოსების თავკაცებს მათი მმისა და ბიძაშეილის, უცის ხელით გაგზავნილი წერილით ქართველი ბატონიშვილი: “სიყვარულით მოგიყითხავ მასურის შვილო ქელებსან და დუდარ. მერმეთ ამას წინათაც მოგწერეთ მზევლების საქმეზედ წიგნი და ახლაც ეს არის, რომ ჩუქის გულისთვის თქუენ ქურთაულებსაც და ქისტებსაც მზევლები უნდა მისცეთ. ... ახლა როგორც თქუენი იმედი გვაქქს, ისე ერთგულად და ბეჯითად მოიქცით, რომ ერთმანეთის ზავი გქონდესთ და მისვლა-მოსვლა.”⁴

მკაცრი ზამთრის პირობებშიაც ეს მამაცი მორბედები და ალექსანდრე ბატონიშვილის წარგზავნილი ელჩები დროულად უკავშირდებოდნენ ლექებს, ოსებს, ქისტებს, ყაბარდოელებს, ჩანქებსა და სხვებს., მოუწოდებდნენ მათ შეკავშირებული ძალით შეეტიათ რუსი იმპერატორის ჯარების წინააღმდეგ. გაზაფხულის დადგომისთანავე გამოსულიყვნენ ხეობებიდან, მოესპონ უცხოელთაგან ამ მხარეში მოწყობილი საგუშაგოები და ურთიერთკავშირის შემაფერხებელი სხვა ზღუდები.

¹ В. Потто, указ. соч. с. 117.

² გენ. სიმონოვის უფლება მიეცა ხევსურებისათვის მიემართა ალექსანდრე ბატონიშვილის გაცემის წინადაღებით. ხელისუფლების ასეთი მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში მათ ეპატიებოდათ მთავრობის საწინააღმდეგოდ მანამდე ჩადენილი ქმედებანი. (Н. Аносов, указ. соч. с. 410.)

³ Н. Аносов, указ. соч. с. 410.

⁴ ქხი, ფ. Hd. საბ. № 9259.

ასეთი გამარჯვებისთანავე შეკრებილიყვნენ და ერთხმად ფულ აერჩიათ მოწვეული ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც საქართველოს ტახტის დაუფლებაში ეხმარებოდნენ: ირანის შაში, ოსმალეთის სულთანი, ინგლისი, საფრანგეთი; თანაც შეახეს წებდნენ, რომ ნაპოლეონის გამარჯვების შედევრად რუსეთის შუაგულში შექრიდი საფრანგეთის ჯარების გამო რუსეთის იმპერატორს ამიერიდან მაღა აღარ შესწევდა კავკასიის ხალხთა თავისუფლების აღსაკვეთად.

რუს მექლევართა და სამხედრო მოღვაწეთა ცნობით ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, რუსთა მრავალ-რიცხოვანი კარგად შეიძირადებული ძალების წინაღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ ხევსურეთის ოცდაორი სოფლისა და ქისტეთის ცხრა სოფლის მევიდრნი.

1813 წლის გაზაფხულზე რუსელი ჯარის რვაასკაციანი კოლონები ხევსურეთისაკენ დაიძრნენ.¹

30 მაისს რუსთა ჯარების ასეთმა სამმა კოლონამ ხევსურეთში მოიყარა თავი. მაშინ ალექსანდრე ბატონიშვილმა ენერგიული ღონისძიებები სწრაფად განახორციელდა.

ზოგი სამხედრო ისტორიკოსი მიუთითებს შეარაღებაში ხევსურების უპირატესობას. ასეთი აზრის გაზიარება შეუძლებულია. ძევლებურ ჯავშან-ჯაჭვებით ტრადიციულად მორთული ხევსურები და მათი მოკავშირები ძირითადად ხმლის იმედით მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ რუსთა ხიშტებმა და საარტილერიო ცეცხლმა მათ ჯავშანი თანდათან ჩაუდენეს. თუმცა, გაშმაგბული ხევსურების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შიშის ზარდაცემული რუსი ჯარისკაცების მნახველი მეფის ისტორიკოსები შემდგომში აღნიშნავდნენ: “მათი (ხევსურთა - ვ. ს.) ხმლები ისე სჭრიდნენ ხიშტებს, როგორც ფიჩეს-ო.”

აგრესორთა მემატიანენი რუსი სამხედრო მკვლევარები ამ ბრძოლებში გმირობის მრავალ მაგალითს აღწერდნენ. თვით გენერალი რტიშვილი საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ამაოხრებელი ფუნქციონერი, ქვდმაღლურად იკვეხნიდა: “უდიდესი მოვალეობა დამექისრა, რომ საქართველოსათვის მომეტანა სიმშევი და კეთილდღეობა.

¹ პირველი კოლონა გენ. სიმონივიჩის სარდლობით გაემართა ახმეტიდან პანკისის გზით -- წოვა-თუშების საზოგადოებაზე გავლით, მეორე კოლონა პოლკოვნიკ გიხონოვეს სარდლობით თიანეთიდან ფშავისაკენ მიმავალ გზას დაადგა ხახმატის დასაკავებლად. ფასანაურიდან გასული მესამე რაზმი გენ. სტალის მეთაურობით ხახმატში უნდა შეერთებოდა თიანეთიდან წამოსულ ბატალიონს. სტეფანწმინდიდან ხევსურეთისაკენ დაძრულ მეოთხე ათასეულს კი მოუძღვოდა პოლკოვნიკი გ. ყაზბეგი. (H. Аносов, უკ. соч. с. 414.)

დამწერეთ დიდი ლაშტონბა ხევსურებისა და ქიხტების წინადაღისათვეზე
რომელის მაგალითი ამ ჭეკანამ არ იცის.

სამწუხაროდ, ქართველთაგან ეს ომი აღწერილი არ არის, მა-
გრამ რეს მოხელეთაგან შექმნილ ღოკუმენტებში ქართველთა
გმირობა-თავდადების მრავალი ფაქტია აღძებული.

გენ. სტალის მებრძოლებმა მრავალი სოფელი სწრაფი იერ-
იშით აიღეს. ალექსანდრე ბატონიშვილი ცდილობდა მტრის
ძალები გუროს ვიწრო ხეობაში მოექცია და ამით აეცდინა დიდი
დანაკლისი.

ხევსურეთის შეაგულში არც თუ ისე დიდი, კარგად გამაგრუ-
ბული დასახლება-შატილი დიდხანს რჩებოდა მტერთაგან მიუ-
ვალი. მამა-პაპათა მსგავსად, შადილელები გმირულად იბრძოდ-
ნენ. ერთგულება-მამაცობას წვეული მთიელები სასწაულებს
ახდენდნენ. მათ მრავალჯერ უკუაგდეს იმ დროისათვის უახლესი
ტექნიკით კარგად შეიარაღებული, ურიცხვი გაავებული მტრის
შემოტევები.

შადილის ორასი მევიდრის გმირობა განსაციიფრებელი იყო.
ენით გამოუთქმელი გამბედაობა-სიმამაცით იცავდნენ ისინი
სამკიდრო სამშობლოში თავანთი ლამაზი ბუდის თითოეულ
გოჯ მიწასა და სახლ-ქარს.

მებრძოლი სულის მთიელთა ამ მთავარი დასაყრდენის ძნე-
ლად მოსახელთებელი, საუკუნეების განმავლობაში ხევსურთა
უერთგულები დარაჯის ბედი სამწუხაროდ, მალე გადაწყდა 1813
წლის 3 ივნისს.¹

მთელი ბრძოლებისა და, განსაკუთრებით, შადილის უთანას-
წორო შეტაცებამ თითოეულ ხევსურს გმირული სული შთაბერა.

საოცარი გამბედაობა, უტეხი ნებისყოფა მიანიჭა იმის სამო-
ქმედოდ, რომ ქართველი ხალხისათვის თავისუფლებისა და მშეი-
ლობის წარმტაცებელ, მუხთალ აგრესორთა რაც შეიძლება მეტი
მომხდეული რაზმი გაეწყვიტათ. უცხოელი სამხედრო მოღვაწენი
იძულებული შეიქნენ ელიარებინათ ხევსურეთში ქართველთა ეს
იგავმიუწვდომელი გმირობა-მამაცობა.²

ასეთი მძიმე ბრძოლაგადაგრანილი მთიელები დიდი ხნის შემ-
დეგაც ვერ ურიგდებოდნენ თავიანთი უძლიერესი და ულამაზესი
ქუთხის აოხრებას.

კავკასიის მთიანეთის გამორჩეულ სიმაგრეში – ხევსურეთში
ბატონიშვილის მეთაურობით სამშობლოს სასიკეთოდ ორგან-
იზებული და გადახდილი ეს საარაკო ბრძოლები ოქროს ასოებით

¹ ავ. აბესაძე, ალექსანდრე ბატონიშვილი. „სახალხო გაზეთი”, თბ., 1914. № 1139.

² Н. Аносов, указ. соч. с. 418-421. Зфр. В. Потто, указ. соч. с. 120.

ჩაეწერა ქართველთა დამოუკიდებლობისათვის მამაცუროს შემოქმნა
 თების ისტორიაში.

ამ კუთხის მქონედობმა გამბედაობა-თავდადებით გმირულად
 დაღვრილი სისხლით მორწყეს შმობლიური კერა და მისი შე-
 მოგარენი.

სამშობლოს საქართველოზე სასახელოდ შეწირული მსხვერ-
 პლი თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის თავდადების ახალ
 მაგალითს ქმნიდა და მომავლისთვისაც თაობიდან თაობას
 საამაყოდ გადაეცემოდა.

სამშობლოს თავისუფლებისათვის დიდი ომის ორგანიზა-
 ტორი, მრავალ ბრძოლა-შეტაკებაში ძლიერამოსილი სარდალი
 ალექსანდრე ბატონიშვილი ხევსურეთში სამშობლოს დაცვის მა-
 რადსახსოვარი გმირული ეპიზოდების შემოქმედ ხალხს დიდად
 ემადლიერებოდა. საქართველოსათვის ბრძოლების გასაგრძე-
 ლებლად ვითარების გაუარესების მიუხედავად, უშრეტი ენერგიის,
 მაღალი გონების ამ ძლიერი ნებისყოფის მოღვაწეს კავკასიონის
 მთიანეთის მქონერთა ასეთი თავდადება სტიმულს აძლევდა სამ-
 შობლოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებელი ომის გასაგრძე-
 ლებლად, ფართო ორგანიზატორული მუშაობის ჩასატარებლად,
 ისევ კავკასიის მთიანეთში ხევსურეთთან ახლოს თუ მისგან
 დაშორებით.

გამარჯვებულმა რუსულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ
 ბრძოლებში დამარცხებულ ქართველებზე რეპრესიები განაგრძო.
 ამბოხების მრავალი მოთავე და აქტიური მონაწილე გაასამართ-
 ლეს და ციმბირში სხვადასხვა ვალით გადასახლეს.¹ ზღავრ-
 დაუდებელმა ასეთმა ძალადობამ ვერ აღმოფხვრა ქართველებში
 მამულის სიყვარული და ვერ ჩაკლა მათში ქვეყნის დამოუკიდე-
 ბლობის მოსაპოვებლად ბრძოლის წესრევილი.

რუსთაგან თავდადწეული ალექსანდრე ერეკლეს ძე
 მამაცურად გადახდილი ბრძოლების აღგილს აღრე გაეცალა.

1813 წლის ივნისის დასაწყისში ალექსანდრე ქისტეთს
 გადავიდა.

შადილთან ბრძოლების შემდეგ გენ. სიმონოვიჩმა უბრძანა
 პოლკოვნიკ ტიხონოვსკის გაელაშქრა ქისტეთში. ქისტების დას-
 ჯის გარდა რუსი გენერალი იქ ალექსანდრე ბატონიშვილის
 შეკურობასაც ვარაუდობდა.²

წინდახედული ქართველი მხედართმთავარი ჩანს, აღრევე ვა-
 რაუდობდა რუსების გამოლაშქრებას და ამიტომ დროულად

¹ ხესხა, ფ. 16, აღ. I, ხაქ. 1787, ფ. 11.

² რუსთა დაზვერვის მონაცემებით, თითქოსდა, ქართველი ბატონიშვილი
 ქისტეთში იმაღებოდა (H. Аносов, указ. соч. с. 424).

გაშორდა მათ და ახალ, მოხერხებულ, სტრატეგიულ აღმოჩენას გადავიდა, სამხედრო გზას თავზე მოუქცა.

თაგაურსე¹ მუოფი ეს უკბრო ქართველი ხარდალი ვასილ გლურჯიძის ხელით გაგზავნილი ეპისტოლეთი მომმებს ამცნობდა მასთან ჩახან-ჩერქეზთა შემოკრებასა და დასძენდა: “ამ წიგნის წერაში რომ ვიყავით, დაღისტნიდამ კაცი და წიგნები მოგვივიდა, რომ ჯარები წამოსულა და ამორიოდეს დღეზე კიდევ ანბავს გაცოდინებთ.”²

ჩანს, ალექსანდრე ბატონიშვილს ქიხეთში დიდხანს არ დაუყვია, მალე გადასულა ყოისუბულელ ლეკებთან სოფელ უნცეკულში.³

საქართველოს დამოუკიდელობისათვის მებრძოლი ბატონიშვილის მოწოდებას დადესტნის სხვადასხვა თემის საზოგადოებანი მალე გამოეხმაურნებ. ალექსანდრე ერეკლეს ძის დროშასთან გაერთიანდა 6 ათასი მთიელი. ეს მრავალრიცხოვანი რაზმები ქართველ ბატონიშვილს მალე შილდისაკენ უნდა დაეძრა რუსთა ბანაცების გასანადგურებლად.

საინტერესო 1813 წლის 26 აგვისტოს ალექსანდრეს მოწოდება ერთობლივ ფშავის ხევისძერებისადმი, რომელთაც აქებდა შადილს ყოფნისას გაწეული დახმარებისათვის და ამცნობდა საბრძოლველად გამოსახვლელად მომზადებას: “...ესენის წიგნები მოგვივიდა, რომ განჯას მობრძანებულა. კნიაზი დაუჭერიათ და რაც იქ რუსი ყოფილა სულ გაუწყევებიათ. თქენთვისაც წეალობისა და ჯამაგირისა უბრძანებია. შავშადა ერევანს ფაშაზე მოვიდა. ერთი შავშადა მამალ-ალი-ხან შაქსა და შირვანში მოვიდა, თორმეტი ათასი კაცი ჭარის ძირში, ქიხიე რაც რუსი არის იმას გაუსიერ და ჩუმჩ მთელის დაღისტნის ჯარით ოთხ - პირად შილდას და ამ ძირთ ძაზე მთელი თ (ხაზგასმა წვენია - ვ. ს.)... რას წამს ეს წიგნი მოგვივიდეთ მაშინვე მდგვრულად კომლზე კაცი უნდა ჩუენთან წამოხვიდეთ... ასე საჩქაროდ მოგვაშურეთ შილდას!”⁴

¹ ჩიმის დახავლითა და ხევის დახავლით არის თაგაურის ხეობა, ხოლო თაგაურელნი განსახლებულნი არიან ფართო ტერიტორიაზე ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, მყინვარი ჰყოფს “თაგაურს, ჩიმსა და ხევსა დღმოსავლით უძევს ქულად კავები, განპყოფს მთა ესქ: ქიხტს, ძურდება და ჭვება” (აღწერა სამეფოსა ხაქართველოსა, ქართლის ცხოვრება, გ. IV, თბ., 1973, გვ. 357.)

² გხიგმ, ხაბ. № 5954.

³ Акты, т. VI. с. 375; შდრ. Н. Дубровин, История... т. VI, с. 113.

⁴ ქხი, ფ. Hd, ხაბ. № 5692.

თავმოყრილი ხალხის აღჭურვისა და რაზმებად შეცვალის პლექტრების შემდეგ 1813 წლის ოქტომბერში ალექსანდრე მათ ხამოუძღვა საქართველოში დისლოცირებული რუსთა ჯარის გასაწყვეტად.

ქართველთა და დაღესტნელთა გაერთიანებულ ჯარს ლაშქრობის პირველ ეტაპზე დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მათ ადვილად განაიარდეს უღელტეხილებზე რუსებისაგან შექმნილ საგუშაგოებზე მდგარი ოქუპანტთა პატარა რაზმები.

ალექსანდრე ბატონიშვილის შემოქრის ხმა სწრაფად გავრცელდა. გაერთიანებულ ჯარს გზადაგზა მახლობელი სოფლებიდან მოსული მრავალი ახალგაზრდა უერთდებოდა.

საბუესთან მიღწევისას სახელდახელოდ შეერებილმა რუსთა რაზმებმა მოულოდნელად დაკრეს ძლიერად.

ქართველთა და დაღესტნელთა ეს გაერთიანებული ჯარი ამ ბრძოლებისას დამარცხდა და უკანვე გაბრუნდა.

მაშინ ქართველი მხედართმთავარი შორს არ წასულა. იმ დროდან ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი ქართველი თანამებრძოლებით კახეთის მახლობლად ანწუხს¹ უნდა დაბანაკებულიყო.

ანწუხს მყოფი მოდგაწის გონება და ფიქრი უპირველესად მთელს კავკასიას სწრებოდა და სამყაროს მომავალიც კავკასიის ძაფზე მძივებად ისხმებოდა.

მართალია 1813 წლის 12 ოქტომბერს გიულისტანში დაღული ხელშეკრულებით რუსეთმა კავკასიაში არსებული სახანოების დიდი ნაწილის შემორთვების ფაქტი ხელშეკრულებით განამტკიცა, თუმცა ამით მიხი როლი კავკასიაში დიდად არ შეცვლილა.

კავკასიაში ირანის პოზიციების მხარდასაჭერად გააქტიურდა ინგლისი. ნაპოლეონის მეთაურობით საფრანგეთის ჯარების უკან დახევამ ევროპის სახელმწიფოთაგან ინგლისს დიდი იმედი მისცა მახლობელ აღმოსავლეთში მოქმედების გასაფართოვებლად, რაც რუსეთის საწინააღმდევო პოლიტიკით იყო პირობადადგებული.

ინგლის-ირანის ახალი ხელშეკრულებით ინგლისმა იგალდებულა 200 ათასი თუმანი სესხად მიეცა ირანისათვის.

¹ ანწუხელებნი და დიდოვლნი კავკასიის ქედთან მდ. ტაშახა და სხვა ხეობაში ერთიან, მდიდარ, ძლიერ საზოგადოებას ქმნიდნენ და საქართველოს ცენტრალიზებულ სამეფოში წარმატებით ვითარდებოდნენ. ქრისტიანული ქართული ეულტერის ათვისებას ემსახურებოდა ანწუხისა და ქურმუხის საეპისკოპოსოები. (მ. დუმბაქ, აღმოსავლეთ საქართველოს (საინგლოს) ისტორიიდან. თბ., 1953, გვ. 231.)

მოკავშირებს ამ ფულის გონივრულად გამოყენებით რუსეთთან
ახლად შეკრული პირობა უნდა შეესუსტებინა. ამ მიზნით ირანს
უპირველესად უნდა მიეღწია საზღვრების გადასინჯვისათვის.

ინგლისის მესხეურები რუსეთთან ახალი კონფლიქტის
შემთხვევაში ირანს ენერგიულ მხარდაჭერასა და დახმარებას
აღუთქვამდნენ.

ასეთი ვითარების მიუხედავად ქართველი ბატონიშვილი დაუ-
დალავად მუშაობდა კავკასიის მთიანეთში. უნდა ვიფიქროთ, რომ
მას საერთაშორისო მდგომარეობის საწილადი არ ეობის სწავ-
ლიდ შეცვლის იმედი პქონიდა.

მახლობელ აღმოსავლეთში დიდ სახელმწიფოთა ურთიერთ-
ქმნით შექმნილმა რთულმა საერთაშორისო ვითარებამ გავლენა
იქონია ქართველი ბატონიშვილის გეგმებზე. მაგრამ ეს უმამაცესი
რაინდი საქართველოს მეზობელ მხარეებში ძირითადად კავკასიის
მთიანეთში – დაღესტანში, თაგაურში, ქისტეთში, ყაბარდო-
ჩერეჩეთში, ქართლ-კახეთში, ფშავ-ხევსურეთსა და სხვაგან ენ-
ერგიულად აკომლექტებდა რაზმებს სამშობლოს გასა-
თვისუფლებლად მტრებთან გადამწყვეტი შერქინებისათვის.

1815 წელს გაზაფხულის დამდეგს ანწუხს დაბანაკებული
ქართველი ბატონიშვილის შეუნელებელი მოღაწეობით ნაფიქრი,
იდეურად ღრმად გააზრებული მოწოდები კავკასიის მთიანეთს
და სხვა მხარეებსაც ეფინებოდა.

ამავე წლის 27 აპრილის მოწოდებაში ხაზგასმულია ქართ-
ველი ბატონიშვილის დიდი სამხედრო წარმატება “მთელი დაღის-
ნის პირის” ჯარების შემოქრებით. ამასთან იგი თავის მრავალ
ადრესატს აცნობდა მშობლიური კახეთის ამბებს და კავკასიით
საუკუნეების განმავლობაში დაინტერესებული ირანელების სამო-
კავშირეო პირობებს: „... კახეთის ანბავს იკითხავთ, ... იმათი საქმე
და სიტყვა სულ ყოველთვის მომდინარეობს. და კიდევ ყიზილბაშის ან-
ბავს იკითხავთ – მუდამ ჩაფარი ჩაფარზე მოდის აქ, ჩემთანა,
რომ მომსვლელი ბძანდება თითონ ყენი, ღმერთს ერწმუნე-
ნით!...”¹

კავკასიელებს უწყევად სწამდათ ირანელებისაგან ალექსან-
დრე ბატონიშვილისათვის მხარდაჭერა, რადგან თავიდანვე
გრძნობდნენ მის დიდ ავტორიტეტსა და უებრო მხედრულ ნიჭებს.

სხვადასხვა ხეობის მკითხვი დაღესტნელები ერთიანდებოდა
ნენ მტერთან საბრძოლველად, რაც ხაგონებელში აგდებდა
რუსეთის ხელისუფლებას. დიდი იმპერიის ოკუპანტი მოხედენი
საქართველოს ათასწლოვანი სამეფო დინასტიის აღსაღენად

¹ ვ. სუხიტაშვილი. ალექსანდრე ბატონიშვილის მოღაწეობით. გვ. 84-85.



შეუდრევებლად მებრძოლი ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგობას. ენერგიულად პქმნიდნენ სხვადასხვა სახის წინააღმდეგობას.

რუსეთის საიდუმლო მზადების ზოგი ფაქტი ადრევე აშკარავდებოდა. კავკასიის საოქუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლოთაგან მუხანათობის მრავალგვარი ხერხი იქნა მოგონილი ქართველი ბატონიშვილის დასაღუპავად.

ირანის ხელისუფლებას ძლიერ აფიქრებდა ქართველი ბატონიშვილის ბეჭი. 1815 წლის მაისიდან სპარსეთის ხელისუფლი რუსეთისაგან სისტემატურად მოითხოვდნენ ნება დაერთოთ მისთვის წასულიყო ირანში. ამის საწინააღმდეგოდ ენერგიულად მოქმედი მთავარმართებელი 6. რტიშჩევი ისტრაფოდა ბატონიშვილის სრული იზოლაციისაკენ.

1815 წლის ივნისში აბას მირზამ 6. რტიშჩევთან გაგზავნა დიდი რანგის მოხელე ქელბალი-ხანი, რომელმაც კავკასიის მთავარმართებელს დაუინებით მოხსოვოვა ალექსანდრეს ბეჭის გარკვევა. ხანგრძლივი დავის შემდეგ 6. რტიშჩევი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ერეკლეს ძეს შუამავლების საშუალებით მოლაპარაკებოდა. ეს უკვე მერამდენედ, რუსული ხელისუფლება მას დაშეგძლი “შეცდომების” პატიებას და იმპერატორის “მამობრივ მზრუნველობას,” პეტერბურგსა თუ ბატონიშვილისათვის სასურველ სხვა ქალაქში ტებილ ცხოვრებას პირდებოდა, ოღონდაც მას პირი ჩრდილოეთისაკენ ექნა; ხოლო თუ სპარსეთში გამგზავრებას დააპირებდა, რტიშჩევს აუცილებლად უნდა სცოდნოდა მისი გამგზავრების მარშრუტი, რათა რუსთა ჯარით “გაფცილებინა”. ასეთ უცნაურ შემოთავაზებაზე ქართველი ბატონიშვილი კავკასიაში საოკუპაციო ხელისუფლების მეთაურს უარს უთვლიდა: “არ არის საჭირო... არც ერთხელ არ ყოფილა შემწედ ჩემ შესვლასა და გასვლა-გამოსვლაზე (რუსეთი - ვ. ს.) და არც ახლა არის საჭირო.”¹ ხოლო მისგან გაშმაგებული მთავარმართებელი უკვე მუქარით აღსავს წერილს უგზავნიდა მას: “თუ თქვენი თავქარიანობით ჩემს პატიოსან სიტყვას არ მიენდობით და რუსეთის ჩაურვლად იფიქრებთ სპარსეთში წასვლას... მე ვერ ვაგებ პასუხს თქვენს უსაფრთხოებაზე-ო” ამასთან, ეს დიდი მოხელე იმპერატორს ატყობინებდა რომ სწორედ ახლა დგებოდა დრო მიუვრებით ან სხვა საშუალებით ხელში ჩაეგდოთ ალექსანდრე ბატონიშვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში: “სანამ ის სპარსეთში იქნება, ქართლ-კახეთში მშვიდობიანობა არ დამყარდებათ.”² მთავარმართებელმა უკან გააბრუნა აბას-მირზას დესანი, მაგრამ შაჰის მემკვიდრემ ხელახლა გამოგზავნა რტიშ-

¹ სცხსა, ფ. 2, აღ. 1, საქ. 472, ფ. II.

² თ. ხუსკივაძე, ალექსანდრე ბატონიშვილი. “ივერია,” 1902, № 268.

